ახალი უნივერსიტეტი

14 აპრილი, ოთხშაბათი, 2010 წ. №18 (2099)

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი გამოდის 1927 წლიდან

1978 წლის აპრილი უნივერსიტეტში

1978 წლის 14 აპრილს ქართველი ხალხის, ახალგაზრდების გულიდან ამოხეთქილმა პატრიოტულმა მუხტმა ქართველ ერს უპრეცედენტო გამარჯვება მოუტანა. ენა, მართმადიდებლური სარწმუნოება და ეროვნული ღირებულებები ერთნაირად მიუღებელი იყო საბჭოთა იმპერიისთვის, მაგრამ ერმა, რომელსაც მამული წაართვეს, სარწმუნოება შეუგინეს და, ფაქტობრივად, მონად აქციეს, მშობლიური ენის წახდომა არ დაუშვა.

ნინო კაკულია

შეგახენებთ, რომ 1977 წელს დამტკიცდა საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუცია, რომლის მიზანი იყო საბჭოთა კავშირში მცხოვრები ერების რუსიფიკაციის დაჩქარება. ამ პრინციპიდან გამომდინარე 1978 წელს შედგა საბჭოთა საქართველოს ახალი კონსტიტუციის პროექტი, რომელშიც ქართულ ენას სახელმწიფო ენის სტატუსი აღარ ჰქონდა მინიჭებული, ანუ დედა ენა რუსული ენით უნდა ჩანაცვლებულიყო. მაშინ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ერთ-ერთი ყველაზე დიდი მხარდამჭერი და ქომაგი გახდა ქართული ენის სიწმინდის დაცვისა. ამ მხრივ აღსანიშნავია უნივერსიტეტის მაშინდელი სტუდენტების ინიციატივები და გამოსვლები ქართული ენის სტატუსის შესანარჩუნებლად. უნდა ითქვას, რომ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობაც და პროფესურაც ფარულად უჭერდა მხარს სტუდენტური ჯგუფების აქტიურობას. სხვანაირად ვერ ავხსნით იმ ფაქტს, რომ 1978 წლის 6 აპრილს ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტთა საერთო კრება ჩატარდა, რომელიც კონსტიტუციის იმ მუხლის რედაქტირების საკითხს მიეძღვნა, რომელიც ქართული ენის ბედს წყვეტდა. ამ კრების ოქმის შედგენა დაევალა უნივერსიტეტის იმჟამინდელ მესამეკურსელს, დარეჯან თვალთვაძეს, რომელიც დღეს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანია. როგორც პროცესების მონაწილე, იგი ქრონოლოგიურად გვიამბობს იმ მოვლენების შესახებ, რაც მაშინ უნივერსიტეტში ხდებოდა. მართალია, მას გმირობად არ მიაჩნია 1978 წლის 6 აპრილს ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტთა საერთო კრების ოქმის შედგენა, თუმცაღა დღემდე გრძნობს მისადმი გამოცხადებული ნდობის მნიშვნელობას და იმ პასუხისმგებლობას, რაც მას დააკისრეს. რას იხსენებს ქალბატონი დარეჯან თვალთვაძე ჩვენთან საუბარში, რაც ისტორიული ფურცლების კიდევ ერთხელ შევსებაა.

მე-2 გვერდზე

ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები თსუ-ში

14 აპრილს, ქართული ენის დღეს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის ინსტიტუტი, ტრადიციულად, მნიშვნელოვანი ღონისძიებებით შეხვდება.

ღონისძიებების ერთ-ერთი ორგანიზატორის, პროფესორ რამაზ ქურდაძის ინფორმაციით, ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიხსნება გამოფენით, სადაც წარმოდგენილი იქნება ქართული ენისა და ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი ფოტომატიანე.

„მოგეხსენებათ, ქართული ენის დღე 1978 წლის 14 აპრილიდან იღებს სათავეს. სწორედ უნივერსიტეტი იყო ის ადგილი, საიდანაც მთავრობის სახლისკენ გაემართა მძლავრი საპროტესტო მსვლელობა, მაშინდელი ეგრეთწოდებული განვითარებული სოციალიზმის კონსტიტუციის წინააღმდეგ, რომელშიც ეწერა, რომ საქართველოში სახელმწიფო ენა უნდა ყოფილიყო რუსული. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამსახურება იყო ის საერთო სახალხო მძლავრი საპროტესტო ტალღა, რამაც აიძულა საბჭოთა იმპერია დათმობაზე წასულიყო და საქართველოში თავის კანონიერ უფლებებში აღმდგარიყო ქართული ენა“, — აღნიშნა რამაზ ქურდაძემ.

ღონისძიების ფარგლებში გაიმართება სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „ქართული სალიტერატურო ენის ისტორია და დღევანდელობა, აქტუალური პრობლემები“.

პლენარული სხდომა გაიხსნება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის, პროფესორ დარეჯან თვალთვაძის შესავალი სიტყვით. მისასალმებელ სიტყვას წაიკითხავს რექტორი, პროფესორი გიორგი ხუბუა.

შემდეგი გამოსვლები ქართული ენის სწავლებას შეეხება საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო დონეზე. აღსანიშნავია, რომ ქართული ენის სწავლების ყველა დონის პროგრამა თანმიმდევრულად აცნობს სტუდენტებს ქართული ენის პრობლემურ, აქტუალურ საკითხებს. შესაბამის მეთოდიკურ დონეზე სტუდენტისათვის გასაგებს ხდის ქართული და ქართველური ენების სტრუქტურის ურთულეს საკითხებს. ამავე პროგრამებით ივარაუდება სტუდენტთა ჩართვა კვლევით საქმიანობაში, რაც მათი მომავლისათვის მეტად მნიშვნელოვანია. ამ მხრივ საინტერესოა რამაზ ქურდაძის მოხსენება „ქართული ენის სწავლება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში“.

შემდეგ გაიმართება არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის ქართული ენის, როგორც მეორე ენის სწავლების ერთწლიანი საუნივერსიტეტო პროგრამის პრეზენტაცია. ამ პროექტის ფარგლებში მოხდება კოორდინირება ყველა სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლისა, რომლებიც კვოტირების სისტემით იღებენ არაქართულენოვან სტუდენტებს. აღნიშნული პროგრამის განხორციელება ეფუძნება 2009 წლის ნოემბერში განათლების მინისტრის შესაბამის ბრძანებას, რომელიც მისაღებ გამოცდებზე არაქართულენოვანი აბიტურიენტებისთვის შეღავათებს ითვალისწინებს — ანუ ამ ბრძანების შესაბამისად ისინი აბარებენ გამოცდას ზოგად უნარებში მშობლიურ ენებზე (სომხური, აზერბაიჯანული, აფხაზური, ოსური). გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში მათ ენიჭებათ სტუდენტის სტატუსი.

მე-2 გვერდზე

არაქართულენოვანთა ALMA MATER
მე-3 გვერდზე

უნივერსიტეტის დოქტორანტი საჯარო სკოლებში ლექციების კითხვას იწყებს
მე-4 გვერდზე

„იდეოლოგიზებული მაკულატურისგან“ გათავისუფლებული თანამედროვე ლიტერატურა
მე-5 გვერდზე

რეფორმის ხარვეზი თუ სიახლესთან შეუგუებლობა?
მე-6 გვერდზე

პაატა იმნაძე: „ჩემთვის საქართველოში უნივერსიტეტი ერთია...“
მე-9 გვერდზე

თსუ-ის პროფესორი — სტომატოლოგთა მსოფლიო ფედერაციის კომუნიკაციების კომიტეტის თავმჯდომარე
მე-11 გვ.

უნივერსიტეტელი „შუშის“ გმირები
მე-12 გვ.

ამბები
მე-13-14 გვ.

1978 წლის აპრილი უნივერსიტეტში

პირველი გვერდიდან

დარეჯან თვალთვაძე

— გავიხსენოთ ის პროცესები, რაც წინ უძღოდა 1978 წლის 14 აპრილს და რა პროცესებიც უნივერსიტეტის წიაღში წარიმართა. რისი თვითმხილველი იყავით და რა მონაწილეობას იღებდით მაშინ?

— იმ დროს, როდესაც უნივერსიტეტი გამოექომაგა ქართული ენის სიწმინდის დაცვას, ფილოლოგიის ფაკულტეტის მე-3 კურსის სტუდენტი ვიყავი. ჩვენი ფაკულტეტი იყო ერთ-ერთი მოთავე იმ ღონისძიებებისა, რაც მაშინ, ბევრად უფრო ადრე დაიწყო, მაგრამ 14 აპრილს დაგვირგვინდა.

მახსოვს, უპირველეს ყოვლისა რეაქცია, რომელიც თავიდან მოჰყვა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის (მაშინ ასე ერქვა ჩვენს ქვეყანას) კონსტიტუციის ახალი რედაქციის გამოქვეყნებას. ისე უნდა გითხრათ, რომ ჩვენ მაინდამაინც დიდ ყურადღებას არ ვაქცევდით ხოლმე იმ პერიოდში გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაბეჭდილ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებს, ყრილობის გადაწყვეტილებებს, მაგრამ მწერალთა კავშირის გააქტიურებამ ჩვენ ყურადღება მიგვაქცევინა კონსტიტუციის 75-ე მუხლისათვის, სადაც აღნიშნული იყო, რომ საქართველოს რესპუბლიკაში, ისევე, როგორც სხვა საბჭოთა ქვეყნების კონსტიტუციებში, აღარ ეწერა, რომ ჩვენს შემთხვევაში, საქართველოში სახელმწიფო ენა არის ქართული. ეს ფუნქცია თავის თავზე უნდა აეღო რუსულ ენას, რომელიც საბჭოთა კავშირში პრივილეგირებულ მდგომარეობაში იყო. როგორც კი ამ კუთხით გახდა ჩვენთვის საინტერესო ახალი კონსტიტუციის პროექტი, ცხადია, იგი უკვე ყველამ წაიკითხა, ყველა ჩაუღრმავდა სხვა თავებსაც, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი და არსებითი იყო მაინც 75-ე მუხლი, რომელიც ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის სტატუსს შეეხებოდა.

პირველი, რაც ამას მოჰყვა, იყო ის, რომ დაიწყო სტუდენტთა შორის ხელმოწერების შეგროვება და დართვა იმ წერილზე, რომელშიც საუბარი იყო 75-ე მუხლის შეცვლაზე. ეს წერილი კონკრეტულად ვინ მოამზადა, არ ვიცი, მაგრამ, შესაძლოა, ეს ყოფილიყო სტუდენტების მიერ შედგენილი წერილი.

მაშინ განსაკუთრებით აქტიურობდნენ ჩვენი ფაკულტეტის სტუდენტები, შემიძლია დავასახელო ვასილ მაღლაფერიძე, ნოდარ გრიგალაშვილი (ჩემი თანაკურსელები), თამაზ ვასაძე, თამრიკო მახარობლიძე და კიდევ რამდენიმე აქტიური სტუდენტი, რომლებიც აგროვებდნენ ხელმოწერებს აღნიშნულ წერილზე. მახსოვს როგორ ვაკეთებდით ამას — ლექციებზე ვიღაც ჩუმად გვაწვდიდა ამ წერილს, რომელსაც მერხებს ქვემოთ ვკითხულობდით და ვაწერდით ხელს. ეს იყო მარტის ბოლო ან აპრილის დასაწყისი. შემდგომ ჩვენ გვიბარებდნენ ჯგუფ-ჯგუფად ხან დეკანატში, ხან უნივერსიტეტის ხელმძღვანელობაში (ძირითადად აქტივისტებს იბარებდნენ) და გვეუბნებოდნენ, რომ ასეთ წერილებზე მრავალგვერდიანი ხელმოწერების შეგროვება გონივრული ნაბიჯი არ იყო, რადგან, მათი აზრით, არსებობდა წერილის პირველი გვერდის შინაარსის შეცვლის და ხელმოწერების სხვა მიზნით გამოყენების საშიშროება. მაშინ გადაწყდა, რომ ჩატარებულიყო ფილოლოგიის ფაკულტეტის კრება, რომელიც მიიღებდა ოფიციალურ გადაწყვეტილებას, კრების ოქმი კი გაიგზავნებოდა ცენტრალურ კომიტეტში. კრების მოწვევის იდეა 14 აპრილამდე რამდენიმე დღით ადრე გაჩნდა. კრების ჩატარების მაუწყებელი განცხადება არავის გამოუკრავს, მაგრამ ამ ინიციატივის შესახებ ინფორმაცია მთელ უნივერსიტეტში ელვის სისწრაფით გავრცელდა. კრება ჩატარდა პირველი კორპუსის სხდომათა დარბაზში. ბევრ ღონისძიებას დავსწრებივარ უნივერსიტეტში იქამდეც და შემდეგაც, მაგრამ ასეთი გადაჭედილი აუდიტორია არ მახსოვს. ამ შეკრებაზე მოვიდა ძალიან დიდი რაოდენობა იმ სტუდენტებისა, რომლებიც დაინტერესებული იყვნენ ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის სტატუსის შენარჩუნებით. სხდომას პროფესორებიც დაესწრნენ. თავმჯდომარე გახლდათ ვასილ მაღლაფერიძე, მე კი მდივნად დამასახელეს. მქონდა საგანგებო დავალება, რომ ყველაფერი ჩამეწერა. მაქსიმალურად ვცდილობდი, რომ ემოციურად დამუხტული გამოსვლები აღმებეჭდა. საკმაოდ გაფაციცებული ვიწერდი ყველაფერს იმ მიზნით, რომ შემდგომ მას ოქმის სახე მისცემოდა და, როგორც ჩვენი პოზიციის გამოხატულება, ოფიციალური ხელისუფლებისთვის გადაგვეგზავნა. გამოსვლები, შეძახილებისა და მოწოდებების თანხლებით მიდიოდა. კრებას უნდა ჩამოეყალიბებინა და მიეღო დადგენილების ტექსტი, რომელშიც ასახული იქნებოდა ჩვენი მოთხოვნა — რომ შეცვლილიყო საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტიციის 75-ე მუხლი და მასში ჩაწერილიყო, რომ საქართველოს ტერიტორიაზე სახელმწიფო ენა არის ქართული ენა. ცხადია, ამ დადგენილებაში არ იყო მუქარა, ეს იყო საერთო კრების გადაწყვეტილებით ჩამოყალიბებული ოფიციალური თხოვნა, რომელსაც ოქმის სახე ჰქონდა. ოქმს ხელს აწერდა კრების თავმჯდომარე და მდივანი.

ოქმი იმ საღამოსვე გადავწერე და ჩავბარეთ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას, რათა ის ოფიციალურად ფოსტით გაეგზავნათ. ჩვენს წერილს, ისე როგორც ენათმეცნიერების ინსტიტუტიდან ან მწერალთა კავშირიდან გაგზავნილ მოთხოვნებს კონსტიტუციის ამ პროექტზე მომუშავე კომისიის მხრიდან დიდი რეაგირება არ მოჰყოლია.

— საინტერესოა, ამ კრების ჩატარებით ფაკულტეტის დეკანატიც იყო დაინტერესებული?

— ამ კრების ჩატარება მათ შემოგვთავაზეს.

— ანუ მათი მხრიდანაც იყო ერთგვარი ხელშეწყობა, რათა თქვენი აზრი გამოგეხატათ...

— დღევანდელი გადასახედიდან სულ სხვანაირად ვუყურებ იმ ეპოქას. ვერ გეტყვით, ეს შეიძლება ჰკითხოთ მათ, ვინც მაშინ დეკანატში მუშაობდა. აშკარად თუ არა, ფარულად მაინც ნამდვილად იგრძნობოდა მხარდაჭერა და თანადგომა, თუნდაც იმ კუთხით, რომ მათ ხელი შეგვიწყვეს ჩვენი მოთხოვნა ოფიციალური სახით, როგორც ერთიანი კრების გადაწყვეტილება მისულიყო დანიშნულების ადგილამდე. ეს აღიქმებოდა როგორც საერთო საუნივერსიტეტო პოზიცია, რომელსაც მაშინ მეტი წონა ჰქონდა, ვიდრე სტუდენტთა მხოლოდ ერთი ჯგუფის პოზიციის გამომხატველ დოკუმენტს.

— თქვენ არ შიშობდით ამ პროცესებში ჩართვას? არ ღელავდით?

— რასაკვირველია, ყველანაირი შიში იყო — გარიცხვის, დარბევის, შეიძლებოდა ცოცხლებიც აღარ დავრჩენილიყავით, მაგრამ როცა ყველანი ერთად ვიდექით, შიში არ იგრძნობოდა.

— როგორ განვითარდა მოვლენები, რამაც საბოლოოდ გადაწყვიტა ქართული ენის ბედი?

— წინასწარი ინფორმაცია ისეთი გვქონდა, რომ იმ კონსტიტუციაში არაფერი შეიცვლებოდა. 14 აპრილამდე ერთი თუ ორი დღით ადრე უნივერსიტეტში მოვიდა მაშინდელი ცეკას მდივანი ედუარდ შევარდნაძე, რომელიც სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს შეხვდა. მისი გამოსვლის პათოსი გვაგრძნობინებდა, რომ შეიძლება სიტუაცია სახიფათოდ განვითარებულიყო, რომ შეიძლება დაღვრილიყო სისხლი და რომ ჯობდა ახალგაზრდა თაობის გაფრთხილება — ასეთი მკაფიო მინიშნებები გვაფიქრებინებდა, რომ არაფერი შეიცვლებოდა.

მახსოვს 14 აპრილის დღე. არაჩვეულებრივი ამინდი იყო. მახსოვს პირველი კორპუსის ეზოში თავმოყრილი ხალხი, სხვადახვა მხრიდან მომავალი სტუდენტთა ნაკადი, მოვიდნენ სტუდენტები სამხატვრო აკადემიიდან, სამედიცინო ინსტიტუტიდან, ტექნიკური უნივერსიტეტიდან, უცხო ენებისა და პედაგოგიური ინსტიტუტებიდან — ეპიცენტრი იყო ჩვენი უნივერსიტეტი. დღეს არავის უკვირს არც მიტინგი და არც დემონსტრაციული მსვლელობა, მაგრამ ეს ყველაფერი ხდებოდა 1978 წელს, კომუნისტების ზეობის პერიოდში, როცა დემონსტრაციები მხოლოდ საშვიდნოემბროდ და საპირველმაისოდ იმართებოდა. ჩვენთან ერთად იყვნენ ჩვენი მასწავლებლებიც. შუადღეს, დაახლოებით 12 საათისთვის, უნივერსიტეტის ეზოში სტუდენტების დიდი რაოდენობა მოგროვდა. ამ დროს პარალელურად მიმდინარეობდა უზენაესი საბჭოს სხდომა, სადაც კონსტიტუციის მუხლობრივად განიხილავდნენ. 75-ე მუხლის განხილვა ჯერაც არ იყო დაწყებული, როდესაც უნივერსიტეტიდან რუსთაველის პროსპექტისკენ დაიძრა უზარმაზარი კოლონა. მას გზადაგზა უერთდებოდნენ სხვებიც — ეს იყო ძალიან დიდი ემოციური მუხტით დატვირთული საზოგადოება. ყველამ თავი მოვიყარეთ ახლანდელი პარლამენტის შენობის წინ. ხალხი რეალურად იყო მზად თავგანწირვისთვის ისევე, როგორც 9 აპრილს. ელოდებოდნენ დარბევასაც. ფაქტობრივად სიკვდილისთვის იყვნენ მზად. ტელევიზიით მიდიოდა უზენაესი საბჭოს სხდომის პირდაპირი ტრანსლაცია. რუსთაველის განმზირზე, მთავრობის სასახლის წინ შეკრებილი ხალხი კი ელოდა საბოლოო გადაწყვეტილებას. აი, ჩვენ ვიგებთ, რომ შეიცვალა 75-ე მუხლი, ანუ კონსტიტუციის ახალ რედაქციაში დარჩა ისეთივე ფორმულირება, როგორიც იყო წინა კონსტიტუციაში. ეს იმას ნიშნავდა, რომ საქართველოში სახელმწიფო ენის სტატუსს ისევ ქართული ენა ინარჩუნებდა.

ვერ აღგიწერთ, ამას რა დიდი სიხარული მოჰყვა. იყო შეძახილები, ზოგი ყვიროდა, ზოგი ტაშს ადგამდა, ზოგიც ტიროდა. ეს ემოციური ფონი ასეთ ფორმულირებას ეძლეოდა — „ენავ ჩემო, ენავ ჩემო, ენავ ჩემო“... ეს ფრაზა ბევრ ადამიანს ცრემლებს ადენინებდა.

არაქართულენოვანთა ALMA MATER

დღეს უნივერსიტეტი მართლაც საინტერესო მისამართია არა მხოლოდ ქართველი, არამედ უცხოელი ახალგაზრდებისთვისაც. ჩვენი რესპონდენტები გვარ-ტომით ქართველები არ არიან. ქშიშტოფ ლუკიანოვიჩი პოლონელია, ოქტაი ქაზუმოვი კი — საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელი. მათ შორის საერთო ისაა, რომ ერთნაირად დაინტერესდნენ ქართული ენით და საქართველოს ისტორიით. მათ მიზანი სხვადასხვა აქვთ, მაგრამ დამოკიდებულება ქართველი ხალხისა და ქართული ენისადმი — ერთნაირად სუფთა და ამაღლებული. საუცხოოდ ფლობენ ქართულ ენას და ცდილობენ, კიდევ უფრო ღრმად ჩაწვდნენ მის საიდუმლოებას.

მაია ტორაძე

მალე ქართული ენა არა მხოლოდ ჩემთვის, არამედ სხვა ქვეყნებისთვისაც საჭირო გახდება

ქშიშტოფი პოლონეთის პატარა ზღვისპირა ქალაქ შინოვიშჩეში ცხოვრობს და ვარშავის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე სწავლობს. ერთხელაც, როდესაც სახლში მშობლებთან ერთად სუფრასთან იჯდა, ქართველი მომღერლის ქეთი მელუას სიმღერა მოესმა. ქეთი ინგლისურად მღეროდა, მაგრამ მისმა ხმამ იმდენად მოხიბლა, რომ მისი ბიოგრაფიით დაინტერესდა. სწორედ მაშინ გაიგო, რომ ამ ჯადოსნური ხმის პატრონი ქართველია და ქართული ენის შესწავლაც მხოლოდ ამიტომ გადაწყვიტა. როგორც თავად ამბობს, ბევრი არც უფიქრია, მაშინვე მოიძია პოლონეთში ქართული ენის შემსწავლელი კურსები და ორი წლის წინ ქალბატონ სოფო ჟვანიასთან (ჩვენი უნივერსიტეტისთვის კარგად ცნობილი ისტორიკოსის, ვარშავის უნივერსიტეტის პროფესორ დავით ყოლბაიას მეუღლე) დაიწყო ენის შესწავლა.

„თავდაპირველად ისე გამიჭირდა სწავლა, რომ ვიფიქრე, ამ ენას ვერასოდეს ვისწავლიმეთქი“ — ღიმილით გვიყვება ქშიშტოფი — „პირველი სამი თვე ვერც ერთი ქართული სიტყვა ვერ დავიმახსოვრე. მერე ნელ-ნელა შევეჩვიე აბსოლუტურად სხვა ანბანის, სხვა ბგერების, სხვა სიტყვების განსხვავებული აქცენტით წარმოთქმას. პირველი რთული სიტყვა, რაც ვთქვი, ეს იყო „სიცოცხლე“. შობის ღამეს კი პირველად ავაწყვე ქართული წინადადება. ამის შემდეგ უკვე სერიოზულად ჩავები ქართული ენის შესწავლაში და საქართველოში ჩამოსვლამდე უკვე თავისუფლად ვკითხულობდი, ვწერდი და ვლაპარაკობდი, მაგრამ პრაქტიკა მაკლდა. ამიტომ გადავწყვიტე გაცვლითი პროგრამით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მესწავლა“, — ასე აგვიხნა ქშიშტოფმა საქართველოში ჩამოსვლის მიზანი. ინტერვიუში კი გაირკვა, რომ მას სურს მომავალიც საქართველოს დაუკავშიროს.

— ქშიშტოფ, როგორც აღნიშნე, საქართველო შენთვის უცხო ქვეყანა იყო. როგორ ხედავდი მას, სანამ აქ ჩამოხვიდოდი? რას ელოდებოდი და რა დაგხვდა?

— უკვე მეორედ ვარ საქართველოში. მართალია, პირველად არ დამცალდა, რადგან 2008 წლის აგვისტოში ჩამოვედი და სამი დღის მერე ომი დაიწყო, მაგრამ როგორც კი საშუალება მომეცა, მაშინვე დავბრუნდი. მეგობრები გაკვირვებულები იყვნენ, რომ საქართველოში სწავლა მოვინდომე, რადგან ფიქრობდნენ, რომ ეს საშიში ქვეყანაა, მაგრამ, როცა ადამიანი აქ ჩამოვა, ნახავს, რომ ძალიან თბილი ხალხი და საინტერესო ცხოვრებაა. სანამ ახლოს გავიცნობდი ქართველ ხალხს, ცოტა რამ წავიკითხე ამ ქვეყნის ისტორიაზე, მაგრამ აქ ბევრი ტრადიცია და ჩვეულება დამხვდა უცხო.

— განსაკუთრებით რომელმა ჩვეულებამ და ტრადიციამ გაგაოცა?

— მაგალითად, აღდგომის დღეებში იმერეთში ვიყავი სტუმრად და ვნახე სოფლის ცხოვრება, რომელიც ძალიან განსხვავდება ჩვენი ცხოვრების წესისგან. ბევრი ახალი ტრადიციაც ვნახე, მაგალითად, აქ სასაფლაოზე გასვლის სულ სხვა ტრადიციაა. ჩვენთან სასაფლაოზე დიდი სიჩუმეა, რადგან ხმამაღალი ლაპარაკი აკრძალულია. იქ მხოლოდ გალობა შეიძლება. აქ კი აღდგომას გაშლილი სუფრები და მხიარულება ვნახე, რამაც ძალიან გამახალისა.

— შენ ვარშავაში ისტორიის ფაკულტეტზე სწავლობ. აქ — საერთაშორისო ურთიერთობებზე. როგორ ფიქრობ, განსხვავდება სწავლების მეთოდები თსუ-სა და ვარშავის უნივერსიტეტებში?

— თითქმის 4 წელია ვარშავაში ვსწავლობ. იქ სწავლა ჩემთვის ცოტა ერთფეროვანია. აქ კი ბევრ საინტერესო ინფორმაციას ვიღებ. ლექციები ინგლისურად მეკითხება და ამიტომ ქართული ენის კურსს დამატებით ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე ქალბატონ ნანა გაფრინდაშვილთან ვისმენ. სიმართლე გითხრათ, ძალიან მიყვარს საქართველო და აქ ნაკლს ვერ ვხედავ, ყველაფერი ძალიან მომწონს.

— მაინც რომელ ლექტორს გამოარჩევდი, შენთვის ყველაზე სასიამოვნო რომელი ლექციაა?

— ნანა გაფრინდაშვილს გამოვარჩევდი, რადგან 2 საათი მარტო ვზივარ მასთან და ვგრძნობ, რომ ენის შესწავლის თვალსაზრისით ძალიან ჩქარა ვაღწევ წარმატებას. მართალია, ჯერ ქართულ ნაწარმოებებს ვერ ვკითხულობ, მაგრამ პატარ-პატარა მოთხრობებს ვეცნობი. ხშირად ვკითხულობ ქართულ პრესასაც.

— ქართული არ არის საერთაშორისო ენა, რათა მისი ცოდნა გლობალური მიზნებისთვის გამოიყენო. ის დიდი ისტორიის მქონე პატარა ერის ენაა, ამიტომ, ჩნდება კითხვა — მაინც რაში შეიძლება გამოგადგეს ეს ენა მომავალში?

— ინგლისურად, კარგად თუ ცუდად, ახლა ყველა ლაპარაკობს. რაღაც უცხო მინდოდა, რადგან ბავშვობიდან ყველაფერი განსხვავებული მაინტერესებდა. ამას ემატება ისიც, რომ საქართველო პოლონეთის მეგობარი ქვეყანაა. ომის დროს აქ ჩვენი პრეზიდენტიც იყო მხარდასაჭერად ჩამოსული... ჩვენ ევროპასთან ინტეგრაციაშიც ვეხმარებით საქართველოს. ეს ქვეყანა, ჩემი აზრით, ერთ-ერთ მთავარ როლს თამაშობს მსოფლიო პოლიტიკაში და მალე ამ ქვეყნის ენა არა მხოლოდ ჩემთვის, არამედ სხვა ქვეყნებისთვისაც საჭირო გახდება.

ოქტაი ქაზუმოვი და ქშიშტოფ ლუკიანოვიჩი

მომავალში რა მოხდება, არ ვიცი, რადგან ახლა მინდა უნივერსიტეტი დავამთავრო და ეს გაცვლითი პროგრამა წარმატებით გავიარო. უკვე მომცეს ნებართვა, რომ მომავალი წლის თებერვლამდე დავრჩე საქართველოში. მერე კი, ვფიქრობ, საცხოვრებლადაც აქ გადმოვალ, რადგან ძალიან კარგად ვგრძნობ თავს და აქაური ცხოვრებაც მომწონს. მხოლოდ ისაა პრობლემა, ვიშოვი თუ არა სამსახურს...

ქშიშტოფი შეყვარებულია. მისი რჩეული ქართველია და უნდა, რომ ქორწილზე საქართველოში მშობლებიც ჩამოიყვანოს. დარწმუნებულია, რომ მათაც შეუყვარდებათ ეს ქვეყანა.

მხოლოდ ერთ რამეზე წყდება გული – ის უნივერსიტეტის მიერ დაქირავებულ ბინაში ცხოვრობს, სადაც უცხოელი სტუდენტები ინგლისურად ლაპარაკობენ. მას კი ქართულად ლაპარაკი უნდა...

ქართული ჩემთვის მშობლიური ენა გახდა

ოქტაი ქაზუმოვისთვის ქართული ენის კარგად დაუფლება ჩვეულებრივი ამბავია, რადგან მიაჩნია, რომ ის „ქართველი აზერბაიჯანელია“ და იმ ქვეყნის ენა, რომლის მოქალაქეცაა, კარგად უნდა იცოდეს.

ის მცხეთის რაიონის სოფელ ციხისძირში ცხოვრობს. სკოლაში შესვლამდე არც ერთი ქართული სიტყვა არ სცოდნია და მხოლოდ მეხუთე კლასში აუდგამს ენა. პირველი წიგნი, რომელიც ქართულად წაუკითხავს, მარკ ტვენის „ტომ სოიერის თავგადასავალი“ ყოფილა...

„ის დღე იყო და ქართული ჩემთვის მშობლიური ენა გახდა. მომავალი პროფესიაც ადრევე განვსაზღვრე. როცა მამაჩემის დიპლომი ვნახე და შევნიშნე, რომ ზედ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ფოტო იყო გამოხატული, მყარად გადავწყვიტე, სწორედ აქ მესწავლა და მეცნიერი გამოვსულიყავი“, — გვიამბო ოქტაიმ.

მისი ლექსიკა შესაშურად სუფთა და მდიდარია. სულ რამდენიმე წუთიან ინტერვიუში იმდენი მოქნილი ქართული ფრაზა გამოიყენა, ძალაუნებურად ვიფიქრე – აი, თურმე ვინ ლაპარაკობს სუფთა ქართულად, თურმე როგორ ვამახინჯებთ ქართველები მარგალიტად წყობილ ენას.... ინტერვიუ კი ქართველთა და აზერბაიჯანელთა საუკუნოვან ურთიერთობასაც გადასწვდა, რადგან ოქტაისთვის სისხლხორცეულად მნიშვნელოვანია ამ ორი ერის კულტურათა შორის სრულფასოვანი დიალოგი შედგეს.

— ოქტაი, ამბობენ, რომ ქართული რთული ენაა. შენ გაგიჭირდა მისი შესწავლა?

— კი, მაგრამ ბევრი ვიმუშავე საკუთარ თავზე — წიგნებს რომ ვკითხულობდი, ფურცელი და კალამი მეჭირა და ყველა უცხო სიტყვას ვიწერდი, ვეძებდი მის მნიშვნელობას, ვვარჯიშობდი სწრაფ გამოთქმებში.

ენის შესწავლის მეორე ეტაპი მაშინ დაიწყო, როცა სკოლაში ძველი ქართული ლიტერატურის, ჰაგიოგრაფიის შესწავლა დავიწყეთ. პირველივე ნაწარმოების გაცნობისას მივხვდი, რომ ქართული არ ვიცოდი. როდესაც დავძლიე ეს სირთულეები, დავრწმუნდი, რომ ენა, მთელი თავისი სიდიადით, ძველ ქართულში იყო დაუნჯებული და, პირველ ყოვლისა, ძველი ქართული უნდა შემესწავლა.

— და პირდაპირ უნივერსიტეტისკენ გამოგიწია გულმა?

— სხვა უმაღლეს სასწავლებელზე არც მიფიქრია. ჩავაბარე უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე. 4 წელი ვსწავლობდი და კორიფეები მასწავლიდნენ –რევაზ სირაძე, გრიგერ ფარულავა, ელგუჯა ხინთიბიძე, ლაურა გრიგოლაშვილი... ესენი ჩემთვის პატიოსნების და პროფესიონალიზმის მაგალითები არიან. ბატონი რევაზ სირაძე, ფაქტობრივად, ჩემი მოძღვარია.

მერე დავამთავრე მაგისტრატურა ძველი ქართულის განხრით. ახლა დოქტორანტურისთვის ვემზადები და, ღვთის შეწევნით, ალბათ ჩავაბარებ.

— საქართველოში ერთგვარი პრობლემაა არაქართულენოვანი მოსახლეობისთვის ქართულის სწავლება. ამიტომ მართლა მნიშვნელოვანია, თქვენნაირმა ადამიანებმა გაუწიონ დახმარება მათ, რომ საქართველოს სახელმწიფო ენა ყველა მოქალაქემ იცოდეს...

— დიახ, ეს პრობლემაა, მაგრამ არა დაუძლეველი.

აზერბაიჯანელი მოსახლეობა ისტორიულად საქართველოს ერთგული იყო. ისინი ძნელბედობის ჟამს, ერეკლე მეორეს დროშის ქვეშ იბრძოდნენ. ანუ იმ პერიოდში ქართველ და აზერბაიჯანელ ხალხთა შორის ბარიერი არ არსებობდა. მერე, როცა რუსები შემოვიდნენ და საქართველომ დამოუკიდებლობა დაკარგა, ნელ-ნელა გაუცხოების მომენტი დადგა და აზერბაიჯანელი მოსახლეობაც თავის ენას დაუბრუნდა. მათ რუსულიც კი არ იცოდნენ კარგად.

რაც შეეხება ინტეგრაციას, ის ორმხრივი უნდა იყოს. საჭიროა, ქართველებმაც იცოდნენ, რომ აზერბაიჯანელი ხალხი მისი ერთგულია. მაგალითად, არაფერი ვიცოდი ხუდია ბორჩალოელის გმირობის შესახებ. რამდენიმე წლის წინ სრულიად შემთხვევით აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძისგან გავიგე და ამაყი ვიყავი, რადგან თურმე საქართველოში უცხო სხეული კი არ ვარ, არამედ აქტიური მონაწილეობა მიმიღია ამ ქვეყნის სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაში. ვფიქრობ, ერთგვარი ნდობის ფაქტორია აღსადგენი.

— გეთანხმებით, და, ვფიქრობ, რომ სხვებთან ერთად თქვენც უნდა შეძლოთ წვლილის შეტანა ამ პრობლემის მოგვარებაში.

— აზერბაიჯანულ-ქართულ ურთიერთობათა ისტორიაში მეცნიერს არ უმუშავია. ვაპირებ ამ სიცარიელის ამოვსებას და ამ მიზნით თარგმანს მოვკიდე ხელი. საქმე ისაა, რომ შუა საუკუნეების აზერბაიჯანელი მწერლები და პოეტები ქართული საზოგადოებისთვის ძირითადად უცნობია და მინდა, ამ პერიოდის აზერბაიჯანული კულტურა ქართველ ხალხამდე მივიტანო.

— თარგმანი საკმაოდ რთული ხელოვნებაა, რადგან ორივე ენას ძირფესვიანად უნდა იცნობდე. იმდენად კარგად ფლობ ქართულ ენას, დარწმუნებული ვარ, ყველაფერი კარგად გამოვა, მაგრამ მაინც მინდა გკითხო — რა დამოკიდებულება გაქვს ქართული ენისადმი, რას ნიშნავს ეს ენა შენთვის?

— საერთოდ, ის, რომ ერს დაუშალო — საკუთარ ენაზე განავითაროს ლიტერატურა, მკრეხელობა და ბარბაროსობაა. წამიკითხავს ძველი ქართული ნაწარმოებები და ვიცი, მათში რა სასოებაა გამოხატული ენისადმი. მარტო იოანე ზოსიმეს „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“ რად ღირს. ყველა ამ ძეგლში ენის მეშვეობით ქართული სულია გასაგნებული. ამის უარყოფა და სხვა ენით ჩანაცვლება ერის სულიერ გადაგვარებას და დამახინჯებას გამოიწვევს. ამიტომაა ჩემთვისაც მნიშვნელოვანი 14 აპრილი და დღეს, როცა ინგლისური ენა საქართველოში ასე ძალუმად შემოდის და ახალგაზრდობა ნახევრად ინგლისურად და ნახევრად ქართულად ლაპარაკობს, არ უნდა დაგვავიწყდეს, რა გზა გამოვიარეთ ქართული ენის შენარჩუნებისთვის. ყველას უნდა გვახსოვდეს, რომ ენა ცოცხალი ორგანიზმია და ის შეიძლება მოკვდეს.

თანადგომა

საქართველო შეძრა რუსეთში დატრიალებულმა ტრაგედიამ, რომელმაც ქართველი ხალხის ერთგული მეგობრის, პოლონეთის პრეზიდენტის ლეხ კაჩინსკის, მისი მეუღლისა და პოლონეთის მთავრობის წევრთა ნაწილის სიცოცხლე შეიწირა.

ლეხ კაჩინსკი იყო პოლიტიკოსი, რომელიც განუხრელად ზრუნავდა ქართველი და პოლონელი ხალხის ისტორიული მეგობრობის განმტკიცებისთვის. ბოლო პერიოდის პოლიტიკურ ბატალიებში მისი მხარდაჭერა და თანადგომა არაერთხელ უგრძვნია ქართველ ხალხს. ის იყო ერთ-ერთი პირველთაგანი, ვინც 2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომ მსოფლიოს ხუთი ქვეყნის პრეზიდენტთან ერთად ჩამოვიდა თბილისში და წინ აღუდგა რუსეთის აგრესიას საქართველოს წინააღმდეგ, ვინც არასოდეს უშინდებოდა ქართველი ხალხის ღია მხარდაჭერას მნიშვნელოვან მომენტებში.

ლეხ კაჩინსკი თსუ-ის საპატიო დოქტორი იყო. პოლონეთის პრეზიდენტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს 2007 წლის 16 აპრილს სტუმრობდა. საუნივერსიტეტო საზოგადოებასთან შეხვედრაზე მან ისაუბრა ევროპული ქვეყნების, მათ შორის საქართველოს განვითარების გზებზე და აღნიშნა, რომ საქართველო, როგორც ერთ-ერთი უძველესი ევროპული ქვეყანა, სრულიად ბუნებრივად უკავშირებს თავის მომავალს ევროკავშირსა და ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს. „პოლონეთი ამ მიმართულებით საქართველოს პარტნიორი და მეგობარი ქვეყანა იქნება!“ — განაცხადა მაშინ პოლონეთის პრეზიდენტმა და ისტორიულად ძალზე მოკლე დროში დაადასტურა საქართველოსადმი თანადგომისა და მხარდაჭერის მკვეთრი პოზიცია.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი უერთდება ქართველი ხალხის თანადგომას და ამ მძიმე გლოვის დღეებში გულწრფელ სამძიმარს უცხადებს პოლონელ ერს თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის უშიშარი მებრძოლის, პრეზიდენტ ლეხ კაჩინსკის გარდაცვალების გამო.

„ჩემი მოსწავლეების უმეტესობა სწავლის გაგრძელებას საქართველოში აპირებს“

ყოველ დილით ანა ბაბლუანი ავტობუსში ჯდება და თბილისიდან ისტორიული ქვემო ქართლის მიმართულებით, მარნეულის რაიონში მიემგზავრება. ამ რეგიონში მოსახლეობის უმეტესობას აზერბაიჯანელები შეადგენენ, სალაპარაკო ენაც, შესაბამისად, აზერბაიჯანულია. ალგეთი ერთ-ერთი დიდი სოფელია, სადაც 5000-მდე ადამიანი ცხოვრობს. ანა მასწავლებელი კი ყოველ დღე იმიტომ გადის ამხელა გზას, რომ აზერბაიჯანელ ბავშვებს ქართული შეასწავლოს.

შურთხია ბერეშვილი

„ეს გადაწყვეტილება ჯერ კიდევ 1978 წელს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მივიღე. იმთავითვე გამოვეხმაურე ექსპრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანიას ინიციატივას, რომელიც ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ქართული ენის შესწავლის მიზნით სამუშაოდ იწვევდა პედაგოგებს. პირველად სოფელ იმირჭალის საჯარო სკოლაში ვასწავლიდი, ამჟამად კი ალგეთის I და II საჯარო სკოლებში ვასწავლი ქართულ ენასა და ლიტერატურას“, — ამბობს ანა ბაბლუანი.

ამჟამად ანა ბაბლუანი პრეზიდენტის ინიცირებულ პროგრამაშია ჩართული, რომელსაც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი ახორციელებს. პროგრამის მიზანია, ხელი შეუწყოს სახელმწიფო ენის სწავლებას ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში.

2009 წელს გამოცხადდა კონკურსი, რომელშიც 500-მდე ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. კონკურსის საფუძველზე 50 პედაგოგი შეირჩა და გაიგზავნა ეთნიკური უმცირესობით დასახლებულ რეგიონებში: ახალქალაქის, ნინოწმინდის, წალკის, ბოლნისის, გარდაბნის, მარნეულისა და კახეთის საჯარო სკოლებში. პედაგოგებმა გაიარეს ტრენინგები: „ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების მეთოდიკა“, „ეთნიკური და რელიგიური ტოლერანტობა“ და „აზერბაიჯანული, სომხური ენა“. კონკურსში გამარჯვების შემდეგ ანა ბაბლუანი ალგეთში დარჩა, სადაც უფროსკლასელებს ქართულ ენას ასწავლის. მისი ინფორმაციით, მოსახლეობის უმეტესობამ, განსაკუთრებით უფროსმა თაობამ ქართული არ იცის, მაგრამ წინა წლებთან შედარებით დაინტერესება მნიშვნელოვნად გაიზარდა.

„მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს მხრიდან ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ქართული ენის სწავლებისათვის მრავალი პროგრამა თუ პროექტი ხორციელდება, ჯერჯერობით ეს პრობლემა ამ რეგიონში ისევ არსებობს. განსაკუთრებით მძიმე ვითარებაა რაიონული ცენტრებიდან დაშორებულ სოფლებში“, — აცხადებს ქალბატონი ანა.

მნიშვნელოვანია, რომ ამ რეგიონებში პროექტის ფარგლებში შეიქმნა ქართული

ენის კლუბები, სადაც ნებისმიერი ასაკის ადამიანს შეუძლია გაწევრიანება და ქართული ენის, საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიის შესწავლა. კლუბების მოსაწყობად და სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვისთვის ცენტრმა პროექტში ჩართულ სკოლებს საჭირო ინვენტარი, აუდიო ვიდეო აპარატურა, სასწავლო ვიზუალური მასალა და სასწავლო ნივთები გადასცა.

ანა ბაბლუანი პროექტის ფარგლებში მრავალ ღონისძიებას ახორციელებს. გასულ წელს მისი თაოსნობით ალგეთის 1 და 2 საჯარო სკოლებში მასშტაბური ღონისძიება — „საახალწლო ტრადიციები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში“ გაიმართა, სადაც მოსწავლეებმა საქართველოს ყველა კუთხისთვის დამახასიათებელი ტრადიციები გაიხსენეს, შეასრულეს ქართული ნაციონალური ცეკვები და სიმღერები. ღონისძიებას განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებიც დაესწრნენ.

„მიხარია, ახალგაზრდობამ გაიაზრა, რომ ქართული ენის დაუფლება ქართულ საზოგადოებაში მათ ინტეგრირებას შეუწყობს ხელს. თუ რამდენიმე წლის წინ უმრავლესობა ბაქოში მიდიოდა უმაღლესი განათლების მისაღებად, ახლა მათ მეტი მოტივაცია აქვთ — სწავლა საქართველოში განაგრძონ. სახელმწიფო ახორციელებს სპეციალურ პროგრამას, რომლის თანახმად მათ საშუალება აქვთ ჩააბარონ საქართველოს ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელში, სასურველ ფაკულტეტზე. ჩემი მოსწავლეების უმეტესობა სწავლის გაგრძელებას სწორედ საქართველოში აპირებს“, — აცხადებს ანა ბაბლუანი.

ანა მასწავლებლის სწავლების მეთოდი საინტერესო და სახალისოა. ძირითადად განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გამოცემულ სახელმძღვანელოებს: „თავთავი-1“, „თავთავი-2“ და „თავთავი-3“ იყენებს, და კიდევ, თუ შეატყო, რომ უფროსკლასელმა ჯერ კიდევ არ იცის ქართული კარგად, თავიდან იწყებს მასთან მუშაობას.

ანა მასწავლებელმა კარგად იცის, რა დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობებისთვის ქართული ენის შესწავლას, ამიტომ ყოველ დღე ხალისით ჯდება ავტობუსში და ისტორიული ქვემო ქართლის მიმართულებით მიემგზავრება.

სიახლე

უნივერსიტეტის დოქტორანტი საჯარო სკოლებში ლექციების კითხვას იწყებს

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის „კულტურის მეცნიერებების“ სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი ირაკლი ჩხაიძე საჯარო სკოლებში ბოლო კლასების მოსწავლეთათვის იწყებს საჯარო ლექციების კითხვას კულტურის მეცნიერებების, კულტურათა და ცივილიზაციათა შორის დიალოგის თემაზე. ირაკლი ჩხაიძემ საჯარო სკოლებში ლექციების კითხვის უფლება 2009 წელს „რუსთაველის ფონდის“ მიერ გამოცხადებულ სასტიპენდიო კონკურსში გამარჯვების გზით მოიპოვა. ახალგაზრდა მეცნიერთათვის დაწესებულ ილია ჭავჭავაძის სტიპენდიის მოსაპოვებელ კონკურსში წარმატებამ მას სკოლის მოსწავლეთათვის იმ ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების საშუალება მისცა, რაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჯერ ბაკალავრიატში, შემდეგ მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში სწავლის დროს შეიძინა. სკოლებში მეცნიერების პოპულარიზაციის მიზნით დაგეგმილი ლექციების წაკითხვის ინიციატივას ახალგაზრდა კულტუროლოგი ირაკლი ჩხაიძე დიდი ინტერესით გამოეხმაურა — იგი სკოლის მოსწავლეთათვის ლექციების წარმართვას იმ აქცენტებით აპირებს, რაც ქართული სახელმწიფოს პრობლემებს და კულტურათა დიალოგის გზით მათი გადაჭრის პერსპექტივებს უკავშირდება. კულტუროლოგიის, როგორც სასწავლო საგნად სკოლებში შეტანაზე და კულტურის მეცნიერებებში ლექციების ჩატარებაზე მოთხოვნილება კი, როგორც გაირკვა, განათლების სისტემის მესვეურებისგან გაჩნდა.

ნინო კაკულია

თუ რომელ საჯარო სკოლებში წაიკითხავს ლექციებს, იგი ამას რუსთაველის ფონდთან შეთანხმებით შეარჩევს. პირველი საცდელი ლექცია კი უნივერსიტეტის დოქტორანტმა თბილისის 23-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებთან ჩაატარა და როგორც თავად ამბობს, ნათლად დაინახა, რაოდენ მნიშვნელოვანია, როცა კულტურულ ურთიერთობათა სახელმწიფოებრივ მნიშვნელობაზე ახალგაზრდა თაობას პირისპირ გაესაუბრა. ლექცია დაიწყო იმის გარკვევით, თუ რა არის კულტურის მეცნიერება? რა არის კულტუროლოგია, რის შესახებაც, როგორც საგანსა და მის რაობაზე, მოსწავლეებს ზედაპირული წარმოდგენა აქვთ იმის მიუხედავად, რომ კულტურათა შორის დიალოგი ჩვენს მრავალეთნიკურ და მრავალრელიგიურ ქვეყანაში სახელმწიფოებრივი მნიშვნელობისა და დონის პრობლემების გადაწყვეტის წინაპირობაა.

„ლექციები, ამ ეტაპზე, არის ერთჯერადი, თუმცა 23-ე საჯარო სკოლის დირექციასთან საუბრის დროს გამოითქვა სურვილი, რომ კარგი იქნება, თუკი კულტურის მეცნიერებების საკითხებზე ლექციები ციკლის სახით ჩატარდება“ — აღნიშნა ჩვენთან საუბარში ირაკლი ჩხაიძემ.

შემდეგი ლექციები, რომელიც გაზაფხულსა და შემოდგომაზე ჩატარდება, მრავალ-

ეთნიკურობის პრობლემებს შეეხება — ამ კუთხით ჯერ კიდევ აღმოსაფხვრელია ის ტენდენციები, რაც ჩვენს საზოგადოებაში მავნე ზეგავლენის წყალობით შემორჩენილია – იგულისხმება განსხვავებული ეთნიკური და რელიგიური მიკუთვნებულობის მქონე ადამიანების ზოგჯერ არასახარბიელო კონტექსტში მოხსენიება.

„კულტურათაშორის დიალოგზე ჩატარებული ლექცია თავისთავად გულისხმობს მშვიდობიანი თანაარსებობის თემაზე აქცენტირებას და მოქალაქეებში ამისთვის საჭირო უნარ-ჩვევების გაღვივებას. არა მარტო საქართველოში, არამედ, ზოგადად, მთელ მსოფლიოში, განსაკუთრებით 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული აქტის შემდეგ, განსაკუთრებით აქტუალური გახდა კულტურებს შორის დიალოგის აქტივაცია. თავი რომ დავანებოთ ქვეყნის გარეთ მიმდინარე პროცესებს, საქართველოს უსაფრთხოებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია კულტურათა დიალოგი, ვინაიდან ჩვენ მრავალეთნიკურ სახელმწიფოს წარმოვადგენთ, გვაქვს ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონები — ამიტომ მათთან დიალოგი, ტოლერანტულობა, შემწყნარებლობა, მათი აზრის პატივისცემა და მათი მაქსიმალური ინტეგრაცია ქართულ სახელმწიფოში – არის ერთ-ერთი მთავარი გარანტი საქართველოს უსაფრთხოებისა — ლექციის კითხვისას სწორედ ამ თემებზე მინდა გავამახვილო ყურადღება“, — ამბობს ირაკლი ჩხაიძე და ნათლად გვისაბუთებს ახალგაზრდებთან სასაუბროდ ჩამოყალიბებული თეზისების მნიშვნელობას.

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, თუ რამხელა ყურადღებას უთმობს საქართველოს ხელისუფლება კულტურათა დიალოგის წყალობით კონფლიქტურ რეგიონებთან ურთიერთობების მოგვარების საკითხს, რომელიც სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე აქვს აყვანილი, მაშინ გასაგები იქნება უნივერსიტეტის დოქტორანტის ირაკლი ჩხაიძის კონცეპტუალური მიდგომა სკოლებში ლექცია წაიკითხოს სწორედ იმ აქცენტების გათვალისწინებით, რომ, თავის დროზე, აფხაზეთთან და ოსეთთან დაძაბული ურთიერთობები ქართულ მოსახლეობას მათთან კულტურული დიალოგის ნაკლებობის გამო შეექმნათ.

„ჩვენ თუკი წარსულში დაშვებულ შეცდომებს გავითვალისწინებთ და მოვახდენთ მის გადაფასებას, თუ რამ გამოიწვია ეთნიკური ჯგუფების ერთმანეთთან დაშორიშორება, აუცილებლად მივალთ იმ დასკვნამდე, რომ საჭიროა ახალი მიდგომების შემუშავება, ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული პოლიტიკის წარმოება – ეს იქნება ერთ-ერთი ხელისშემწყობი და განმაპირობებელი ფაქტორი მომავალში საქართველოს გაერთიანებისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა. ჩვენი მრავალეთნიკურობა ჩვენივე სიძლიერეა, რაშიც მრავალკულტურულობასაც ვგულისხმობ. ყოველ ეთნიკურ ჯგუფს მისთვის დამახასიათებელი ორიგინალური კულტურა აქვს და ჩვენს სახელმწიფოში მათი თანაარსებობისთვის მაქსიმალურად სასათბურე პირობების შექმნა და ამ რესურსის გამოყენება სწორად არის დასაგეგმი. ამ პრობლემებზე გადის კულტურის მეცნიერებები და ამიტომ ამაზე საუბარი მომავალ თაობასთან, სკოლის მოსწავლეებთან, ახალგაზრდებთან დღესვეა დასაწყები, რადგან რამდენიმე წლის შემდეგ უკვე ისინი გახდებიან მთავარი ფიგურები ამ დიალოგის კუთხით საუბრების წარმართვის თვალსაზრისით. კარგი იქნება, თუკი მათ საფუძველშივე ექნებათ წარმოდგენა იმაზე — თუ რატომ უნდა სცე პატივი განსხვავებულ აზრს, რატომ უნდა აღიარო სხვა ეთნიკური თუ რელიგიური ჯგუფის წარმომადგენელი შენს თანასწორად? რატომ არ უნდა იყო აგრესიულად განწყობილი სხვა სახელმწიფოს კულტურული წრეების წარმომადგენლების მიმართ. ამ თემებზე საუბარი ჩვენს ახალგაზრდობას სკოლიდანვე სჭირდება და დარწმუნებული ვარ, რომ ამ მიმართულებით მათაც ბევრი შეკითხვა ექნებათ უკვე მომზადებული. მე კი პასუხის გასაცემად მზად ვარ“, — აღნიშნა ირაკლი ჩხაიძემ, რომელიც ლექციებს არა მხოლოდ თბილისის საჯარო სკოლებში წაიკითხავს, არამედ, შემოთავაზების თანახმად, მას კულტუროლოგიის თემაზე ლექციები რეგიონის რამდენიმე სკოლაშიც ექნება ჩასატარებელი.

უნივერსიტეტის დოქტორანტის ლექციები საჯარო სკოლებში ხელს შეუწყობს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოპულარიზაციასაც იმ კუთხით, რომ უნივერსიტეტის წიაღში აღზრდილი დოქტორანტი, რომელიც კულტურის მეცნიერებებზე მუშაობს და ამჯერად ამუშავებს სადოქტორო თემას: „ქართული ნაციონალური პროექტის დინამიკა პოსტსაბჭოთა პერიოდში“, სკოლის მოსწავლეებთან თსუ-ის სახელით წარსდგება. როგორც ირაკლი ჩხაიძე აცხადებს, ის სწორედ იმ უნივერსიტეტს წარმოადგენს, სადაც კულტუროლოგიის მნიშვნელობა სახელმწიფოს ინტერესების ჭრილში ყველაზე უკეთ იქნება დანახულიც და ახალგაზრდებისთვის მიწოდებულიც. ამიტომ იქნება, ალბათ, შთამბეჭდავი იმის მოსმენა — თუ რა მენტალიტეტზე და ცოდნაზე დამყარებულ ინფორმაციას მისცემს უნივერსიტეტში აღზრდილი დოქტორანტი მათ.

„იდეოლოგიზებული მაკულატურისგან“ გათავისუფლებული თანამედროვე ლიტერატურა

ქართული ენის დაცვის ლოზუნგით საყოველთაო გამოსვლები ლიტერატორებისთვის ტოტალიტარული მარწუხებისგან ლიტერატურული ღირებულებების გადარჩენისთვის ბრძოლის ტოლფასი იყო, რადგან ქართული ენის დაცვასთან ერთად მოსაპოვებელი იყო ის თავისუფლებაც, რაც იმ პერიოდში შეზღუდული მხატვრული აზროვნებისთვის აუცილებელ საკვებს წარმოადგენდა. მაშინ ვითარების ტრაგიზმს ქმნიდა ამ სფეროში მოღვაწე არა მხოლოდ ცალკეული ადამიანების ბედის მსხვრევა მათი იდეოლოგიური ზომბირების გზით, არამედ ლიტერატურული პროცესის მთლიანი პარადიგმის წყვეტა, რასაც, როგორც წესი, ხანგრძლივი კულტურული რეაბილიტაცია ესაჭიროებოდა. ამ თემებზე ღია დისკუსიის გამართვა მხოლოდ ახლა გახდა შესაძლებელი, როცა საბჭოთა პერიოდის დროინდელ ტაბუდადებულ თემებს უკვე თამამად ხდის ფარდას თავისუფალი ქართული საზოგადოება. აღსანიშნავია, რომ გასული წლის 7-9 ოქტომბერს თბილისში გამართულ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციას — „ტოტალიტარიზმი და ლიტერატურული დისკურსი“ სამეცნიერო წრეებში დიდი გამოხმაურება მოჰყვა და ჰუმანიტარული მეცნიერებების სფეროში ერთ-ერთ ყველაზე მასშტაბურ სამეცნიერო მოვლენად იქცა. მწარე გამოცდილების თვალსაჩინოდ წარმოდგენა დღევანდელ ლიტერატურულ პროცესებს ერთგვარ ბიძგს მისცემს იმისთვის, რომ თანამედროვე პირობების გათვალისწინებით და შემოთავაზებული თავისუფლების სივრცეში ჭეშმარიტ ლიტერატურულ ღირებულებებს ემსახუროს — წარსული ჭრილობების ნაკვალევზე სიარული სწორედ ამის შეხსენებაა. ამიტომ გახდა მეცნიერთათვის ეს თემა საკვლევი და გასაანალიზებელი, რის შესახებაც უფრო დეტალურად ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ზოგადი და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის ინსტიტუტის ხელმძღვანელი ირმა რატიანი გვესაუბრა.

ნინო კაკულია

— რა მარწუხებში ექცევა ლიტერატურა ტოტალიტარული რეჟიმების პირობებში და ამ ხნის მანძილზე რა გამოცდილება დაგროვდა ამ მიმართულებით?

— ლიტერატურა, მოგეხსენებათ, არის კონცეპტუალური რეაქცია რეალურად მიმდინარე პროცესებზე. კონტექსტი, რომლის წიაღშიც ყალიბდება მხატვრული ტექსტი, ყოველთვის პოულობს ასახვას ამავე ტექსტის აზრობრივ თუ გამომსახველობით შრეებში. თუკი გავითვალისწინებთ ლიტერატურის თანდაყოლილ სწრაფვას ინტელექტუალური და გამომსახველობითი თავისუფლებისაკენ, ცხადად შეიძლება წარმოვიდგინოთ ის წინააღმდეგობა, რომელიც ტოტალიტარული რეჟიმების პირობებში იქმნება მხატვრულ ტექსტსა და რეალურ კონტექსტს შორის. ტოტალიტარიზმის, როგორც ძალადობრივი მმართველობის უპირველესი ნიშანი იდეოლოგიური დიქტატურის შექმნაა, რაც გულისხმობს კლიშეების ფორმირებასა და დანერგვას, რაც, ცხადია, მნიშვნელოვნად ზღუდავს ლიტერატურული თავისუფლების ფარგლებს. ამის ნათელი მაგალითია გასული საუკუნის 20-იანი წლები, როდესაც ქართულ ლიტერატურაში დამკვიდრებული მოდერნისტული ტენდენციები კონცეპტუალურ ანტაგონიზმში აღმოჩნდა საბჭოთა დიქტატურის იდეოლოგიურ პრინციპებთან. სულიერი ღირებულებების დესტრუქციით აღნიშნული პოლიტიკური კურსი იმთავითვე დაუპირისპირდა შინაგანი, სულიერი ძიებით აღნიშნულ ლიტერატურულ პროცესს, რომელმაც, თავის მხრივ, ზუსტად აირეკლა ეპოქის კრიზისი — ის საერთო სკეპტიციზმი და ნიჰილიზმი, რომელიც სუფევდა ინტელექტუალური ტერორით დათრგუნულ საზოგადოებაში. დაპირისპირებამ ტოტალიტარულ რეჟიმსა და მხატვრულ-ლიტერატურულ აზროვნებას შორის მტკივნეული გამოცდილების ათეული წლები მიითვალა და ქართული კულტურის ისტორიის უმნიშვნელოვანესი ეტაპი შექმნა.

— რაში გამოიხატება ის გავლენა ლიტერატურაზე, რასაც ტოტალიტარული სახელმწიფოები ახდენენ ამ სფეროში მოღვაწე პიროვნებებზე?

— ამგვარი გავლენის გამოხატვის სხვადასხვა ასპექტები შეიძლება ჩამოითვალოს: პირველ ყოვლისა, მწერლების იდეოლოგიური ზომბირება და ტერორის გზით მათი ჩაყენება დიქტატურის სამსახურში. ამ დროს შიში ერთგვარი ჰერმესის ფუნქციას ასრულებს იერარქიულ სახელმწიფო მანქანასა და ხელოვნებას შორის, ხოლო, შედეგად, იქმნება ჭეშმარიტ მხატვრულ ღირებულებას მოკლებული იდეოლოგიზებული მაკულატურა. თუმცა, ამავე პროცესს მეორე მხარეც მოეძებნება დაუმორჩილებელი ნონკონფორმისტების ბრძოლის სახით — მწერალი უპირისპირდება თავსმოხვეული ბედნიერების ზედაპირულ ილუზიას და ირჩევს შემოქმედებითი პროტესტის აქტიურ ფორმას. ასეთ შემთხვევაში მწერალი მარტივად იქცევა „მტრად“, ხოლო მისი შემოქმედება — ანტისახელმწიფოებრივ მოღვაწეობად, რასაც ყოველთვის ერთი დასასრული აქვს: დასჯა. ამ მიზეზით დასჯილ ქართველ მწერალთა საკმაოდ ვრცელი ჩამონათვალი შეიძლება გაკეთდეს.

— ბრძოლის რა მექანიზმები არსებობს ტოტალიტარული რეჟიმების წინააღმდეგ? „ირიბად ნასროლი ქვების“ სტრატეგიას რამდენად სცნობს ამ პერიოდების ლიტერატურა?

— ტრადიციულად, არსებობს ბრძოლის პირდაპირი და ირიბი გზები. პირდაპირი გზა, რასაკვირველია, განსაკუთრებული სიმამაცის მქონე შემოქმედთა ხვედრია: მწერლები მიდიან მსხვერპლზე, ვინაიდან მიაჩნიათ, რომ ყველა სხვა გზა ან კომპრომისია, რომელსაც ისინი ვერ დაუშვებენ, ანაც — არსებობის გახანგრძლივების გაუმართავი მექანიზმი. შესაბამისად, მონური საზოგადოების „იდეალური ტიპის“ წინააღმდეგ ამბოხებული არა ერთი მწერალი შეგნებულად შეგებებია დახვრეტას, გადასახლებას, თუნდაც — თვითმკვლელობას. არანაკლებ სუსხიანია „ირიბად ნასროლი ქვების“ სტრატეგია, თუმცა ის უფრო პარტიზანულ ბრძოლას ჩამოჰგავს — პრინციპით: „ვიჩქაროთ ნელა“. მწერლები იბრძვიან მათ ხელთ არსებული ყველა იარაღით — სატირით, ალეგორიით, ირონიით, აბსურდით; იბრძვიან საკუთარ ტერიტორიაზე და მის გარეთ — ემიგრაციაში, ღიად და „იატაკქვეშეთში“. ორივე გზა ეფექტურია მიზნის მისაღწევად, თუმცა, პირველ შემთხვევაში, მწერალი თავად არის ტრაგიკული პერსონაჟი, რომელიც მსხვერპლად ეწირება საკუთარ პრინციპებს, მეორე შემთხვევაში კი ის მხოლოდ ტრაგიკოსია, რომელიც ცდილობს, მითის ქმნადობის მძაფრი პროცესით ჩაანაცვლოს რეალობა.

— რას კარგავს სახელმწიფო ლიტერატურული ღირებულების თვალსაზრისით იმ შემთხვევაში, როდესაც მარწუხებში აქცევს ამ სფეროს და რა გამოსავალი არსებობს რეალური ლიტერატურული სახეების გადარჩენისა ასეთ დროს?

— დანაკარგი, ლიტერატურული ღირებულების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია: როგორც უკვე მოგახსენეთ, არსებობს იდეოლოგიზებული მაკულატურის შექმნის რეალური საფრთხე. ტოტალიტარული რეჟიმების პირობებში მხატვრული ლიტერატურის საკმაოდ დიდი სივრცე სახელმწიფო სისტემის ტრუბადურთა „შედევრებითაა“ ამოვსებული, რომლებიც, სამწუხაროდ, მხოლოდ ქრონოლოგიური და რაოდენობრივი თვალსაზრისით არიან მნიშვნელოვანნი: დაიწერა ამ დროს და ამდენი, თემა — იდენტური. მაგრამ მხატვრული ლიტერატურა ვერ შეფასდება ვერც მხოლოდ ქრონოლოგიური და ვერც მხოლოდ რაოდენობრივი თვალსაზრისით, შეფასების ერთ-ერთი მთავარი კრიტერიუმი, კონცეპტუალურ და მხატვრულ ინოვაციებთან ერთად, ინტელექტუალური და რეპრეზენტაციული თავისუფლების ხარისხია, რომელზეც ზემოთ ვსაუბრობდი. როდესაც პროცესი ხანგრძლივია, ანუ ტოტალიტარული მმართველობა თითქმის საუკუნეს ითვლის, ის, რასაკვირველია, განსხვავებულ პერიოდებს მოიცავს: მოინიშნება მეტად და ნაკლებად რადიკალური, შედარებით ლიბერალური, ინერტული ან პირიქით, გააქტიურებული და სხვა ტიპის პერიოდები, თუმცა ყოველი მათგანი სერიოზულ ზიანს აყენებს ლიტერატურული თავისუფლების იდეას. გამოსავალს ჩიხიდან მხოლოდ ნონკონფორმისტები პოულობენ. პარადოქსია, მაგრამ ჭეშმარიტი ლიტერატურული სახეების გადარჩენას უკიდურესად ტირანულ ვითარებაშიც კი არ ემუქრება საფრთხე, ვინაიდან ღირებულს გადაარჩენს დრო და არა ცალკეული ადამიანების ნება-სურვილი, როგორი წარმატებული დიქტატორებიც უნდა იყვნენ ისინი.

— საქართველოს ისტორიაში როდის დადგა ლიტერატურისთვის ის მძიმე პერიოდი, როდესაც რეჟიმისთვის ანგარიშის გაწევა იქცა ამოსავალ წერტილად და რა მაგალითები არსებობს მისი დაკნინებისა?

— ამ თვალსაზრისით ყველაზე რთული პერიოდი ქართულ ლიტერატურაში გასული საუკუნის 20-იან წლებში დადგა, როდესაც კომუნიზმი უტოპიური ოცნებიდან რეალიზებული პროექტის სახით ჩამოყალიბდა. ახალგაზრდა საბჭოთა წყობილება გაშლილი ფრონტით მკვიდრდებოდა იძულებით გაერთიანებული ქვეყნების ტერიტორიებზე; ყალიბდებოდა სპეციფიკური საბჭოთა ტექსტი, სადაც სხვა პოლიტიზებული ტერმინების გვერდით საპატიო ადგილი ეჭირა ცნებებს — „საბჭოთა მწერლობა“, „სოციალისტური რეალიზმი“, „საბჭოთა კრიტიკული სკოლა“, რომლებიც ზედმიწევნით კარგად გამოხატავდა იდეოლოგიის ნიშნით მარკირებული ლიტერატურის პრიორიტეტულობას და განსაკუთრებულ პრივილეგიებსა და პატივს ჰპირდებოდა მუზის მსახურებს. ერთი მხრივ — შიში, მეორე მხრივ — სტაბილური კეთილდღეობის გარანტია ძლიერი ბიძგი აღმოჩნდა მათთვის, ვინც ნაკლებად ფიქრობდა საუკუნო დიდებაზე. იქმნებოდა დითირამბული ლექსები და ოდები საბჭოთა ქვეყნის მესაჭეებზე; იწერებოდა სქელტანიანი რომანები საბჭოთა ადამიანების კოლექტიურ შრომასა და შრომით გმირობებზე, ძმობის, ერთობისა და თანასწორობისათვის მებრძოლი ხალხის ცხოვრებაზე და მათ დაუნდობელ ბრძოლაზე ჯერ კიდევ შემორჩენილ ბურჟუა-არისტოკრატებთან; საბჭოთა კრიტიკა ხოტბას ასხამდა ამგვარ ლიტერატურულ ექსპერიმენტებს და ამასაც არ სჯერდებოდა: უმოწყალოდ ასახიჩრებდა იშვიათობად ქცეული ხარისხიანი მწერლობის ინტერპრეტაციას. ამგვარი არასწორი, მიუღებელი ინტერპრეტაციის მსხვერპლად არაერთი ქართველი მწერლის საეტაპო მნიშვნელობის მქონე ტექსტი იქცა. საშუალო ნიჭისა და შესაძლებლობის ავტორებმა კარგად აუღეს ალღო მიმდინარე პროცესს, თუმცა, სამწუხაროდ, ბზარი მეტრებსაც შეეპარათ: რა იყო ამის მიზეზი? ალბათ ის, რომ ყველანი ადამიანები ვართ.

— ქართული ენის დაცვის დღე იყო თუ არა საქართველოში ლიტერატურის მარწუხებიდან განთავისუფლების დღეც, ამავე დროს, თუ ლიტერატურული ღირებულებანი ისევ დარჩა გადასარჩენი ჩვენი თანამემამულეებისგან?

— ქართული ენის დაცვის დღე მრავალი თვალსაზრისით იყო უმნიშვნელოვანესი მოვლენა საქართველოს ისტორიაში და, მათ შორის, ქართული ლიტერატურული რეალობის ტრანსფორმაციის თვალსაზრისითაც. ცხადი გახდა, რომ საზოგადოების მოქალაქეობრივი ნება, თუკი ის მომწიფებული და მონოლითურია, უფრო ძლევამოსილია, ვიდრე ნებისმიერი სახელმწიფოებრივი მანქანა. ამგვარი მოვლენა, ტრადიციულად, მუშაობს არა მხოლოდ როგორც ფაქტი, არამედ როგორც სტიმული იმისა, რომ ყურადღების მოდუნებამ საშიშ შედეგებამდე არ მიიყვანოს საზოგადოება. რაც შეეხება ღირებულებებს, ღირებულებები ყოველთვის გადასარჩენია: ყველა დროსა და ეპოქაში. ლიტერატურული ღირებულებების შკალას ხომ ბევრად განაპირობებს საზოგადოებრივი ღირებულებების შკალა, რომელსაც ის აირეკლავს? ამ თვალსაზრისით გამონაკლისს არც დღევანდელობა წარმოადგენს.

— თავისუფლების რა ხარისხზე შეიძლება დღეს მსჯელობა ამ სფეროში და რამდენად ცდილობს დღევანდელი ლიტერატურა იმ სახეების გამომსახველობის სიზუსტე დაიცვას, რაც თანამედროვეობის ხასიათს კარგად წარმოაჩენს?

— ლიტერატურული თავისუფლების ხარისხი დღეს ნამდვილად მაღალია. ვეჭვობ, რომ საგამომცემლო ან ფინანსური შეზღუდვების გარდა რაიმე სხვა ტიპის შეზღუდვები ვრცელდებოდეს მწერლებზე. ეს მნიშვნელოვანია, ვინაიდან ლიტერატურა, მისი სიღრმისეული გაგებით, რეალიზებული სათქმელის სფეროა. მონობა ყოველთვის და ყველა დროში შეიძლება აირჩიოს მწერალმა, მაგრამ, მთავარია, რომ ეს იყოს ნებაყოფლობითი და არა იძულებითი არჩევანი. თანამედროვეობის ხასიათის წარმოჩენა კი ლიტერატურის პირდაპირი მოვალეობაა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის კარგავს აქტუალობასა და დინამიურობას და იქცევა ზნეობის სტატიკურ ქადაგებად. თანამედროვე ქართული ლიტერატურული პროცესი, ცხადია, მეტ-ნაკლები წარმატებით, მაგრამ ნამდვილად უსმენს თავისი დროის ხმებს: ხმათა წარმატებული გამა კი შემოქმედებითი თავისუფლების მიღწევის მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

სიახლე

თსუ Facebook–სა და YouTube –ზე

თსუ–ს პოვნა უკვე Facebook–სა და YouTube–ზეა შესაძლებელი. ყველას, ვინც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ გვერდს ბოლო ორი კვირის განმავლობაში ეწვია, თვალში მოხვდებოდა მთავარი გვერდის ქვედა მარჯვენა კუთხეში გაჩენილი ორი ახალი ღილაკი.

ბოლო პერიოდის რეიტინგის მიხედვით Facebook–ი მოხმარების თვალსაზრისით ხშირად Google-საც კი უსწრებს და, შესაბამისად, ხშირ შემთხვევაში ინფორმაციის გავრცელების უალტერნატივო საშუალებადაც კი მოიაზრება; განსაკუთრებით კი სტუდენტებს შორის, რომელთა ცხოვრების განუყრელ ნაწილად იქცა ინტერნეტი, სოციალური ქსელები კი ადამიანებთან კომუნიკაციის ძირითად საშუალებად. თსუ-ის გვერდი Facebook–ზე უკვე ძალიან პოპულარული გახდა, 2010 წლის 24 თებერვლიდან დღემდე მისი მომხმარებელთა რიცხვი 2150–მდე ავიდა და კვლავაც ყოველ წუთს იზრდება. facebook–ის მთავარი ღირსება აზრის გამოხატვის სრული თავისუფლებაა, აქ კრიტიკასაც წაიკითხავთ და კურსდამთავრებულების ნოსტალგიურ გზავნილებსაც შეხვდებით. Facebook-ის უნივერსიტეტის გვერდზე, როგორც სოციალური ქსელებისათვისაა დამახასიათებელი, არ არსებობს ასაკი და თანამდებობა. Facebook-მა უცბად დააახლოა ისეთი ადამიანები, რომლებსაც აქამდე შესაძლოა გვერდიგვერდ ისე გაეტარებინათ წლები უნივერსიტეტის შენობებში, რომ ერთმანეთის არსებობის შესახებაც ვერ გაეგოთ, Facebook-მა სტუდენტობის წლები შეახსენა კურსდამთავრებულებს და კვლავ ჩართო საუნივერსიტეტო ცხოვრებაში. მოინახულეთ თსუ-ის Facebook ოფიციალური გვერდი მისამართზე: www.facebook.com/TbilisiStateUniversity (თსუ/TSU).

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიმდინარე მოვლენების შესახებ მხოლოდ წაკითხვა კი არა, ნახვაც შეგიძლიათ პოპულარულ ვიდეო–პორტალ YouTube-ზე. აქ პერიოდულად თავსდება საჯარო ლექციები, პრეზენტაციები, სტუდენტთა შემოქმედება. არხის ვიდეოების გამოწერა და მათზე კომენტარის გაკეთება ნებისმიერ მსურველს შეუძლია მისამართზე: www.youtube.com/TSUChannel (UNIVERSITAS TPHILISENSIS).

სტუდენტთან პირისპირ

ვპასუხობთ სტუდენტების შეკითხვებს და პრობლემების გადაწყვეტის გზებსაც ვთავაზობთ

ნინო მეგალიშვილი — მედიცინის ფაკულტეტის (სტომატოლოგიის მიმართულება) IV კურსის სტუდენტი:

— მედიცინის ფაკულტეტზე, სამწუხაროდ, ყველაზე მეტი მოუგვარებელი საკითხია, მსმენელი კი ხან გვყავს, ხან — არა. უპირველესი პრობლემაა სასწავლო და სამეცნიერო მუშაობისთვის საჭირო ბაზების არქონა. კომფორტულ და თანამედროვე ინტერიერზე ლაპარაკიც ზედმეტია. არ შეიძლება, იხდიდე 1500 ლარს ყოველწლიურად და ფეხზე მდგარი ისმენდე ლექციას. ერთი ოთახი გვქონდა „მიხაილოვის“ საავადმყოფოში, სადაც, ასე თუ ისე, ვმუშაობდით და ვმეცადინეობდით, ახლა კი, ისიც აღარ გვაქვს. ეს პრობლემა — ბაზების არქონა — გვიქმნის დაბრკოლებას თეორიული განათლების მიღების კუთხით, თორემ პრაქტიკები მუდმივად გვაქვს და ამ მხრივ სამედიცინო უნივერსიტეტსაც ღირსეულ კონკურენციას ვუწევთ.

ალექსანდრე ცისკარიძე, მედიცინის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი:

— მნიშვნელოვანია იმის დიფერენცირება, რაზეა საუბარი — კლინიკურ თუ თეორიულ სწავლებაზე. ჩვენი ფაკულტეტის ძირითადი ფუნქცია კლინიკური სწავლებაა. პირველ ეტაპზე, საწყის კურსებზე თეორიული მიმართულებით სწავლებას ჩვენთან ახორციელებს ზუსტ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის პროფესურა. ჩვენი პროგრამით სტუდენტები სწავლობენ ბიოლოგების კორპუსში შესაბამის მიმართულებებზე. შესაძლებელია, პრობლემები იყო, მაგრამ ამჟამად ეს კორპუსი თითით საჩვენებელია. როგორც ჩანს, სტუდენტი სრულად ორიენტირებული არაა ამ საკითხის არსში. რაც შეეხება კლინიკურ ბაზებს, ის პუნქტები, სადაც ჩვენი სტუდენტები პრაქტიკულ ცოდნას იღებენ, უნივერსიტეტთან ერთობლივი შეთანხმების საფუძველზე, თუმცა ანაზღაურების გარეშე, იღებენ სტუდენტებს. თუ რაიმე პრობლემა შეიქმნება, სტუდენტებმა ჩვენ უნდა გაგვაგებინონ. კომუნიკაციის პრობლემა დეკანატთან ნამდვილად არ არსებობს.

ლიკა პაპუნაშვილი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ფილოლოგიის მიმართულების IV კურსის სტუდენტი:

— 2009 წლის სამაგისტრო პროგრამები ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე არ ითვალისწინებდა უცხო ენაში გამოცდის ჩაბარებას. იქნება თუ არა სავალდებულო ეს გამოცდა 2010 წელს და შეიძლება თუ არა მისი ჩანაცვლება სათანადო სერტიფიკატის წარდგენით?

რუსუდან ჩიძოვანი, სასწავლო დეპარტამენტის ხელმძღვანელი:

— 2009-2010 სასწავლო წლამდე თსუ-ის მაგისტრატურაში ჩარიცხვის აუცილებელი წინაპირობა იყო მისაღები გამოცდების ჩაბარება უცხო ენასა და სპეციალობაში. 2009-2010 სასწავლო წლიდან, რაც მაგისტრატურაში ჩარიცხვის წინაპირობა გახდა საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება, უცხო ენის გამოცდა მოიხსნა გარდა იმ სპეციალობებისა, სადაც პროგრამის ხელმძღ-

7

რეფორმის ხარვეზი თუ სიახლესთან შეუგუებლობა?

რეფორმის ხარვეზი თუ სიახლესთან შეუგუებლობა — ასე ვსვამთ საკითხს სტუდენტურ წრეებში ჩატარებული გამოკითხვების თანახმად წამოჭრილი იმ პრობლემის გამო, რაც ცხრილებში არჩევითი საგნების თანხვედრის თემას უკავშირდება. სტუდენტები აღნიშნულ პრობლემას ხშირად აწყდებიან და საკითხის მოგვარებას ცდილობენ. სწორედ ამ მიზნით გავყევით პრობლემის კვალს ერთგვარი ანალიზის ჩასატარებლად.

ნატო ოგოლაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბოლონიის პროცესში ჩართვის შემდეგ თსუ-ის სტუდენტებს გაცილებით მეტი თავისუფლება და არჩევანის საშუალება მიეცათ. შეიცვალა ცხრილის შედგენის ტექნიკა. სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩარიცხულ ყველა სტუდენტს ინდივიდუალური ცხრილი გააჩნია, რომელსაც იგი თავად ადგენს. ირჩევს საგანს, ლექტორს, საგნის ჩატარების დროს, თუმცა, რა თქმა უნდა, ყველა ფაკულტეტზე არსებობს სავალდებულო საგანთა ჩამონათვალი, რომელთა სწავლა სტუდენტისთვის აუცილებელია და იგი არჩევანს არ ექვემდებარება. ახალმა სისტემამ სტუდენტების გარკვეული ნაწილის უკმაყოფილება გამოიწვია. ისინი ხშირად მიმართავენ სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს და აცხადებენ, რომ მათ ცხრილში რამდენიმე საგნის ჩატარების დრო ერთმანეთს ემთხვევა, რის გამოც იძულებულები არიან ერთი ლექციის გაცდენის ხარჯზე მეორე ლექციას დაესწრონ. არსებობს შემთხვევებიც, როდესაც სტუდენტი გაცდენის მიზეზს ლექტორს უხსნის, მათ შორის გარკვეული სახის „შეთანხმება“ ყალიბდება და გაცდენილი საათები საპატიოდ ეთვლება. ამ გზით სტუდენტმა შესაძლოა, ორივე საგნის ჩაბარება მოახერხოს, ან მისი ხელმეორედ გავლა მოუხდეს — ორივე შემთხვევაში იგი ზარალდება.

ამ პრობლემასთან დაკავშირებით რამდენიმე სტუდენტს გავესაუბრეთ.

„არჩევითი საგნები ემთხვევა ერთმანეთს. რადგან ჯგუფებში ადგილები შევსებული დამხვდა, სხვა საგანი ვერ ავირჩიე, ამიტომ ჯერ ზუსტად არ ვიცი — როგორ მოვახერხებ ორივე ლექციაზე სიარულს“, — ამბობს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტი ინგა პირმისაშვილი.

„ჩემი აზრით, ჯერ ცხრილები უნდა დგებოდეს და მერე ირჩევდე ლექტორს, რადგან შეიძლება ორი და სამი ლექცია ერთმანეთს დაემთხვეს. გვეუბნებიან, რომ ეს ჩვენივე ბრალია. ასეთი სახით ცხრილის შედგენა ბევრ პრობლემას გვიქმნის“, — აცხადებს ჩვენთან საუბარში სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტი ირინა მირეზაშვილი.

ლექციების ჩატარების დროის დამთხვევის პრობლემა ერთი და იმავე მიზეზის გამო მეტ-ნაკლები სიმძაფრით თსუ-ის ხუთ ფაკულტეტზე დგას: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა, იურიდიულ, ეკონომიკისა და ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტებზე. მედიცინის ფაკულტეტზე, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, სტუდენტებს ცხრილი გამზადებული ხვდებათ, რის გამოც ლექციების დროის თანხვედრა არ ხდება.

თსუ-ის ხუთი ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურებში და ადმინისტრაციაში აცხადებენ, რომ სტუდენტები მსგავსი სახის პრობლემებით ხშირად მიმართავენ და დახმარებას ითხოვენ, თუმცა ამ შემთხვევაში ხარვეზი ცხრილების შედგენის სისტემაში არ უნდა ვეძებოთ. ბოლონიის პროცესში განევრიანება თითოეულ ფაკულტეტზე ერთიანი სასწავლო ცხრილის შედგენას და სტუდენტებისთვის საგნების არჩევის პროცესში თავისუფლების მიცემას გულისხმობს. არსებობს გამონაკლისი სავალდებულო საგნების სახით, რომელთა ცხრილის შედგენისას საგნები ისე ეწყობა, რომ დროის თანხვედრა გამორიცხულია. დამთხვევა ხდება არჩევითი საგნების დროს — თითოეულ სემესტრში ხუთივე ფაკულტეტის ადმინისტრაცია სტუდენტს საკმაოდ ფართო არჩევანს სთავაზობს. ცხრილის ისე დალაგება კი, რომელიმე არჩევითი საგანი სხვა საგნის ჩატარების დროს რომ არ დაემთხვეს, შეუძლებელი და გამორიცხულია. მიზეზი მარტივია, საგნების რაოდენობიდან გამომდინარე ასეთი ცხრილის შედგენას არ ეყოფა არც კვირაში 6 სასწავლო დღე და არც უნივერსიტეტის აუდიტორიები. ამიტომ, თუკი სტუდენტს ორი საგნის აღება სურს და მათი ჩატარების დრო ერთმანეთს ემთხვევა, ადმინისტრაცია პრობლემის გადაჭერის მარტივ გზას სთავაზობს – ორივე საგნის ერთდროულად აღების ნაცვლად, ერთ-ერთი საგნის გავლა მეორე სემესტრისთვის გადადოს.

ლექციების დროის დამთხვევის პრობლემა, ძირითადად, იმ სტუდენტებს აწუხებთ, რომლებსაც საგნები აქვთ დარჩენილი ან აკადემიური რეგისტრაცია, სხვადასხვა მიზეზის გამო, გვიან გაიარეს და სასურველ საგანზე დარეგისტრირება ვერ მოახერხეს. ეს უკვე პირადად სტუდენტის პრობლემაა, რადგან ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლის გარეშე, რომელიც სწავლის საფასურის გადახდის შემდეგ ხდება, აკადემიურ რეგისტრაციას დროულად ვერ გაივლის და შესაბამისად, სასურველ საგნებზე ადგილი შევსებული ხვდება. არის შემთხვევები, როდესაც სტუდენტი ცხრილს არ ნახულობს და პირდაპირ ბაზაში ადგენს პირად ცხრილს, რაც ლექციების დროის თანხვედრის უშუალო მიზეზია. პრობლემას ქმნის სავალდებულო საგნის დარჩენაც, რომლის გავლაც ხელახლა აუცილებელია და შესაძლოა მომდევნო სემესტრში ამ დარჩენილი საგნისა და სხვა სავალდებულო საგნის ჩატარების დრო ერთმანეთს დაემთხვას.

„ჩვენს სტუდენტებს ცხრილთან დაკავშირებით სხვადასხვა სახის პრობლემა აქვთ – მათ სურთ, მხოლოდ დღის მეორე ნახევარში იარონ უნივერსიტეტში, შაბათს მოსვლისგან კი თავს იკავებენ. გვყავს სტუდენტები,

რომლებიც ამბობენ, რომ სავალდებულო საგანს იმ მიზეზით აცდენენ, რომ საღამოს ენის ცენტრში უცხო ენის ლექცია უტარდებათ და მათ შორის 5 საათიანი შუალედია. ეს სტუდენტის მხრიდან სასწავლო პროცესისადმი არასერიოზული დამოკიდებულებაა. ჩვენ მათ ავუხსენით, რომ სავალდებულო საგნების გაცდენა სერიოზულ პრობლემას შეუქმნით, რადგან უნივერსიტეტს რვა სემესტრში ვერ დაამთავრებენ. რა თქმა უნდა, მათი არასწორი არჩევანის გამო ასეთ სტუდენტებს საგნების დამთხვევის პრობლემა შეექმნებათ. თუმცა, ისეთი სტუდენტებიც გვყავს, რომლებიც სწავლასთან ერთად მუშაობენ და ცხრილი იმდენად სწორად აქვთ დაგეგმილი, რომ ამ მხრივ პრობლემა არ აქვთ. ამასთან უნდა ითქვას, რომ სასწავლო ცხრილში ტექნიკური შეცდომის დაშვება თითქმის გამორიცხულია და თუ ეს შემთხვევით მოხდა, სწავლის დაწყებიდან ერთი კვირის განმავლობაში გამოჩენილ ხარვეზებს სასწრაფოდ ვასწორებთ. ჩვენს ფაკულტეტზე ტარდება ინტენსიური სასწავლო კურსებიც, რომლებსაც საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველი ან უცხოელი პროფესორები ატარებენ.

თუ ამ ლექციებზე სტუდენტს არ შეუძლია სიარული, მაშინ მას საშუალება ეძლევა სხვა საგანი აირჩიოს. სულ ფაკულტეტზე, დაახლოებით, 60 არჩევითი საგანი გვაქვს. ჩვენს სტუდენტებს, ასევე, შეუძლიათ სხვა ფაკულტეტის საგნების არჩევაც. თუ სტუდენტი ცხრილს თავის დროზე კარგად გაეცნობა და მხოლოდ ამის შემდეგ გააკეთებს არჩევანს, იგი აბსოლუტურად დაზღვეული იქნება საგნების დამთხვევის პრობლემისგან“, — აღნიშნა იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა თეა ჯუღელმა.

ლექციების დროის დამთხვევის მიზეზად ზოგიერთი სტუდენტი უკვე შედგენილ ცხრილში შესულ ცვლილებებს ასახელებს. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა ზაალ გოგენიამ საუბრისას გვითხრა, რომ გამონაკლისის სახით მათ ფაკულტეტზე ყოფილა შემთხვევა, როდესაც რომელიმე საგანზე ჯგუფების რაოდენობის შემცირების შემდეგ ცხრილში საგნების დამთხვევის პრობლემა დამდგარა.

„ცხრილს სემესტრის დაწყებიდან 2-3 თვით ადრე ვაკეთებთ, შესაბამისად, ამა თუ იმ საგანზე ჯგუფების რაოდენობა განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ რამდენად ხშირად ირჩევენ მას სტუდენტები. მაგალითად, წინა სემესტრში არაბულ ენაზე შედგა ოთხი ჯგუფი, ამ სემესტრში კი სტუდენტების ნაწილმა საგანი ვერ დაძლია, ნაწილმა - აღარ აირჩია, შედეგად მხოლოდ ერთი ჯგუფი დარჩა, იძულებულები ვიყავით დარჩენილი სამი ჯგუფი გაგვეუქმებინა. ამ ფაქტს, შესაძლოა, რომელიმე სტუდენტის ცხრილში დამთხვევა გამოეწვია, თუმცა შემდეგ ისინი ჩვენ მოგვმართავენ და ვცდილობთ დავეხმაროთ. პრობლემა იქმნება მაშინაც, როდესაც სტუდენტს არ აქვს ცხრილი ნანახი და ისე რეგისტრირდება ბაზაში. რა თქმა უნდა, ასეთ დროს დამთხვევები ხდება“, — გვითხრა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა ზაალ გოგენიამ.

პრობლემა სიახლესთან შეუგუებლობაშიცაა. ფაკულტეტების სასწავლო პროცესის მართვის სამსახურებში მისულ სტუდენტების ნაწილს ისიც უთქვამთ, რომ ძველი სისტემა გაცილებით უკეთესი იყო, რადგან ცხრილები გამზადებული ხვდებოდათ. საგნების არჩევითობის სისტემა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2005 წლიდან ბოლონიის პროცესში განევრიანების შემდეგ დამკვიდრდა.

„საბედნიეროდ თბილისის უნივერსიტეტში აღარ არსებობს წინასწარ გაწერილი ცხრილები, რომლის მიხედვითაც სტუდენტს არჩევანის საშუალება არ ჰქონდა. ბოლონიის პროცესში ჩართვის ერთ-ერთი დადებითი შედეგი არის ის, რომ სტუდენტი თავისუფლად ირჩევს სასურველ სპეციალობას, შეუძლია შეუხამოს მისთვის საინტერესო პროგრამის სასურველ საგნებს ძირითადი დარგის საგნები. მიმაჩნია, რომ ეს ძალიან დიდი მიღწევაა. ცხრილთან დაკავშირებულ პრობლემებს სტუდენტი მარტივად აიცილებს თავიდან, თუკი იგი გონივრულად მიუდგება მისი სასწავლო სემესტრის დაგეგმვას, დროულად გაივლის კონსულტაციებს პროგრამის ხელმძღვანელთან, მიმართულების სპეციალისტებთან, ტუტორებთან. თსუ-ში მოქმედი პროგრამები იმგვარადაა აგებული, რომ მათში ასახული პროგრამის სავალდებულო საგნები, სილაბუსში გაწერილი წინაპირობების საფუძველზე, ურთიერთრიგითობას არეგულირებენ, გამოდის რომ, პროგრამების საგნები თავად არეგულირებენ ცხრილს. ვთქვათ, თუ სტუდენტს წინა სემესტრში საგანი დარჩა ჩასაბარებელი, ხოლო მისი ჩათვლა მეორე სემესტრში გასავლელი ახალი საგნის წინაპირობაა, თავისთავად სტუდენტი მასზე ვერ დარეგისტრირდება, რაც მის ცხრილში ცვლილებას გამოიწვევს და ცხადია, პრობლემას შეუქმნის.

ბოლონიის პროცესის დიდი უპირატესობაა ისიც, რომ ჩვენ სტუდენტებს ევროპის წამყვან უნივერსიტეტებში სწავლის გაგრძელების რეალური საშუალება ეძლევათ. თსუ-ის ბაკალავრები, მაგისტრანტები და დოქტორანტები გაცილებით მარტივად ღებულობენ გაცვლით პროგრამებში მონაწილეობას, რადგან ბოლონიის პროცესში ჩართვის შედეგად ევროპის პარტნიორ უნივერსიტეტებში და ჩვენთან კრედიტების აღიარება ერთი პრინციპით ხდება, დაახლოებულია სასწავლო პროგრამებიც“, - გვითხრა თსუ-ის ხარისხის მართვის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა ანასტასია ზაქარიაძემ.

თსუ სულ 6 წელია ბოლონიის პროცესის წევრია და ბუნებრივია, რომ ახალი სისტემის დამკვიდრებას შესაძლოა გარკვეული ხარვეზებიც მოჰყვეს, რომელიც დროის გასვლისა და გამოცდილების მომატებასთან ერთად სწორდება. პრობლემა, რომელიც სტუდენტებს აწუხებთ პირადი ცხრილების შედგენისას, გარკვეულწილად, იმ პრინციპის გამოც ხდება, რომლითაც სასწავლო პროგრამები იგება — ახალ სემესტრში გადასვლისას სტუდენტის მიერ არჩეული ახალი საგნები წინაპირობებს უნდა აკმაყოფილებდეს, რაც წინა სემესტრში ყველა სავალდებულო საგნის ჩაბარებას გულისხმობს. წინააღმდეგ შემთხვევაში, სტუდენტის ცხრილში ცვლილებები ჩნდება, რომელიც საგნების დამთხვევას არ გამორიცხავს. თსუ-ის ფაკულტეტების სასწავლო პროცესის მართვის სამსახურებში აცხადებენ, რომ თუ სტუდენტი ცხრილს სწორად შეადგენს და საგნებს დროულად ჩააბარებს, მისი ლექციები ერთმანეთს არ დაემთხვევა. შესაბამისად, მას აღარც საგნების დროის თანხვედრის პრობლემა შეექმნება.

გამარჯვებული სტუდენტები

15-16 მარტს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე 2009-2010 წლის შემოდგომის სემესტრის საფაკულტეტო კონფერენცია გაიმართა.

ნინო კაკულია

კონფერენციის ფარგლებში მუშაობდა 4 სექცია — კერძო, საჯარო, საერთაშორისო და სისხლის სამართლის სექციები. თითოეული სექცია შერჩეული თემატიკის მიხედვით მუშაობდა. სექცია კერძო სამართალში სტუდენტებმა დაამუშავეს თემა: „ვალდებულების შეუსრულებლობა სახელშეკრულებო ურთიერთობაში; სექცია საჯარო სამართალში — სახელმწიფოს პასუხისმგებლობა; სექცია საერთაშორისო სამართალში — რუსეთ-საქართველოს ომის საერთაშორისო-სამართლებრივი ასპექტები; სექცია სისხლის სამართალში — საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დაუფლებითი დანაშაულები. სექციური მუშაობის შედეგების გათვალისწინებით ჟიურიმ თითოეულ სექციაში წარდგენილი თემების საფუძველზე გამოავლინა სამ-სამი გამარჯვებული, დანარჩენ მომხსენებლებს კი კონფერენციაში მონაწილეობის დამადასტურებელი სერტიფიკატები გადაეცათ. სექციაში კერძო სამართალი გამარჯვებულთა შორის არიან: ნინო ბეგიაშვილი (I ადგილი), თამარ ნოზაძე (II ადგილი), ზვიად ნესოშვილი (III ადგილი); სექციაში საჯარო სამართალი — დიმიტრი გეგენავა (I ადგილი), მარი მაზანაშვილი (III ადგილი), აქვე შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ამ სექციაში მეორე ადგილის მფლობელი არ გამოვლენილა; სექციაში საერთაშორისო სამართალი — გიორგი ქვარაია (I ადგილი), საბა ფიფია (II ადგილი), თამარ ქოქრაშვილი (III ადგილი); სექციაში სისხლის სამართალი — ანა რომანჩენკო (I ადგილი), თამარ გეგეშიძე (II ადგილი), გიორგი პირველი (III ადგილი).

რა დამსახურებისთვის დაასახელა ჟიურიმ სექციებში მომუშავე სტუდენტები კონფერენციაში გამარჯვებულად? მათ მიერ შერჩეულ თემებში დასმული რა აქცენტების გამო მოინონეს ჟიურის წევრებმა მათი ნაშრომები? ამის თაობაზე კონფერენციაში პირველ ადგილზე გასული მომავალი იურისტები თვითშეფასებით კომენტარებს აკეთებენ:

ნინო ბეგაშვილი — ჩემს გამარჯვებას რამდენიმე ფაქტორს ვუკავშირებ. როგორც თავად თემის დაწერის პროცესში, ასევე, მისი პრეზენტაციის დროს, ჩემი ორიენტირი გახლდათ საკითხის კრიტიკული ანალიზი, ქართულ კანონმდებლობაში არსებული პრობლემების წარმოჩენა და გერმანული სამართლის მიდგომებიდან გამომდინარე მათი გადაჭრის კონკრეტული გზების დასახვა. ვფიქრობ, ჩემი გამარჯვება სწორედ ამ ფაქტორებმა განაპირობეს.

დიმიტრი გეგენავა: — „სახელმწიფოს პასუხისმგებლობა საკუთრების ჩამორთმევის შედეგად ზიანზე“ გახლავთ ჩემი საკონფერენციო ნაშრომის სახელწოდება. შევეცადე დამემუშავებინა პრობლემატიკა, რაც ამ სფეროში ნამდვილად არსებობს და, მეცნიერული თვალსაზრისით, საქართველოში შესწავლილი არ არის. ჟიურიმ ყურადღება გაამახვილა ნაშრომის სამეცნიერო სტანდარტებზე, ასევე, კვლევისათვის ქართულ სინამდვილეში ლიტერატურის არარსებობის პრობლემაზე. განსაკუთრებით აღინიშნა ევროსასამართლოს პრეცედენტული სამართლისა და გადაწყვეტილებების გამოყენება და სახელმწიფოს პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოებების ჩამოყალიბება, რაც ევროსასამართლოს მიერ განხილული საქმეების კვლევის შედეგად ცალკე თავში განვიხილე.

გიორგი ქვარაია: — ჩემი საკონფერენციო თემა შეეხებოდა რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომ პერიოდში განვითარებულ მოვლენებს, კერძოდ, რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ორი რეგიონის — აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარებას. მოცემული ნაშრომით შევეცადე გამებათილებინა ის სამართლებრივი საფუძვლები, რომელიც რუსეთმა გამოიყენა ამ ორი რეგიონის აღიარების გასამართლებლად, რაც, როგორც ჩანს, კარგად შევძელი და ჟიურის გადაწყვეტილებით საფაკულტეტო კონფერენციაზე პირველი ადგილი დავიკავე.

ანა რომანჩენკო: — ჩემს მიერ წარმოდგენილ თემაში „ავტოსატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ მიმართული დაუფლებითი დანაშაულების კვალიფიკაციის ზოგიერთი საკითხისათვის“ განვიხილე ავტოსატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების კვალიფიკაციის პრობლემები, რომლებიც თავს იჩენს პრაქტიკასა თუ იურიდიულ ლიტერატურაში. შევეცადე მეჩვენებინა ამ პრობლემების მოგვარების გზები გერმანიისა და საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსების მაგალითზე. ვფიქრობ, საკითხის გლობალურად განხილვა გახდა კონფერენციაში ჩემი წარმატების საწინდარი.

საფაკულტეტო კონფერენციას არასამთავრობო ორგანიზაციის „კავშირი — ახალი თაობის ინიციატივა“ წარმომადგენელი დავით დობორჯგინიძე დაესწრო, რომელმაც რამდენიმე მომხსენებელს სამახსოვრო საჩუქრები გადასცა. როგორც საფაკულტეტო კონფერენციების კოორდინატორი გიორგი ამირანაშვილი აცხადებს, იურიდიული ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტებს ძალიან მცირე შესაძლებლობა აქვთ დაეუფლონ აკადემიური წერის სტანდარტებს. ამ ხარვეზის გამოსასწორებლად და სტუდენტების სამეცნიერო საქმიანობაში უფრო აქტიური ჩაბმის უზრუნველყოფის მიზნით გასულ სემესტრში ფაკულტეტზე მომზადდა საფაკულტეტო კონფერენციების გამართვის ახალი კონცეფცია, რომელიც იურიდიული ფაკულტეტის დეკანმა ირაკლი ბურდულმა სტუდენტებს 2009 წლის 6 ნოემბერს გააცნო. საფაკულტეტო კონფერენციის ორგანიზება სწორედ ამ კონცეფციის პრინციპების საფუძველზე განხორციელდა. „დროთა განმავლობაში აღნიშნული კონცეფცია უფრო დაიხვეწება და საფაკულტეტო კონფერენციებს უფრო ორგანიზებული სახე მიეცემა — ეს დამატებითი ინდიკატორი გახდება სტუდენტებისთვის, მიიღონ არაფორმალური განათლება, რაც თანამედროვე პირობებში ძალიან მნიშვნელოვან როლს შეასრულებს მათი პიროვნული თვისებების განვითარების საქმეში“, — აღნიშნა გიორგი ამირანაშვილმა.

„აღდგომიდან ამაღლებამდე“

თბილისში მეხუთე საერთაშორისო ფესტივალი „აღდგომიდან ამაღლებამდე“ გაიმართა. მას საინფორმაციო მხარდაჭერას თსუ-ის გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტთან“ ერთად პირველი არხი, საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნება“, რადიო „მუზა“, ქართული უნივერსიტეტი, გაზეთი ~Georgia todey~ და ჟურნალი „ფოკუსი“ უწევენ.

ნატო ოგოლაძე

ფესტივალის „აღდგომიდან ამაღლებამდე“ ფარგლებში რამდენიმე კლასიკური მუსიკისა და ხალხური ფოლკლორის საღამო მოეწყო, რომელშიც ცნობილმა შემსრულებლებმა მიიღეს მონაწილეობა. 7 აპრილს თბილისის კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში საღამო — „იაშვილების მუსიკალური დინასტია“ შედგა, რომელიც ქართული ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, მევიოლინე ლუარსაბ იაშვილის ხსოვნას მიეძღვნა. 8 აპრილს კონსერვატორიაში ხელოვნების აკადემიის ლაურეატების გალა-კონცერტი ჩატარდა. ამავე დღეს თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზში თბილისის სიმფონიურმა ორკესტრმა დაუკრა და მაყურებლის წინაშე ყოვლადწმინდა სამების საკათედრო ტაძრის საპატრიარქოს გუნდი წარსდგა. 9 აპრილს ფესტივალი კვლავ კონსერვატორიის დიდ დარბაზში გაგრძელდა, სადაც ანა თულაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი საფორტეპიანო მუსიკის საღამო გაიმართა. 10 აპრილს მაყურებლისთვის მევიოლინეებმა მარინე და ირინა იაშვილებმა და მანანა იაშვილი-დუგლაძემ დაუკრეს, საღამოზე რამდენიმე სიმღერა ვაჟთა ვოკალურმა ანსამბლმა „მოძახილმაც“ შეასრულა. 11 აპრილს კი შოთა რუსთაველის თეატრში ქართული მუსიკის საღამო გაიმართა, რომელიც ზაქარია ხუროძის 85 წლისთავს მიეძღვნა. ფესტივალმა 13 აპრილიდან უკვე საჩხერეში გადაინაცვლა, სადაც კულტურის სახლში საღამო „იაშვილების მუსიკალური დინასტია“ გაიმართა.

ფესტივალის დასკვნითი საღამო 13 მაისს ახალციხეში შედგა. კონცერტში თამარ ლიჩელი (ფორტეპიანო), კამერული ანსამბლი „მუზა“, ახალციხის უნივერსიტეტის გოგონათა ანსამბლი, უხუცეს მომღერალთა ანსამბლი „მესხეთი“, ახალციხის ქორეოგრაფიული ანსამბლი „ლომსია“ და მესხეთის დრამატული თეატრის მსახიობი მარინე გოგოლაძე იღებდნენ მონაწილეობას.

საერთაშორისო ფესტივალი „აღდგომიდან ამაღლებამდე“ ხუთი წლის წინ „სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საქველმოქმედო ფონდისა და „აკაკი რამიშვილის ფონდი — ტრადიცია და ინოვაციის“ ორგანიზებით დაარსდა. მისი მიზანი ახალგაზრდების ტრადიციული და კლასიკური ხელოვნებით დაინტერესება, უცხოეთში მოღვაწე ქართველ ხელოვანთა შემოქმედების პოპულარიზაცია და ქართული კულტურით დაინტერესებული უცხოელი შემსრულებლების შემოქმედების წარმოჩენა გახლავთ. ფესტივალი იწყება თბილისში და აღდგომის შემდეგ ბრწყინვალე შვიდეულის კვირაში საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გრძელდება. ყოველ წელს ფესტივალის ორგანიზატორები სამხატვრო ხელმძღვანელად ქართული კულტურის ერთ-ერთ თავალსაჩინო წარმომადგენელს იწვევენ, რაც მის შინაარსს განსხვავებულ ხელწერას სძენს. წელს

ფესტივალს სამხატვრო ხელმძღვანელობა მევიოლინე მარინა იაშვილმა გაუწია. იგი მოსკოვის პ. ჩაიკოვსკის სახელობის კონსერვატორიის პროფესორი, არაერთი საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი და საშემსრულებლო ხელოვნების გამორჩეული შემოქმედია.

„წლევანდელი ფესტივალი საიუბილეოა, იგი უკვე მეხუთედ ტარდება, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვით როგორც მის ორგანიზატორებს, ასევე, სპონსორებსაც. მინდა მადლიერება გამოვხატო კომპანია „თელასის“ მიმართ, რომელიც ფინანსურ დახმარებას გვიწევს. წლევანდელი ფესტივალი გამორჩეულია იმ მხრივ, რომ სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ილია მეორეს მიერ დაწერილი საგალობელი „ავე მარია“ შესრულდა. ასევე, მნიშვნელოვანია ფესტივალში იაშვილების მუსიკალური ოჯახის მონაწილეობაც ქალბატონი მარინა იაშვილის ხელმძღვანელობით“, — აღნიშნა ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ ირაკლი ქადაგიშვილმა.

ფესტივალს „აღდგომიდან ამაღლებამდე“ საკუთარი ლოგოტიპის სიმბოლიკაც აქვს. იგი უკავშირდება იესო ქრისტეს ამქვეყნიური მოღვაწეობის სამ უმნიშვნელოვანეს მოვლენას – დაბადებას (შროშანი), ჯვარცმას (ჯვარი) და აღდგომას (კვერცხი). ლოგოტიპის ავტორი მხატვარი გურამ ქლიბაძეა, ხოლო სპეციალური პრიზი ლოგოტიპის გამოსახულებით საქართველოს და დაღესტნის სახალხო მხატვრის მანანა მაგომედოვას მიერ არის შექმნილი.

სტუდენტთან პირისპირ

ვანელი თავად განსაზღვრავს პროგრამაზე ჩარიცხვისთვის უცხო ენის გამოცდის ჩაბარების აუცილებლობას. მაგისტრანტობის კანდიდატი უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელი შესაბამისი სერტიფიკატის წარმოდგენის შემთხვევაში თავისუფლდება გამოცდიდან.

? *ლევან კოჭლამაზაშვილი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კავკასიოლოგიის მიმართულების IV კურსის სტუდენტი:*

— რატომ არ არის უზრუნველყოფილი უნივერსიტეტის მე-8 და მე-5 კორპუსების დიდი აუდიტორიები მიკროფონებით, რათა სტუდენტებს ლექციის მოსმენა კარგად შეგვეძლოს?

დავით ჩერქეზიშვილი, მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი:

— უნივერსიტეტის ყველა აუდიტორია, რომელიც 100 და მეტ სტუდენტზეა გათვლილი, ყველა არის აღჭურვილი გახმოვანების აპარატურით და ლექტორებს შეუძლიათ მიკროფონის დახმარებით ლექციების ჩატარება. თუ სადმე არის კონკრეტული საჭიროება გახმოვანების აპარატურის დამატებისა, ფაკულტეტებიდან დაველოდებით შესაბამის მოთხოვნებს.

? *მაკა ხუციშვილი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიის მიმართულების IV კურსის სტუდენტი:*

— რატომ არის სავალდებულო ენის შემსწავლელ ჯგუფებში სტუდენტთა მინიმალური რაოდენობა 5-ით განსაზღვრული? აღმოსავლეთმცოდნეობის მიმართულებაზე ისწავლება ისეთი სპეციფიკური ენებიც, სადაც საკმარისია ერთი სტუდენტიც ჯგუფში. არსებობს რაიმე შეღავათი მათთვის?

რუსუდან ჩიქოვანი, სასწავლო დეპარტამენტის ხელმძღვანელი:

— უცხო ენის შემსწავლელ ჯგუფებში სტუდენტთა მინიმალური რაოდენობა განისაზღვრება 15 სტუდენტით, გამონაკლისი დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ სპეციალობაზე რეგისტრირებულია სტუდენტთა ნაკლები რაოდენობა. სტუდენტების მინიმალური რაოდენობა განსაზღვრულია 15-ით, მაგრამ კანონმდებლობის თანახმად მოსალოდნელია გამონაკლისის დაშვება და უფრო ნაკლები სტუდენტის დარეგისტრირების შემთხვევაშიც ჯგუფის შედგენა. მაგრამ მხოლოდ ერთი სტუდენტის შემთხვევაში, უკვე გამოდის ინდივიდუალური სწავლება, რაც უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამით არ არის დაშვებული.

? *მაკა ხუციშვილი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიის მიმართულების IV კურსის სტუდენტი:*

— რატომ არ შეიძლება მაგისტრატურაში ერთკაციანი ჯგუფების გახსნა, განსაკუთრებით ისტორიულ და ფილოლოგიურ მეცნიერებათა განხრით? ეს ქმნის იმ პრობლემას, რომ ზოგ სამაგისტრო პროგრამაზე ხშირად რამდენიმე წელიც კი ვარდება.

რუსუდან ჩიქოვანი, სასწავლო დეპარტამენტის ხელმძღვანელი:

— აკადემიური საბჭოს დადგენილებით სამაგისტრო პროგრამა ამოქმედდება ხუთი სტუდენტის ჩარიცხვის შემთხვევაში, თუმცა არის პროგრამები, რომლებზეც არასდროს ირიცხება ხუთი და მეტი სტუდენტი. სწორედ იმის გამო, რომ მაგისტრატურაში ამგვარ პროგრამებზე სწავლის გაგრძელების მსურველებს არ შეექმნათ პრობლემები, დაშვებულია გამონაკლისი — პროგრამა შეიძლება ამოქმედდეს ხუთზე ნაკლები სტუდენტის ჩარიცხვის შემთხვევაში, თუ ამ პროგრამას 30 კრედიტი მაინც აქვს საერთო სხვა პროგრამების სასწავლო კურსებთან.

მასალა მოამზადა მარიამ ბეჭიტაშვილმა, ჰუმატინარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის I კურსის მაგისტრანტმა

ჰარვარდის პროფესორის საჯარო ლექცია

ჰარვარდის უნივერსიტეტის ანთროპოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი, ანთროპოლოგიაში ერთ-ერთი წამყვანი სპეციალისტი მაიკლ ჰერცფილდი თბილისს სტუმრობდა უმაღლესი განათლების გაუმჯობესების მხარდაჭერის პროგრამის (HESP) პროექტის: „ანთროპოლოგიის განვითარება ევრაზიაში“ ფარგლებში, რომელიც 18 მარტიდან 23 მარტამდე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიმდინარეობდა და მასში სხვადასხვა ქვეყნის უნივერსიტეტების პროფესორები მონაწილეობდნენ. ამ პროექტში მონაწილეობის გარდა დაგეგმილი იყო მაიკლ ჰერცფილდის საჯარო ლექცია „ანთროპოლოგია მომავალში“, რომელიც პროფესორმა 24 მარტს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის II კორპუსში ჩაატარა.

ნინო კაკულია

ლექციის ძირითადი მიზანი იყო საუნივერსიტეტო საზოგადოების ყურადღება მიეპყრო ანთროპოლოგიის, როგორც დამოუკიდებელი დისციპლინის განვითარების აუცილებლობაზე. საჯარო ლექციას ესწრებოდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტების პროფესორები და სტუდენტები, ასევე, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლები, საქართველოს უნივერსიტეტის წარმომადგენლები და საქართველოში სამეცნიერო მიზნით მყოფი უცხოელი ანთროპოლოგები.

პროფესორი ჰერცფილდი აუდიტორიას ესაუბრა ანთროპოლოგიისა და სხვა დისციპლინათა მიმართების საკითხებზე. ისაუბრა ანთროპოლოგიის განვითარების აუცილებლობაზე, მის მომიჯნავე დარგებთან კვეთის წერტილებზე, ანთროპოლოგიური კვლევების ინდერდისციპლინურ ხასიათზე. მან ხაზი გაუსვა ანთროპოლოგიის უდიდეს შესაძლებლობებს და იგი მომავლის დისციპლინად მოიხსენია.

მაიკლ ჰერცფილდი კვლავ ესტუმრება საქართველოს 2011 წელს და ამასთან დაკავშირებით გარკვეული სამოქმედო გეგმაც დაისახა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციას მან შესთავაზა საკუთარი სამსახური საერთაშორისო ექსპერტთა საბჭოში, რომელიც დახმარებას გაუწევდა თსუ-ს სასწავლო პროგრამების გაუმჯობესებაში. იგი გეგმავს საჯარო ლექციების (სემინარების) წაკითხვას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ანთროპოლოგიური კვლევების თანამედროვე სპეციფიკისა და სწავლების მეთოდების შესახებ. ახლო მომავალში მაიკლ ჰერცფილდი აპირებს საკუთარი გამოცდილება გაუზიაროს პროფესორ-მასწავლებლებს ანთროპოლოგიის სწავლების მეთოდების შესახებ, რომლებიც სტუდენტსა და მომავალზეა ორიენტირებული.

მაიკლ ჰერცფილდი არ მალავს თავის შთაბეჭდილებებს საქართველოში მოგზაურობასთან დაკავშირებით (მან თბილისის გარდა მოინახულა სიღნაღი და მცხეთა) და აღნიშნავს, რომ იგი მოიხიბლა ჩვენი ქვეყნის სტუმარმასპინძლობით, განსაკუთრებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გულთბილი მიღებით და კმაყოფილია იმ სამეცნიერო დისკუსიით, რაც, მისი აზრით, თსუ-ის პროფესორებისა და ადმინისტრაციის მაღალკვალიფიციურობაზე მეტყველებს. პროფესორმა ჰერცფილდმა აღნიშნა ის უსაზღვრო შესაძლებლობები, რაც კვლევისა და ინსტიტუციური განვითარების თვალსაზრისით საქართველოში ანთროპოლოგიას გააჩნია.

ცნობისთვის: ჰარვარდის უნივერსიტეტის ანთროპოლოგიის დეპარტამენტის პროფესორმა, ანთროპოლოგიაში ერთ-ერთმა წამყვანმა სპეციალისტმა მაიკლ ჰერცფილდმა კემბრიჯის უნივერსიტეტის არქეოლოგიისა და ანთროპოლოგიის ბაკალავრის ხარისხის მიღების შემდეგ, მაგისტრის ხარისხი ბირმინგემის უნივერსიტეტში მიიღო. 1976 წელს დაიცვა ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი სოციალურ ანთროპოლოგიაში, 1989 წელს კი ლიტერატურის დოქტორის ხარისხი თანამედროვე ბერძნულში ბირმინგემის უნივერსიტეტში. მისი კვლევის სფეროებია სოციალური თეორია, ანთროპოლოგიის ისტორია, სოციალური პოეტიკა, კვლევის არეალი კი ევროპა (კერძოდ, საბერძნეთი და იტალია) და ტაილანდი. ჰარვარდში გადასვლამდე იგი ასწავლიდა ვაზარის კოლეჯში, ინდიანას უნივერსიტეტში (სადაც იყო ანთროპოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი და ენებისა და სემიოტიკური კვლევების ცენტრის თავმჯდომარე), ამას გარდა იგი სხვადასხვა დროს კითხულობდა ლექციებს მანჩესტერის უნივერსიტეტში, პარიზის სოციალურ მენეიერებათა სკოლაში, პადოვას უნივერსიტეტში, ნანტის, რომის, მელბურნის, სიდნეის უნივერსიტეტებში.

პროფესორი ჰერცფილდი წლების მანძილზე იყო თანამედროვე საბერძნეთის კვლევის ასოციაციისა და ევროპის ანთროპოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი, 1994-1998 წლებში ჟურნალ „ამერიკელი ეთნოლოგის“ რედაქტორი, დღეს არის მრავალი სამეცნიერო გამომცემლობის სარედაქციო საბჭოს წევრი, მათ შორის სამეცნიერო ჟურნალ „ევროპის ახალი ანთროპოლოგიის“ თანარედაქტორი. პროფესორ ჰერცფილდის ნაშრომები გამოქვეყნებულია ბერძნულ, იტალიურ, პორტუგალიურ, სერბულ, ხორვატულ, პოლონურ, ჩინურ და იაპონურ ენებზე. მას ეკუთვნის, ასევე, ფილმი „მონტი: ადამიანების მოგონებანი რომის შუაგულში“ (2007). მისი ღვაწლი მრავალი ჯილდოთია შეფასებული. 1997 წელს მაიკლ ჰერცფილდი აირჩიეს ამერიკის ხელოვნებისა და მეცნიერების აკადემიის წევრად. ამჟამად იგი მუშაობს წიგნსა და ფილმზე, რომლებიც ბანკოკის (ტაილანდი) კონსერვაციის საკითხებს შეეხება. ამავე დროს მუშაობს სამეცნიერო პროექტზე რომში იტალიურ-ჩინური ურთიერთობების შესახებ.

პროტონთა შემხვედრი ნაკადების შეჯახება და გია დვალის საჯარო ლექცია

„თუ შენ საგანს აუხსნი არასპეციალისტს ან ბავშვს, მაშინ შენ თვითონ გესმის ეს საგანი“.

ეინშტეინი

29-30-31 მარტს და 1-8 აპრილს ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტში ჩატარდა მსოფლიოში ცნობილი ქართველი ფიზიკოსის, მაქს პლანკის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორის, ნიუ-იორკის უნივერსიტეტის პროფესორის გია დვალის საჯარო ლექციები თემაზე: „ნაწილაკების ფიზიკისა და კოსმოლოგიის ზოგიერთი ფუნდამენტალური საკითხი“. ლექციები განსაზღვრული იყო სტუდენტებისთვის, თუმცა უამრავი მსმენელი დაესწრო, მათ შორის, სკოლის მოსწავლეები და მეცნიერები, ამიტომ, ნაცვლად განსაზღვრული აუდიტორიისა, პროფესორ დვალის ლექციები ფიზიკის ინსტიტუტის სააქტო დარბაზში გაიმართა, სადაც, სიცივის მიუხედავად, ყველა მსმენელი ბოლო წუთამდე ინტერესით უსმენდა ცნობილ ფიზიკოსს.



პირველი ლექცია მიეძღვნა ბუნებაში ამჟამად ცნობილი ურთიერთქმედებების (გრავიტაციული, ელექტრომაგნიტური, სუსტი და ძლიერი) ისტორიული და ძირითადი კონცეფციების განხილვას. პროფესორმა დვალმა პოპულარული ენით ახსნა ამ ძალების წარმოშობის ისტორიული ასპექტები და მათ შორის განსხვავებები. კერძოდ, აღნიშნა მათი გეომეტრული ინტერპრეტაციის ზოგიერთი ასპექტი და თანამედროვე ველის კვანტური თეორიის საფუძველზე განმარტა, თუ რას ნიშნავს ურთიერთქმედება.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ინტერაქცია გია დვალის ლექციაზე. იგი სასაუბრო თემის გარკვეული ნაწილის დასრულების შემდეგ აუდიტორიას საშუალებას აძლევდა, მაშინვე დაესვათ საინტერესო კითხვები. მისი ენა ერთნაირად გასაგები იყო, როგორც მეცნიერებისთვის, ასევე, სკოლის მოსწავლეებისთვის.

30 მარტს, გია დვალის ლექციის მიმდინარეობას დაემთხვა ღირსშესანიშნავი მოვლენა: ევროპის ბირთვული კვლევების ცენტრში (CERN), რომელსაც მსოფლიოს სამეცნიერო საზოგადოება ინტერესით აკვირდება, 16 საათსა და 30 წუთზე მოხდა პროტონთა შემხვედრი ნაკადების შეჯახება (3,5X3,5 ტევ ენერგიებზე მასათა ცენტრის სისტემაში). ამ მოვლენის შესახებ ლექციის მსვლელობისას მოვიდა შეტყობინება. ლექცია რამდენიმე წუთით შეწყდა და დარბაზმა ოვაციები გამართა.

ეს მოვლენა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პროფესორ გია დვალისთვის, რადგან ცერნში მუდმივი პროფესორის პოზიცია უჭირავს და მისი ზოგიერთი თეორიული მოსაზრება ამ ექსპერიმენტზე უნდა შემოწმდეს (მაგალითად, დამატებითი განზომილებები და შავი ხვრელების თეორიის ზოგიერთი ასპექტი).

ლექციებზე პროფესორმა გია დვალმა შავი ხვრელების შესახებაც ისაუბრა და აღნიშნა, რომ არსებობს ე.წ. გრავიტაციული განუზღვრელობა (რაც ანალოგიურია კვანტურ მექანიკაში ცნობილი ჰეიზენბერგის განუზღვრელობის თანაფარდობისა). კერძოდ, იმის გამო, რომ გრავიტაციას მხოლოდ მიზიდვის ხასიათი აქვს (არ არსებობს ანტიგრავიტაცია), ამიტომ შეუძლებელია, მივიღოთ ინფორმაცია 10^{-33} სმ-ის ე.წ. პლანკის მანძილებზე უფრო ნაკლებ მანძილებზე, რადგანაც ამ დროს გრავიტაცია ძალიან ძლიერი ხდება და, ფაქტობრივად, უკვე წარმოიქმნება შავი ხვრელები, საიდანაც არანაირი ინფორმაცია აღარ გამოდის (სინათლეც კი ვერ აღწევს იქიდან).

ბოლო ლექცია პროფესორმა დვალმა ბუნებაში არსებული სიმეტრიების შესახებ საუბარს დაუთმო. მან გასაგები ენით ახსნა ისეთი რთული საკითხი, როგორიც სუპერსიმეტრიაა და აღნიშნა, რომ ცერნში მოელიან აქამდე ცნობილი ნაწილაკების ე.წ. სუპერსიმეტრიული პარტნიორი-ნაწილაკების აღმოჩენას.

ლექციებზე არაერთი საინტერესო შეკითხვა დაისვა და მათ ამომწურავი პასუხები გაეცა. გია დვალის საჯარო ლექციები უკვე რამდენიმე წელია რეგულარულად ტარდება და იმედია, ეს კარგი ტრადიცია მომავალშიც გაგრძელდება.

თეიმურაზ ნადარეიშვილი

ATLAS და LHC საქართველოში

2010 წლის 13 იანვარს ატლას-ექსპერიმენტის ახალი ამბების ბიულეტენში თბილისში ჩატარებული საერთაშორისო კონფერენციის („ფიზიკა მომავლის კოლაიდერებზე — 2009“ 2009 წლის ოქტომბერი) შესახებ გამოქვეყნდა წერილი, რომელშიც საუბარია კონფერენციის სამეცნიერო მნიშვნელობასა და თბილისურ შთაბეჭდილებებზე.

გთავაზობთ წერილს შემოკლებული სახით.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკოსთა გაერთიანებული ჯგუფი ATLAS-ის ექსპერიმენტზე 1994 წლიდან მუშაობს. ამ გამოცდილი კორპორაციის მუშაობის შეჯამების და ახალი ენერგიით დამუხტვის არაჩვეულებრივი საშუალება გახლდათ LHC-ის გაშვებამდე ცოტა ხნით ადრე თბილისში მერაბ ბერძენიშვილის კულტურის ინტერნაციონალურ ცენტრ „მუზაში“ ჩატარებული საერთაშორისო კონფერენცია თემაზე „ფიზიკა მომავლის კოლაიდერებზე-2009“, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ATLAS-ის და CERN-ის ელიტარულმა სამეცნიერო ჯგუფმა.

საყოველთაოდ განთქმულმა ქართულმა სტუმართმოყვარეობამ ეს ვიზიტი დასამახსოვრებელი გახადა ძველი მეგობრებისთვის.

პროფესორ ჯემალ ხუბუას თაოსნობით ჩამოყალიბებულმა 120-კაციანმა ქართულმა ჯგუფმა ტაილ-კალორიმეტრის შექმნის ყველა ფაზაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა. ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ, როგორც კონფერენციის მონაწილეთა შემადგენლობა, ასევე მოხსენებები ტაილ-კალორიმეტრის შესახებ, კარგად იყო წარმოდგენილი პროექტის ხელმძღვანელის ანა ჰენრიქსის (Ana Henriques) მიერ. ამას გარდა, პროექტის ყოფილი ხელმძღვანელის, ლუნ ევანსის (Lun Evans) მოხსენებაში მიმოხილული იყო LHC-ს შექმნის ისტორია, რომელიც მოიცავდა როგორც ექსპერიმენტის თეორიასა და მის ექსპერიმენტალურ ასპექტებს, ასევე საინჟინრო გამოთვლით ნაწილებს და მთლიანად დანადგარს.

CERN-ის თანამშრომლობა კავკასიის სახელმწიფოებთან წარმოჩენილი იყო CERN-ის არაწევრ ქვეყნებთან კოორდინატორის, თადეუშ კურტიკას (Tadeusz Kurtyka) მიერ, ხოლო პიტერ იენს (Peter Jenni) წილად ხვდა პატივი – დაესრულებინა კონფერენცია მოხსენებით, რომელშიც მთლიანად იყო მიმოხილული LHC პროექტი და ქართველი კოლეგების ნაყოფიერი თანამშრომლობა ექსპერიმენტ ATLAS-ში.

ირაკლი მინაშვილმა, რომელიც ამჟამად დუბნის გაერთიანებული ბირთვული კვლევების ინსტიტუტში (JINR) მუშაობს, განმარტა, თუ როგორ მოხერხდა ამ კონფერენციების ჩატარება. „2000 წლის დასაწყისი ძალზე რთული პერიოდი იყო საქართველოს ეკონომიკისა და მეცნიერებისთვის. UNESCO (გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია) დაგვეხმარა შეგვენარჩუნებინა განათლების მაღალი დონე, კერძოდ კი, ფუნდამენტალური კვლევები ფიზიკაში. თბილისში, 2001 წლიდან მოყოლებული, ტარდებოდა კონფერენციები; პირველი სამი კონფერენცია ჩატარდა UNESCO-ს და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეგიდით, უკანასკნელი 2 კი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ხელშეწყობით.

ანა ჰენრიქსი და ჯემალ ხუბუა

ამჟამად კონფერენციის მიზანი ოდნავ განსხვავებული იყო. იგი ითვალისწინებდა საქართველოს ფარგლებს გარეთ მომუშავე ფიზიკოსების ხელშეწყობას“. - განაცხადა ირაკლი მინაშვილმა.

კონფერენციის მონაწილეებს შთამბეჭდავი მოგონებები დარჩათ ძველი თბილისისა და მისი შემოგარენის ისტორიული ადგილების დათვალიერების შემდეგ. მათ ერთი დღე უძველეს ქალაქ სიღნაღში გაატარეს. მოეწონათ ქართველი მოქანდაკის, მერაბ ბერძენიშვილის სახლი, რომელიც, მათი აზრით, თავისუფლად შეიძლება ჩაითვალოს მუზეუმად. დელეგაციის წევრთა ემოციებმა პიკს მიაღწია მსოფლიოში სახელგანთქმული ქართული ნაციონალური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლ „ერისიონის“ გენერალურ რეპეტიციაზე დასწრებისას... სტუმრებსა და ანსამბლის წევრებს მხოლოდ ერთი მეტრი აშორებდა, რაც უფრო მეტად აძლიერებდა ქართული ნაციონალური სიმღერებითა და ხანჯლებით ცეცხლოვანი ცეკვებისაგან მიღებულ შთაბეჭდილებას.

ვიზიტის ბოლო დღეს მზიანი ამინდი დაემთხვა და დელეგაცია ესტუმრა მცხეთას, საქართველოს უძველეს დედაქალაქს, სადაც სტუმრებმა სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარი და ჯვრის მონასტერი მოინახულეს.

პიტერ იენმა გაიხსენა: „1996 წელს ATLAS–ის წევრმა ჩემმა თბილისელმა მეგობრებმა პირველად ჩამომიყვანეს თბილისში და ამის შემდეგ საქართველო რაღაც განსაკუთრებულს ნიშნავს ჩემთვის.“ მარკუს ნორდბერგმა კი აღნიშნა: „ქართველი ხალხი ისეთივე თბილია, როგორიც აქაური ჰავაა“.

„ჩემთვის საქართველოში უნივერსიტეტი ერთია...“

ინტერვიუ პროფესორ პაატა იმნაძესთან

როცა საზოგადოებას ინფექციურ დაავადებათა გავრცელების საშიშროება ემუქრება, მხოლოდ მაშინ ჩნდება და აკადემიური სიმშვიდით გვიხსნის, რომ ნებისმიერ ავადმყოფობას არა პანიკით, არამედ ცოდნით უნდა ვებრძოლოთ...

არასოდეს ცდება პროგნოზებში და მიაჩნია, რომ დაავადება არ არის იმდენად საშიში, რომ მისი კონტროლი არ შეიძლებოდეს...

ფიქრობს, რომ ცხოვრებისეული მაგალითი მისცა პროფესორმა გურამ კაციტაძემ, როცა თანამდებობა და სავარძელი ყოველგვარი წინაპირობის გარეშე, საკუთარი ინიციატივით დაუთმო ჯერ კიდევ გამოუცდელ ახალგაზრდას და მიანიშნა, რომ თავადაც ასე უნდა მოიქცეს, როცა ამის დრო მოვა...

მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერებისადმი ინტერესი არასოდეს განელებია, ბოლო დროს ნაკლებად მუშაობს ლაბორატორიაში, სამაგიეროდ, საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ეპიდემიოლოგია მისი სფეროა და ცოდნას უშურველად გადასცემს სტუდენტებს...

ჩვენი რესპონდენტი ამჯერად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის სრული პროფესორი, ლევან საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დირექტორი პაატა იმნაძეა.

მაია ტორაძე

— ***ბატონო პაატა, ექიმთა უმრავლესობა პროფესიის არჩევას მშობლების დაჟინებულ თხოვნას ან მათი ტრადიციის გაგრძელებას უკავშირებს, თქვენც ამგვარი მიზეზი გქონდათ თუ თავად გადაწყვიტეთ თქვენი მომავალი?***

— ჩემს შემთხვევაში საქმე სხვაგვარად იყო. თუ არ ჩავთვლით მამაჩემის შორეულ ბიძაშვილებს, ახლო ნათესაობაში ექიმი არავინ მყოლია. დედა პედაგოგი გახლდათ, მამა — სპორტსმენი. ჯერ კიდევ სკოლაში ჩემი არჩევანი ბიოლოგიასა და მედიცინას შორის მერყეობდა. მაშინ ხშირად დავყვებოდი ჩემს მეზობელს თინა ნიკოლაევას სამედიცინო ინსტიტუტის ფიზიოლოგიის კათედრის ლაბორატორიაში და ინტერესით ვუყურებდი ექსპერიმენტებს ძაღლებსა და სხვადასხვა ცხოველებზე. მერე გადავწყვიტე სამედიცინო ინსტიტუტში ჩამებარებინა, რასაც მოჰყვა ინტერნატურა პედიატრიის ინსტიტუტში და ასპირანტურა მიკრობიოლოგიის განხრით. სხვათა შორის, ძალიან მალე გადავინაცვლე კლინიკური მედიცინიდან თეორიულ მედიცინაში. დავიცავი საკანდიდატო დისერტაცია და გავჩერდი. სადოქტოროსთვის ვერც მოვიცალე, თან ისედაც ზედმეტად მიმაჩნდა ორსაფეხურიანი დაცვა.

მერე რამდენიმე საპასუხისმგებლო თანამდებობა გამოვიცვალე და ბოლოს მოვედი ამ ცენტრში, რომელსაც პროფესორი გურამ კაციტაძე ხელმძღვანელობდა, მე კი მისი მოადგილე გახლდით. მაშინ ამ დანესებულებას „განსაკუთრებით საშიში ინფექციების საწინააღმდეგო სამეცნიერო და პრაქტიკული ცენტრი“ ერქვა. ბატონმა გურამმა მოინდომა, რომ მე ვყოფილიყავი დირექტორი. ასეთი რამ ქართულ სინამდვილეში არ ხდება, ამიტომ ეს გადაწყვეტილება კარგი მაგალითი და იმის ნიშანი იყო, რომ თავის დროზე მეც ასე უნდა მოვიქცე. გურამ კაციტაძე ჩვენთან მეცნიერებას დღემდე კურირებს და ეპიდემიოლოგიაში საქართველოში მასზე უფრო დიდი ავტორიტეტი არ გვყავს.

საერთოდ ძალიან გამიმართლა მასწავლებლებში სკოლის პერიოდიდან დღემდე (პირველი სკოლა დავამთავრე). მათ შორის მამაჩემს და პროფესორ თამაზ კერესელიძეს გამოვყოფ. წესიერება, ადამიანის და საქმის სიყვარული, რაც მათ ჩამინერგეს, ყველაზე მთავარია ცხოვრებაში.

— ***თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში როგორ მოხვდით?***

— უნივერსიტეტში მოვედი 90-იანი წლების ბოლოს, როცა მედიცინის ფაკულტეტი აღდგა. ჩემთვის დიდი პატივი იყო — ჩამომეყალიბებინა სასწავლო პროგრამა და წამეკითხა ლექციები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კუთხით. დღეს მედიცინის ფაკულტეტის სრული პროფესორი ვარ და უნივერსიტეტში ჩემი საქმიანობის ძირითადი სფერო ეპიდემიოლოგია და საზოგადოებრივი ჯანმრთელობაა.

— ***უმაღლესი განათლებისადმი თანამედროვე მოთხოვნებმა სტუდენტის სწავლისადმი დამოკიდებულება უნდა შეცვალოს — ახალგაზრდა უნივერსიტეტში გამოკვეთილი მიზნით უნდა მოდიოდეს. როგორ ფიქრობთ, შეიმჩნევა თუ არა თქვენს ფაკულტეტზე განსაკუთრებული ინტერესი პროფესიის დაუფლებისადმი, რა მოთხოვნები აქვთ სტუდენტებს და რით პასუხობს დღეს მათ უნივერსიტეტის პროფესურა?***

— მთლიანად პროფესურაზე ალბათ ვერ ვისაუბრებ, მაგრამ ერთი რამ შემიძლია ვთქვა — არიან ახალგაზრდები, რომლებსაც სწავლისადმი ინტერესი და გამოკვეთილი მოტივაცია აქვთ, მაგრამ მიკვირს იმ ნაწილისა, რომლებიც მართლა არ ვიცი, რატომ სწავლობს. უმაღლესი არ არის სავალდებულო დაწყებითი განათლება, აქ თუ მოხვედი, უნდა მომთხოვო, რომ გასწავლო. თუ არ გაინტერესებს, რატომ უნდა დახარჯო ამდენი ფული? მით უფრო, სამედიცინო ისეთი სფეროა, რომ სპეციალური ლიტერატურა თუ ყოველდღე არ იკითხე და არ განვითარდი, ასეთ კონკურენტუნარიან გარემოში ფეხს ვერ მოიკიდებ. სამწუხაროდ, ჩვენ გაცილებით მეტნი ვართ იმაზე, რაც საქართველოს მოსახლეობას სჭირდება, ამიტომ ჩემმა ბევრმა კოლეგამ შეიცვალა პროფესია.

ახალგაზრდას უნივერსიტეტი ცოდნის მიღებაში ეხმარება. სტუდენტებთან ჩემი მიდგომაც ასეთია – მე თქვენ არ გასწავლით, მე თქვენ გეხმარებით, რომ ისწავლოთ! ამ ფუნქციას უნივერსიტეტი ძალიან კარგად ასრულებს. დღეს აქ არის პირობები იმისათვის, რომ თუ ადამიანს სწავლა უნდა, ისწავლის. ვიცი ჩემს გვერდით რა დონის პროფესურაა და რა შეუძლიათ გასცენ სტუდენტისთვის.

— ***რამდენად გრჩებათ დრო სამეცნიერო მუშაობისთვის?***

— ჩემი სამსახურიდან გამომდინარე, ინტერესის სფერო ძალიან ფართოა. ის საზოგადოებრივ ჯანმრთელობასთან და ეპიდემიოლოგიასთან არის დაკავშირებული. საზოგადოებრივი ჯანმრთელობა უფრო პრაქტიკული დარგია, ეპიდემიოლოგია კი — მისი სამეცნიერო საფუძველი. სამწუხაროდ, ლაბორატორიაში მუშაობის დრო აღარ მაქვს. ამჟამად ძირითადად ვმუშაობთ მოლეკულურ ეპიდემიოლოგიაში.

— ***როცა საზოგადოებაში რაღაც დაავადების მიმართ გარკვეული შიში ისადგურებს, თქვენ ყოველთვის მშვიდი ხართ და ოპტიმისტურ განცხადებებს აკეთებთ. საიდან მოდის ეს სიმშვიდე. იცნობთ ამ დაავადებებს კარგად და ხვდებით, რა შეუძლია მას გამოიწვიოს თუ, უბრალოდ, გვამშვიდებთ?***

— მოდით ასე ვთქვათ – ყველა დაავადებას აქვს თავისი განვითარების ეტაპები და შესაძლებლობის მაქსიმუმი. ასეთ დროს რეალისტები უნდა ვიყოთ. ჩვენი სამსახურის მიზანია, არ შევცდეთ მასშტაბის გაზომვაში. სიმშვიდე, რომელიც თქვენ ახსენეთ, ჩემი დამსახურება არაა. ამხელა ცენტრი სწორედ ამ საკითხებზე მუშაობს და ბედნიერი ვარ, რომ ძალიან მაღალი პროფესიონალიზმის მქონე თანამშრომლები გვყავს. მე მხოლოდ მათი კვლევის შედეგებს ვახმოვანებ. საბედნიეროდ, ბოლო 20 წელია პროგნოზებში არ შევმცდარვართ. ეს საკმაოდ თამამი განცხადებებია და დიდ სიფრთხილეს მოითხოვს, რადგან ერთხელაც რომ შევცდეთ, აღარ დაგვიჯერებენ. აქვე გაითვალისწინეთ ისიც, რომ ასეთ დროს არც გაზვიადება ვარგა და არც ის, რომ მოსალოდნელი საფრთხეების შესახებ არ გააფრთხილო საზოგადოება. ფაქტობრივად, ბეწვის ხიდზე გვიწევს გავლა.

ზოგადად, ამ დარგში პანიკა გაცილებით უფრო საშიშია, ვიდრე რეალური საფრთხე, ამიტომ ადამიანებმა უნდა იცოდნენ, ასეთ დროს როგორ მოიქცნენ. ჩვენ დღემდე განვიცდით რომ ე.წ. „ღორის გრიპის“ გავრცელების დროს საქართველოში 7 ორსული დაიღუპა. ეს ადამიანები რომ დროზე მისულიყვნენ ექიმთან, ეს შედეგი არ გვექნებოდა. ამიტომ ახლაც ვეძებთ მიზეზებს — ხომ არ დავაკელით რაიმე ინფორმაცია, რომ ეს არ მომხდარიყო.

მშვიდი განცხადებების გაკეთება მეც მიჭირს. ყოველი ადამიანის სიკვდილი ამ ადამიანების ოჯახებისთვის უბედურებაა და ჩვენი სამსახურისთვის — სტატისტიკა და რისკის ალბათობა. წარმოიდგინეთ, რომ ამ ფონზე ცივი გონებით უნდა ილაპარაკო და ახსნა, რომ ეს ყველაფერი ჩვეულებრივი ამბავია, რადგან მედიცინაში ასპროცენტიანი არაფერია.

— ***რამდენად ამართლებს ვირუსული ინფექციების გავრცელების პერიოდში ხალხური, ტრადიციული მედიცინის გამოყენება?***

— ხალხური მედიცინა დიდ ტრადიციებს, საუკუნეებით დაგროვილ ცოდნას და სიბრძნეს ეფუძნება, მაგალითად, იგივე ნიორის გამოყენება საკმაოდ ეფექტურია, ცოტა ალკოჰოლიც, ხაზს ვუსვამ — ცოტა. ასე რომ, მეც ხშირად ვურჩევ ხოლმე ხალხურ საშუალებებს.

— ***ჩვენი საზოგადოებაში ჯერ კიდევ დაბალია საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნვის კულტურა. ცნობილი ტენდენციაა, რომ სანამ ძალიან არ გაუჭირდება ადამიანს, ექიმს ნაკლებად აკითხავს. ხომ არ არის დაგეგმილი საგანმანათლებლო პროგრამები ამ ხარვეზის გამოსასწორებლად?***

— ჩვენ ყველანი მოვდივართ იმ საზოგადოებიდან, როცა შენს მაგივრად ასეთ საკითხებსაც კი სხვა წყვეტდა. ახლა, როცა თვითონ ვართ ჩვენი თავის პატრონი, საზოგადოებამ უნდა გააცნობიეროს, რომ საჭიროა საკუთარ ჯანმრთელობას თავად მიხედოს. მესმის, რომ ჩვენს გვერდით ბევრი გაჭირვებული ადამიანია და შემოსავალი არ აქვს, მაშინ, როცა სამედიცინო სფერო მთელ მსოფლიოში საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა, მაგრამ როცა ძალიან გაუჭირდება, ხომ პოულობს გამოსავალს? უნდა გვახსოვდეს, რომ, როცა დაავადება ბოლო წერტილამდე მიდის, მკურნალობა უფრო ძვირი ჯდება. ბოლო პერიოდში დაზღვევის სისტემაც ამოქმედდა. ვეთანხმები იმ აზრს, რომ ჩვენი დაზღვევის პროგრამები მთლად ვერ ფარავენ ყველაფერს, რაც დაზღვევისთვის მიღებულია, მაგრამ გადაუდებელი დახმარებები გათვალისწინებულია. ამიტომ მეტი ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ საკუთარ ორგანიზმში გამოვლენილ ნებისმიერ სიმპტომს და ექიმს მივაკითხოთ მანამ, სანამ დაავადების განკურნება შესაძლებელია.

— ***ვაქცინაციაზეც უნდა გკითხოთ. ბოლო დროს საზოგადოებაში ერთგვარი სკეპტიკური განწყობაა პროფილაქტიკური აცრების მიმართ. ადამიანების ნაწილი არ ენდობა შემოტანილ ვაქცინებს. ფიქრობენ, რომ ის საშიშია...***

— ეს სისულელეა. პირიქით, ვამაყობ იმით, რომ საქართველოში მილიონი ბავშვი აღარ გახდება სერიოზულად ავად, რადგან აცრები ჩაიტარა. მოზრდილებზეც გვინდოდა ამგვარი ღონისძიების გატარება. დავიწყეთ კიდეც ვაქცინაცია წითელა-წითურაზე, მაგრამ ეს აქცია ზოგიერთმა თქვენმა კოლეგამ ჩაშალა — მილიონი ადამიანი უნდა აგვეცრა და იმის გამო, რომ აცრილთა ნაწილს სრულიად ბუნებრივი რეაქცია ჰქონდა ვაქცინაზე, აქცია ნაწილობრივ ჩაიშალა.

დაავადებებისაგან თავის დასაცავად აცრაზე კარგი საშუალება არაფერი გამოუგონებიათ. რაც შეეხება რეაქციას, ეს ჩვეულებრივი ამბავია... გართულება კი უბრალო წყლის გადაცდომამაც შეიძლება გამოიწვიოს.

— *თქვენი სამუშაო ოთახის კედელზე უამრავი სერტიფიკატი და დოკუმენტია გამოფენილი...*

— მეწაღის „ბუტკები“ რომ იყო ხოლმე პლაკატებით მოფენილი, იმას ჰგავს, მაგრამ ახლა „მოდაშია“ ამგვარი დოკუმენტები კედელზე. არ მიყვარს ეს კედელი. სამაგიეროდ მიყვარს სხვადასხვა სამეცნიერო სიმპოზიუმიდან და კონფერენციიდან ჩამოტანილი გულსაბნევების კოლექცია. კარგ დღეებს მახსენებს. ეს არის ხოლმე 2-3 დღე, როცა შემიძლია დავტკბე საინტერესო საქმით, ნაკლებად ვიფიქრო პრობლემებზე და დავათვალიერო სხვა ქვეყნის კულტურის ძეგლები.

— ***თქვენს სამუშაო ოთახს საკმაოდ საინტერესო ფერწერული ტილოებიც ამშვენებს...***

— ეს ჩემი მეუღლის მაკა მეძმარიაშვილის ნამუშევრებია. ის საკმაოდ კარგი მხატვარია. ყოველ შემთხვევაში, ასე მგონია...

— ***გყავთ ტყუპი ქალიშვილი. მომავალ პროფესიას თქვენ ურჩევთ თუ უკვე არჩეული აქვთ ინტერესის სფერო?***

— არა, ასეთ მნიშვნელოვან საკითხში ვერ ჩავერევი. ისე, ერთს მგონი დედის პროფესიისკენ მიუწევს გული. მეორე კარგად სწავლობს, მაგრამ ჯერ კონკრეტული პროფესია, ვფიქრობ, არ აურჩევია.

— ***თუ მოინდომებენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩაბარებას, თქვენ მოუწონებთ არჩევანს?***

— ულაპარაკოდ. იმიტომ, რომ ჩემთვის საქართველოში უნივერსიტეტი არის ერთი — ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. სიმართლე გითხრათ, არც მიყვარს, როცა უნივერსიტეტს ასე მოიხსენიებენ, მას არ სჭირდება ზედმეტი დაზუსტება. უნივერსიტეტი ერთია.... სხვა დანარჩენმა სასწავლებლებმა კი, ალბათ, უნდა დააფიქსირონ, რომელი უნივერსიტეტები და ვისი სახელობის არიან...

ახალი უნივერსიტეტი

როდის გადაწყდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხი?

1991 წლის 31 მარტს საქართველოში ჩატარდა საყოველთაო-სახალხო რეფერენდუმი, რომლის ერთადერთ კითხვას: „თანახმა ხართ თუ არა აღდგეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე?“ დადებითი პასუხი გასცა მასში მონაწილეთა 98%-მა, მათ შორის არაქართველი მოსახლეობის დიდმა უმრავლესობამ. საქართველოს ისტორიაში ამ ერთ-ერთი გამორჩეული დღის მნიშვნელობის შეხსენება ალბათ აუცილებელია დღევანდელი თაობისთვის, რათა მათ კარგად გაიაზრონ – რა ეტაპებს მოიცავს დამოუკიდებლობისკენ სავალი გზა.

იმ ისტორიულ ფაქტებს, რაც წინ უძღოდა რეფერენდუმის ჩატარებას, რაც შემდგომ უკვე რეფერენდუმის შედეგებმა განსაზღვრა და მოიტანა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ისტორიკოსი ბონდო კუპატაძე იხსენებს. ისტორიკოსი ჩვენთან საუბარში იმ აქცენტებზე ამახვილებს ყურადღებას, რაც ამ დღის მნიშვნელობას უსვამს ხაზს.

ნინო კაკულია

— რა ისტორიული მნიშვნელობა აქვს ჩვენი ერის განაცხადს 31 მარტის რეფერენდუმის სახით საქართველოს მომავალი ისტორიის განსაზღვრისთვის?

— საქართველოს ისტორიაში 31 მარტი ერთ-ერთი გამორჩეული დღეა. 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმმა გადაწყვიტა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხი — იურიდიულად ეს აუცილებელი პროცედურა იყო. იგი გულისხმობდა, რომ საქართველოს გათავისუფლებისთვის ბრძოლა უნდა წარმართულიყო კონსტიტუციური მეთოდებით, ანუ კანონიერი გზით. ამის საშუალებას იძლეოდა სსრკ-ის (საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი) კონსტიტუციაში არსებული ის მუხლი, რომელიც რესპუბლიკას საბჭოთა კავშირის დატოვების უფლებას აძლევდა. ამ მუხლის შეცვლის მცდელობა 1988 წელს ჰქონდა სსრკ-ის მაშინდელ პრეზიდენტს მიხეილ გორბაჩოვს. მისი მოთხოვნით ახალ კონსტიტუციაზე დაიწყეს მუშაობა. ახალი ცვლილების მიხედვით, მოკავშირე რესპუბლიკებისთვის არ უნდა მიეცათ სსრკ-ს დატოვების შანსი, ანუ ამ უფლების მოპოვება რეფერენდუმის შემდგომ ზემდგომი ინსტანციების (კერძოდ სსრკ-ის სახალხო დეპუტატთა ყრილობის) თანხმობას მოითხოვდა და გართულებულ პროცედურებს მოიცავდა. ეს ნიშნავდა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი მოსკოვში უნდა გადაწყვეტილიყო.

სწორედ ამან გამოიწვია ეროვნული მოძრაობის აღმავლობა 1988 წელს. რეფერენდუმის გზით სსრკ-დან გამოსვლის გადაწყვეტილება, რომელიც მიიღო უზენაესმა საბჭომ 1991 წელს კარგი საშუალება იყო იმისთვის, რომ საქართველოს ახალ სახელმწიფოს მოწყობას ლეგიტიმური სახე შეეძინა.

საინტერესოა ის გარემოება, რომ ეს რეფერენდუმი ჩატარდა იმ რეფერენდუმის საპირისპიროდ, რომელიც სსრკ-ის პრეზიდენტის მიხეილ გორბაჩოვის ბრძანებით 1991 წლის 17 მარტს გაიმართა და სსრკ-ს მოდერნიზების გეგმასთან იყო დაკავშირებული. ამ რეფერენდუმზე, რომელიც 15-დან მხოლოდ 9 საბჭოთა რესპუბლიკაში ჩატარდა, დასმული იყო კითხვა: „თვლით თუ არა საჭიროდ საბჭოთა კავშირის, როგორც თანასწორუფლებიანი სუვერენული რესპუბლიკების განახლებული ფედერაციის შენარჩუნებას, რომელშიც მთელი სისრულით იქნება გარანტირებული ნებისმიერი ეროვნების ადამიანთა უფლებები და მოვალეობები“. 76%-მა ამ კითხვაზე დადებითად უპასუხა. თუმცა თავისთავად კითხვა ძლიერ ბუნდოვნად იყო დასმული და რეფერენდუმის წარუმატებლობის შემთხვევაში საბჭოთა კავშირის ძველი ფორმით შენარჩუნების იურიდიულ საფუძველს იძლეოდა. შემდგომში განვითარებული მოვლენების შედეგად სსრკ-ის რეანიმაციის პროექტი დასამარდა.

საქართველოს მაშინდელმა ხელისუფლებამ პოლიტიკურად და იურიდიულად მართებული გადაწყვეტილება მიიღო. აკრძალა საქართველოს ტერიტორიაზე 17 მარტის რეფერენდუმის ჩატარება. ამის სანაცვლოდ კი 31 მარტის რეფერენდუმი დაინიშნა. გასათვალისწინებელია, რომ 17 მარტის რეფერენდუმის შედეგები ჯამდებოდა მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით. ეს კი ნიშნავდა, რომ რეფერენდუმის კითხვაზე 100%-იანი უარყოფითი პასუხის შემთხვევაშიც კი, რადგან საქართველოს მონაცემები შეერეოდა ერთიან მონაცემს, საქართველოც, როგორც 17 მარტის რეფერენდუმის მონაწილე, გაიზიარებდა ამ რეფერენდუმზე იურიდიულ პასუხისმგებლობას.

31 მარტის რეფერენდუმის შედეგების თანახმად კი გადაწყდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხი. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მოთხოვნა და 31 მარტის რეფერენდუმში დასმული კითხვაც წარმოადგენდა 1918 წელს გამოცხადებული საქართველოს დამოუკიდებლობის სამართლებრივ გაგრძელებას, რომლის ხელოვნური წყვეტაც რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციით იყო გამოწვეული. რეფერენდუმის თანახმად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბ-



ლიკის სამართალმემკვიდრე უნდა ყოფილიყო ახალი ქართული სახელმწიფო, რაც გახლდათ მთავარი მიზანი 31 მარტის რეფერენდუმის დანიშვნისა. ამ ფაქტმა უკვე თავისთავად გამორიცხა გორბაჩოვისეული 17 მარტის რეფერენდუმის ჩატარება საქართველოს ტერიტორიაზე.

რეფერენდუმის შედეგების საფუძველზე, 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი“. ყველაზე მნიშვნელოვანი და ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ საქართველოს თავისუფლების მოპოვება მოხდა არა სპონტანურად, არამედ კანონის ფარგლებში ყოველნაირი წესის დაცვით. ასე რომ, საქართველოს მაშინდელმა ეროვნულმა მოძრაობამ სწორედ რომ კონსტიტუციური მეთოდები და გზები გამოიყენა საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად.

— რამ მოამწიფა 31 მარტის რეფერენდუმის ჩატარება და რა ეტაპები უძღოდა ამას წინ?

— 1990 წლის 28 ოქტომბერს საქართველოში ჩატარდა მრავალპარტიული, დემოკრატიული საპარლამენტო არჩევნები, სადაც დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა ეროვნული პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების საარჩევნო ბლოკმა „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო“. იმავე წლის 14 ნოემბერს საქართველოს ახლადარჩეული უზენაესი საბჭოს პირველ სესიაზე, მას შემდეგ, რაც ზვიად გამსახურდია უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს, რესპუბლიკას ეწოდა „საქართველოს რესპუბლიკა“ და სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამდე გარდამავალი პერიოდი გამოცხადდა. შემდეგ უკვე, 1991 წლის 31 მარტს, როგორც აღვნიშნეთ, ჩატარდა რეფერენდუმი, რომლის შედეგების საფუძველზეც 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი“, — ეს იყო ის სამი თანმიმდევრული ეტაპი, რაც მაშინდელი ხელისუფლების გამარჯვებად შეიძლება ჩაითვალოს, რადგან სსრკ-ს სწრაფი ნგრევის პერსპექტივა მაშინ მაინცდამაინც არ ჩანდა.

— რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ მსოფლიოს წამყვანმა ქვეყნებმა მხოლოდ მოგვიანებით ცნეს. რასთან იყო ეს დაკავშირებული?

— როგორც კი დაიშალა საბჭოთა კავშირი, ბუნებრივია, მის ადგილზე გაჩნდა ახალი სახელმწიფოები, რომლებიც უპრობლემოდ აღიარა მსოფლიოს ყველა ქვეყანამ. სანამ იურიდიულად საბჭოთა კავშირი არსებობდა, არც ერთმა წამყვანმა სახელმწიფომ საქართველოს დამოუკიდებლობა არ ცნო, მიუხედავად იმისა, რომ რეფერენდუმი ჩატარდა და საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა. ასე რომ, სანამ საბჭოთა კავშირის ლიკვიდაცია არ მოხდა, მანამდე საქართველოს დამოუკიდებლობას მსოფლიო არ აღიარებდა. საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების პროცესი დაგვირგვინდა 1992 წლის 31 ივლისს, როდესაც საქართველო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი გახდა — ეს დასკვნითი ეტაპი იყო დამოუკიდებლობის აღიარების საქმეში. რაც შეეხება საქართველოს სუვერენობის ხარისხს, სამწუხაროდ, საქართველო დღემდე დამოუკიდებელი ნაბიჯების გადადგმის თვალსაზრისით საკმაოდ შეზღუდულია. იგი სრულად ვერ ახორციელებს თავის იურისდიქციას საკუთარ ტერიტორიაზე — სწორედ ამდენად არის მნიშვნელოვანი დღევანდელი თაობისთვის სუვერენობის იმ ხარისხის მოპოვება, რაც ჩვენი ქვეყნის ხერხემალს „გაასწორებს“ და გაამყარებს.

უნივერსიტეტში 9 აპრილის ტრაგიკული ისტორია გაიხსენეს

8 აპრილს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეორე კორპუსში გაიხსნა გამოფენა, რომელიც წარმოადგენდა 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის ფოტოქრონიკას, ხოლო რუმინეთის აუდიტორიაში გაიმართა ესსეების პრეზენტაცია თემაზე — „1989 წლის 9 აპრილი საქართველოს უახლეს ისტორიაში“. ღონისძიება განხორციელდა თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრანტ ლევან თორიას და იურიდიული ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტ ბაჩანა ზარანდიას ორგანიზებით და თბილისის მერიის ფინანსური მხარდაჭერით. კონკურსისათვის ესსეების მიღება 2 კვირით ადრე გამოცხადდა და შემოსული 25 ესსედან შეირჩა 3 საუკეთესო. გამარჯვებულებს ფულადი ჯილდოები გადაეცათ.

პირველი ადგილი დაიკავა იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტმა ვალერი ოთხოზორიამ, მეორე ადგილი — ილიას უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტმა ცოტნე მურღულიამ; მესამე ადგილი კი – თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტმა სოფიკო ხელაშვილმა.

როგორც პროექტის ხელმძღვანელმა და წამყვანმა ლევან თორიამ აღნიშნა, ეს ღონისძიება არის საშუალება, რომ სათანადოდ შეფასდეს ამ დიდი ისტორიული თარიღის როლი და მნიშვნელობა და ჩამოყალიბდეს სწორი შეხედულება ქვეყნის მომავალი საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის განსაზღვრის თვალსაზრისით.

სრულიად გამორჩეული იყო თავისი ორიგინალობით და ჟანრით ვალერი ოთხოზორიას ესსე. ავტორის აზრით, ამ დღის ისტორიული როლის განსაზღვრა არ არის დამოკიდებული მხოლოდ ფაქტის რეალობაზე: „9 აპრილი წარმოადგენს საქართველოს დამოუკიდებლობის შუქურას. ამ დღეს ვერ მოვწყვეტთ საბჭოთა სახელმწიფოებრიობის სინამდვილეს, რომლის დასასრულის შეუმჩნეველი დასაწყისის ფურცელიცაა და ნახევრად არეულია ადრეული თავისუფლების შეგრძნებასთან“. ავტორი საინტერესო განხილვას გვთავაზობს საბჭოთა კავშირის კონტექსტში ჩასმული „9 აპრილისას“, რომელიც „ლოკალურია“ მხოლოდ და მიჯაჭვული შიშველ დამოუკიდებლობას, მაგრამ, მეორე მხრივ, ის თავსდება დამოუკიდებლობისკენ მიმავალი გზის დასაწყისში, ჯერაც დახშული გადაულახავი კედლებითა და „რკინის ფარდებით“. აღნიშნულ ესსეში 9 აპრილის გაგრძელებად და „ანტიგაგრძელებად“ მიჩნეულია სამოქალაქო ომების, კორუფციისა და ეროვნული სიბნელის ის პერიოდი, რომელიც დამოუკიდებლობის გამოცხადების ბრწყინვალე დღესა და „ვარდების რევოლუციის“ შუალედში არსებობს. ამავე ავტორის მიერ თავისი ესსესთვის გაკეთებული დასკვნა შეიძლება ჩაითვალოს საერთოდ ამ ღონისძიების ბოლოსიტყვად, ე.წ. „კალისტრატეს რეპლიკად“: „9 აპრილის სახით ჩვენ ვიგონებთ იმ გულუბრყვილო თავისუფლებას, რომელიც ჯერაც უბრალო და უდანაშაულო, დანაშაულებრივად და ბრალეულად, ე.ი. უსამართლოდ ჩახშობილ იქნა ისე, რომ მას ვერ ეღირსა უსამართლობად გადაქცევა. ამიტომაც ტოვებს იგი უსამართლობას სინანულში, მიმართულში იმედის, ზრუნვისა და წმინდა პატივისცემისაკენ. 9 აპრილი საქართველოს უახლესი ისტორიის სისხლიანი ალამია, რომელიც ფრიალებს, როგორც თავისუფლების სიმბოლო და ალეგორია, რომელსაც დამოუკიდებლობისკენ მიმავალ გზაზე აუცილებლად სჭირდება სამართლიანი თანამგზავრი...“.

მარიამ ბეჟიტაშვილი

თსუ-ის პროფესორი — სტომატოლოგთა მსოფლიო ფედერაციის კომუნიკაციების კომიტეტის თავმჯდომარე

თსუ-ის სრული პროფესორი ვლადიმერ მარგველაშვილი სტომატოლოგთა მსოფლიო ფედერაციის კომუნიკაციების კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩიეს. ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც ფედერაციის ერთ-ერთ კომიტეტს ქართველი პროფესორი ხელმძღვანელობს. ასევე, პირველი პრეცედენტია, როდესაც განვითარებადი ქვეყნის წარმომადგენელი მსგავსი სახის ორგანიზაციაში ასეთ მაღალ პოსტზე დაინიშნა.

ნატო ოგოლაძე

სტომატოლოგთა მსოფლიო ფედერაციაში ერთ მილიონამდე სტომატოლოგია გაწევრიანებული. ვლადიმერ მარგველაშვილი 2006 წელს ფედერაციის კომუნიკაციების კომიტეტის წევრად, ხოლო ამა წლის 19 თებერვალს კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩიეს. პარალელურად იგი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის სტომატოლოგიისა და ყბა-სახის ქირურგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელია. ფედერაციის კომუნიკაციის კომიტეტის თავმჯდომარის პოსტი მას შესაძლებლობას აძლევს, რომ სტომატოლოგიის სფეროში მსოფლიოს წამყვან უმაღლესი სასწავლებლებსა და თსუ-ის შორის თანამშრომლობის დაწყების შესახებ მოლაპარაკება აწარმოოს.

„როგორც კომუნიკაციის კომიტეტის თავმჯდომარეს კონტაქტი მსოფლიოს 137 ქვეყნის სტომატოლოგთან მაქვს, ამიტომ მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებთან მოლაპარაკებების წარმოება გაცილებით გამიადვილდება. მარტში ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიზიტით ყოფნისას ქ. ბოსტონში ტაფტის უნივერსიტეტის რეზიდენტურის ერთ-ერთი მიმართულების დირექტორს შევხვდი. ვისაუბრეთ რეზიდენტების გაცვლის შესახებ, მაგრამ ეს მხოლოდ წინასწარი მოლაპარაკება გახლდათ. პროგრამის ამოქმედებისთვის საჭიროა ოფიციალური შეთანხმება.

ასევე, ვგეგმავ გერმანიის წამყვან უნივერსიტეტებთან მოლაპარაკების დაწყებასაც“, - გვითხრა ვლადიმერ მარგველაშვილმა.

საქართველოს სტომატოლოგთა ასოციაციას საერთაშორისო ფედერაციაში ერთი დელეგატის წარდგენის უფლება აქვს. ფედერაციის პარლამენტში ერთი ქვეყნისთვის გამოყოფილი ადგილების რაოდენობა მის ასოციაციაში გაწევრიანებული სტომატოლოგების რაოდენობაზეა დამოკიდებული. საქართველოს სტომატოლოგთა ასოციაციაში ამ დროისთვის 1500 წევრია და შესაბამისად მას მხოლოდ წევრის გაგზავნის უფლება აქვს.

სტომატოლოგთა მსოფლიო ფედერაცია 1900 წელს პარიზში დაარსდა და ამ დროისთვის ერთ მილიონამდე წევრი ჰყავს. ორგანიზაციაში ხუთი კომიტეტია, რომელთაგან კომუნიკაციების კომიტეტი პირველია. თსუ-ის სრული პროფესორი ვლადიმერ მარგველაშვილი მას 2012 წლამდე უხელმძღვანელებს. პარალელურად იგი საქართველოს სტომატოლოგთა ასოციაციის გენერალური მდივანი, პიერ ფოშარის სახელობის სტომატოლოგთა საერთაშორისო აკადემიის (აშშ) წევრი და ქართული სექციის თავმჯდომარე გახლავთ. ასევე, ეწევა პრაქტიკულ მოღვაწეობას „პროფესორ მარგველაშვილის სტომატოლოგიურ კლინიკასა“ და „როიალ დენტის“ სტომატოლოგიურ კლინიკაში.

ახალი ინგლისურ-ქართული ონლაინ ლექსიკონი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექსიკოგრაფიულმა ცენტრმა დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინ ლექსიკონის პრეზენტაცია გამართა. ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც ინგლისური ენის სპეციალისტებს, პედაგოგებს, მთარგმნელებს, ინგლისური ენით დაინტერესებულ პირებს და სტუდენტებს ყველაზე დიდი ინფორმაციული მარაგის მქონე ონლაინ ლექსიკონით შეეძლებათ სარგებლობა.

ნატო ოგოლაძე

ახალ ინგლისურ-ქართულ ონლაინ ლექსიკონში 100 000-მდე სიტყვა-სტატიაა შესული. შეტანილია უამრავი შესიტყვება, ფრაზული ზმნა, ფრაზეოლოგიური ერთეული, ასევე სამეცნიერო-ტექნიკური, ეკონომიკური, ხელოვნების თუ სხვა სფეროებთან დაკავშირებული ტერმინოლოგია. ლექსიკონში შესული მთლიანი მასალა 800 000-მდე ერთეულს აღწევს.

პირველი ინგლისურ-ქართული ონლაინ ლექსიკონის საძიებო სისტემის საშუალებით დაინტერესებულ პირებს შეეძლებათ როგორც ინგლისური სიტყვის, შესიტყვების, ასევე, ქართული სიტყვებისა და ფრაზების მოძებნაც. მისი ვებ-მისამართია www. dictionary.ge. საიტზე ამ დროისთვის არ არის ატვირთული P, Q ,R ,S და W ასოებზე დაწყებული სიტყვები, თუმცა თსუ-ის ლექსიკოგრაფიული ცენტრი მათზე მუშაობას უახლოეს მომავალში დაასრულებს.

ონლაინ ლექსიკონს საფუძვლად პროფესორ თინათინ მარგალიტაძის საერთო რედაქტორობით გამოცემული დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონის ტომები დაედო, რომელთა ბეჭდვა 1995 წლიდან დაიწყო და დღეისთვის უკვე 13 წიგნად არის გამოქვეყნებული (ასოები A–O). ლექსიკონზე მუშაობა გრძელდება. სამომავლოდ დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონის ერთიანი გამოცემა იგეგმება.

„ნახევარ საუკუნეზე მეტია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ამ ლექსიკონზე მუშაობა მიმდინარეობს. ჩემი ცხოვრების 25 წელი ამ საქმეს მოვახმარე და მიუხედავად იმისა, რომ დიდი საქმეა გაკეთებული, კიდევ საკმაოდ დიდი გეგმები გვაქვს. ეს დასაწყისია იმ პრეზენტაციებისა, რომლებსაც კვლავაც გავმართავთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და ასევე, საქართველოს სხვა უმაღლეს სასწავლებლებში. ჩვენ გვინდა ლექსიკონის პრეზენტაციასთან ერთად პოპულარიზაციაც გავუწიოთ ლექსიკოგრაფიას, გავაცნობიეროთ აუდიტორია თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება ლექსიკონებსა და ენციკლოპედიებს ნებისმიერი ერის კულტურულ ცხოვრებაში. ასევე, ჩვენი ინიციატივით ბათუმში გაიმართება პირველი საერთაშორისო სიმპოზიუმი ლექსიკოგრაფიაში“, — აღნიშნა პრეზენტაციაზე პროფესორმა თინათინ მარგალიტაძემ.

დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინ ლექსიკონის შედგენაზე თსუ-ის ლექსიკოგრაფიული ცენტრი წლებია მუშაობს. მის სარედაქციო კოლეგია 8 წევრისგან შედგება, ესენი არიან: პროფესორი თინათინ მარგალიტაძე, რედაქტორი გიორგი მელაძე, პროფესორი არიანე ჭანტურია, პროფესორი შუქია

აფრიდონიძე, დოქტორი გელა ხუნდაძე, რედაქტორი გულნარა ანთელავა, ნათია კვერნაძე და ხათუნა გურიელი.

ავტორებმა ლექსიკონს სიმბოლურად მარგალიტი უწოდეს. მათ ამ სახელით ლექსიკოგრაფიის, როგორც დარგის სირთულეს გაუსვეს ხაზი. „ლექსიკოგრაფიის შრომას ჰერაკლეს გმირობებს ადარებენ, ქართველმა კაცმა კი ამ საქმეს ქვის კოდვა უწოდა“. – აღნიშნულია წინასიტყვაობაში.

წლის საუკეთესო სამეცნიერო პერიოდული გამოცემა — ჟურნალი „ცივილიზაციური ძიებანი“

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე უკვე 7 წელია გამოდის სამეცნიერო ჟურნალი „ცივილიზაციური ძიებანი“, რომლის არსებობა კულტურის მეცნიერებათა სფეროში ქვეყნებს შორის ურთიერთთანამშრომლობის პერსპექტივებს აჩენს.

2009 წელს საგამომცემლო სახლმა „სახე(ლ)ები“ პროექტში — „წლის სახელები 2009“ ჟურნალი „ცივილიზაციური ძიებანი“ წლის საუკეთესო სამეცნიერო პერიოდულ გამოცემად დაასახელა — ეს მიღწევაც ხაზს უსვამს ამ გამოცემის მნიშვნელობას კულტურის მეცნიერებების პოპულარიზაციის თვალსაზრისით.

ნინო კაკულია

ინტერდისციპლინური ჟურნალი „ცივილიზაციური ძიებანი“ გამოდის 2003 წლიდან. თავდაპირველად იგი კულტურის ისტორიისა და თეორიის კათედრის ორგანიზებით გამოიცემოდა. ჟურნალის რედაქციაში შედიოდნენ სხვადასხვა მიმართულების (სხვადასხვა ფაკულტეტებისა და მაშინდელი კათედრების) წარმომადგენლები. 2005 წელს კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაარსდა ინტერკულტურული დიალოგის იუნესკოს კათედრა. იუნესკოს კათედრისა და თსუ-ის ორგანიზებით, 2007 წლის ივნისში მოეწყო საერთაშორისო კონფერენცია თემაზე: „კავკასია — ინტერკულტურული დიალოგის პერსპექტივა“. კონფერენციაზე მიღებული გადაწყვეტილების შედეგად, იუნესკოსა და თსუ-ის შეთანხმებით, ჟურნალმა „ცივილიზაციური ძიებანი“ არსებობა განაგრძო როგორც საერთაშორისო პერიოდულმა სამეცნიერო გამოცემამ. მისი სარედაქციო საბჭო დაკომპლექტებულია ცივილიზაციათა კვლევის სფეროში მოღვაწე სხვადასხვა ქვეყნის უცხოელი მეცნიერებით. ჟურნალი გამოდის იუნესკოს ენებზე (შეთანხმებაში ასეა ჩადებული). მასში იბეჭდება სტატიები პირველ რიგში, ქართულად, ასევე, ინგლისურ, ფრანგულ, რუსულ ენებზე... იმ შემთხვევაში, თუკი სტატიები არაინგლისურ ენაზეა, მათ ვრცელი ინგლისური რეზიუმე ერთვის.

რას შეეხება თემატიკას, მისი შინაარსი ფართოა ისევე, როგორც ფართოა კულტურის მეცნიერებათა შესწავლის სფერო. ჟურნალი მოიცავს დღევანდელი მსოფლიოსთვის მეტად აქტუალურ საკითხებს. ეს გახლავთ: სხვადასხვა კულტურებისა და ცივილიზაციების მახასიათებლები და მათი შედარებითი კვლევის პერსპექტივები (ისტორიული და ტიპოლოგიური საკითხები), ინტერკულტურული დიალოგის პრობლემები, კონფლიქტების კულტურული საფუძვლები, იდენტობის საკითხები, სტერეოტიპები და მათი გადალახვის გზები და ა.შ.

ჟურნალში გამოსაქვეყნებელი სტატიები შერჩევის ყველა იმ ეტაპს გადის, რასაც სხვა საერთაშორისო დონის გამოცემები. „სტატიების რიცხვი ბევრად მეტია იმაზე, ვიდრე ჩვენ შეგვიძლია დავბეჭდოთ. ეს სიმრავლე გვაძლევს საშუალებას შევარჩიოთ და დავბეჭდოთ ის, რაც, ჩვენი აზრით, აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რასაც ავტორებს ეს ჟურნალი უყენებს“, — აცხადებს ჟურნალის სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე ნინო ჩიქოვანი.

ჟურნალში, რომელიც წელიწადში ერთხელ გამოიცემა, იბეჭდება ისტორიკოსების, ენათმეცნიერების, ლიტერატურათმცოდნეების, ფსიქოლოგების, სოციოლოგებისა და სხვათა მიერ მომზადებული სტატიები და კულტურის მეცნიერებათა სფეროში მოღვაწე თანამედროვე ავტორთა ნაშრომების თარგმანები. რაც მეტად შთამბეჭდავია, პირველად საქართველოში დაიბეჭდა ისეთი ავტორების ქართული თარგმანები, როგორებიც არიან მაგალითად, სვანტე კორნელი, ჯონათან ფოქსი და კიდევ ძალიან ბევრი სხვა ცნობილი მეცნიერის თარგმანი. ეს ნაშრომები კულტურის მეცნიერებებში მოღვაწე ქართველ მკვლევრებს არა მხოლოდ კვლევის, არამედ სწავლების პროცესშიც მეტად ეხმარებათ.

აღსანიშნავია, რომ ჟურნალის გამოცემაში მონაწილეობენ ის ახალგაზრდა სპეციალისტები, რომლებიც კულტურის მეცნიერებათა ინსტიტუტთან არსებულ ინტერკულტურული დიალოგის იუნესკოს კათედრაზე საქმიანობენ და მათი ამ პროცესში მონაწილეობა მეტად მნიშვნელოვანია.

მიუხედავად იმისა, რომ ჟურნალი მცირე ტირაჟით იბეჭდება, მას თავისი მკითხველი ჰყავს. „ჩვენ გვაქვს ვებ-გვერდიც და ჟურნალით დაინტერესებული მკითხველი მუდმივად გვეხმაურება, ზოგი რჩევებსაც გვაძლევს და შენიშვნებსაც ვიღებთ, რაც ჟურნალის გაუმჯობესებასა და ჩვენი საქმიანობის უკეთ წარმართვაში გვეხმარება. გვთავაზობენ, ასევე, თანამშრომლობასაც. რამდენჯერმე ასეთი თანამშრომლობა უკვე შედგა, მაგალითად, გასულ წელს ინტერკულტურული დიალოგის იუნესკოს კათედრის სახით თსუ-სა და აზერბაიჯანის კულტურისა და ტურიზმის სამინისტროს შორის გაფორმდა თანამშრომლობის ხელშეკრულება, რომლის ფარგლებში ვამზადებთ პროექტს, რაც მოემსახურება უკანასკნელი წლების კონფლიქტების გამო სამხრეთ კავკასიის ხალხებს შორის შექმნილი გაუცხოების დაძლევასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებას. მთელი აქცენტი ახალგაზრდებთან მუშაობაზე გვაქვს გადატანილი. იმედია, ეს პროექტი წარმატებით დაგვირგვინდება. ამ კონტაქტების წყარო სწორედ ჩვენი ჟურნალი „ცივილიზაციური ძიებანი“ გახლავთ“. — აღნიშნავს ჟურნალის სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე ნინო ჩიქოვანი.

ქართველოლოგიის სემინარები ოქსფორდში

ოქსფორდის უნივერსიტეტი გაზაფხულის სემესტრიდან ქართველოლოგიის სემინარებს უმასპინძლებს. ამ საინტერესო და მნიშვნელოვანი სიახლის ინიციატორი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, ოქსფორდის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დოქტორანტი ნიკოლოზ (ტატო) ალექსიძეა. ჩვენც სააღდგომო არდადეგების გამო ტატოს სამშობლოში ჩამოსვლით ვისარგებლეთ და საქართველოს პოპულარიზაციისთვის დაგეგმილ ამ მნიშვნელოვან საქმესთან, და საერთოდ, ჩვენი უნივერსიტეტის კურსდამთავრებულის სამეცნიერო ცხოვრებასთან დაკავშირებით ტატოს ვესტუმრეთ.

— ტატო, გავიგეთ, რომ ოქსფორდის უნივერსიტეტში ძალიან საინტერესო პროექტის განხორციელებას აპირებთ, როგორ დაიწყო ეს ყველაფერი?

— თსუ-ის დამთავრების შემდეგ ბუდაპეშტის ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის მაგისტრატურაში განვაგრძე სწავლა მედიევისტიკის მიმართულებით. მაგისტრის ხარისხის მიღების შემდეგ კი დოქტორანტურაში სწავლის უფლების მოსაპოვებლად საბუთები ოქსფორდში გავგზავნე. საკმაოდ კარგი რეკომენდაციები მომცეს ბუდაპეშტიდან, რამაც თავისი როლი ითამაშა და ოქსფორდში სწავლის უფლებასთან ერთად სამწლიანი დაფინანსებაც მოვიპოვე, რომელიც მთლიანად ფარავს ჩემი იქ ყოფნის ხარჯებს. ჯერ კიდევ ბუდაპეშტში მინდოდა ქართველოლოგიის სემინარების ორგანიზება, თუმცა მაშინ, როცა ამისი შანსი გაჩნდა უკვე წამოვედი უნგრეთიდან. ოქსფორდში ჩასვლის შემდეგ დავიწყე ამ მიმართულებით ფიქრი და ჩემი იქაური ხელმძღვანელების დიდი მხარდაჭერით, უკვე აპრილის ბოლოს, ამ ციკლის პირველი ლექცია გაიმართება, რომელიც ყველა დაინტერესებული პირისთვის ღია იქნება. პირველი მომხსენებელი დონალდ რეიფილდია, ახლახან გამოცემული ვრცელი ინგლისურ-ქართული ლექსიკონის ავტორი, რომელიც ქართული ლიტერატურის ისტორიის სპეციალისტია. შემდეგ ლექციას ცნობილი არმენოლოგი, არმენოლოგიის კათედრის ყოფილი ხელმძღვანელი რობერტ ტომპსონი წაიკითხავს. რამდენადაც ქართველოლოგიის სემინარები ოქსფორდში სიახლეა, პირველი ლექციები ზოგადი ხასიათის იქნება, რათა მსმენელს საერთო წარმოდგენა შეექმნას საქართველოს შესახებ. მოისმენენ შესავალს ქართველოლოგიურ სწავლებებში. გარდა ამისა, ლინგვისტებმა თხოვნით მოგვმართეს, რომ ერთი სემინარი ძველი ქართული ენის შესახებაც ჩაგვეტარებინა. ასე რომ, ამ სემესტრისთვის სასემინარო მასალები უკვე დაგვიგროვდა. ძველი ქართული ენის შესახებ არა სემინარი, არამედ მთლიანი კურსის წაკითხვა ითხოვეს ისტორიის მიმართულების სტუდენტებმა. შემოდგომიდან უკვე თვითონ წავუკითხავ მათ ამ კურსს. რა თქმა უნდა, ესეც ქართველოლოგიის სემინარების ციკლის ფარგლებში განხორციელდება და ღია იქნება ნებისმიერი მსურველისთვისაც.

— თქვენი საუბრიდან ჩანს, რომ ოქსფორდში ქართველოლოგიით ინტერესდებიან, თუმცა არ არის ქართველოლოგიის კათედრა ან დეპარტამენტი. რა არის ამის მიზეზი?

— ოქსფორდის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში ფუნქციონირებს სირიული დეპარტამენტი, არმენოლოგიის დეპარტამენი, მათი მუშაობა არც თუ მცირე ფინანსებთანაა დაკავშირებული. ამისათვის სახელმწიფომ ან კერძო სპონსორებმა უნდა გაიღონ თანხები. მაგალითად, არმენოლოგიის დეპარტამენტს ერთ-ერთი სომეხი ბიზნესმენი აფინანსებს. ადრე ერთმა ქართველმა ბიზნესმენმაც გამოთქვა მზადყოფნა ქართველოლოგიის დეპარტამენტის დასაფინანსებლად, თუმცა მაშინ ეს პროექტი ჩაიშალა. იმისათვის, რომ დეპარტამენტმა სრულფასოვანი ფუნქციონირება დაიწყოს თავდაპირველი შესატანი მინიმუმ ორი მილიონი ფუნტია. რამდენადაც ასეთ თანხებზე ჯერ ხელი არ მიგვიწვდება, ენთუზიაზმით ვცდილობთ საქმის წამოწყებას. სემინარების ჩასატარებლად ვიწვევთ სპეციალისტებს, ვინც იქვე მოღვაწეობს და მათი მგზავრობის ხარჯები არ გვაქვს ასანაზღაურებელი. სამომავლოდ ვფიქრობთ, უორდროპების ფონდიც დაინტერესდეს ამ წამოწყებით და გარკვეული დახმარება გაგვიწიოს.

— ოქსფორდული სემინარებისთვის თსუ-დან ხომ არ მოიწვევთ ლექტორებს?

— როგორც უკვე აღვნიშნე, საამისოდ საჭირო თანხებს ჯერჯერობით არ ვფლობთ და ამიტომ, ამ ეტაპზე ინგლისში მყოფი სპეციალისტებით დავკმაყოფილდებით. თუმცა, სამომავლოდ თუ სემინარები გაამართლებს, იქნებ თსუ-ც დაინტერესდეს ამ საკითხით და ერთობლივად მოვახერხოთ ქართველი მომხსენებლების ოქსფორდში ჩაყვანა.

— იქნებ უნივერსიტეტში გატარებული წლებიც გაიხსენოთ, რა მოგცათ თსუ-ში სწავლამ?

— უნივერსიტეტში აუცილებელი საბაზისო განათლება და გამოცდილება შევიძინე. დავამთავრე კლასიკური ფილოლოგიის მიმართულება. მიუხედავად იმისა, რომ ამ განხრით თითქმის არც მიმუშავია, ვთვლი, რომ ის ცოდნა, რაც აქ შევიძინე აუცილებელი იყო სამომავლო პროფესიული განვითარებისთვის. ჩემი ძირითადი ინტერესის სფერო არის ენა. ვმუშაობდი პალეოგრაფიაში, დამწერლობის ისტორიაში და კლასიკური ენებიც იმ მიზნით შევისწავლე, რომ მათი ცოდნა კვლევებში დამხმარებოდა. პირველი არ ვარ, ვინც კლასიკური ფილოლოგიის შესწავლის შემდეგ სწავლა და კვლევა სხვა მიმართულებით განაგრძო. ოქსფორდში ძალიან ბევრია მსგავსი წარსულით და ითვლება, რომ კლასიკური განათლების მქონე ადამიანები განსაკუთრებით წარმატებულები არიან სხვა პროფესიებში. პარადოქსია, მაგრამ თანამედროვე მსოფლიოში კლასიკური ფილოლოგიის კურსდამთავრებულ კადრებს განსაკუთრებით ითხოვს საბანკო სექტორი...

— კლასიკური ფილოლოგია და საბანკო სექტორი?

— დიახ, სხვადასხვა კვლევის თანახმად გაირკვა, რომ კლასიკური განათლება საერთოდ განათლების ყველაზე კარგი ბაზაა, რომელზეც წარმატებით შეიძლება დააშენო სხვა ნებისმიერი სპეციალობის უნარ-ჩვევები.

— იმედია, თქვენ ასე რადიკალურად არ შეიცვლით პროფესიას... დოქტორის ხარისხის მიღების შემდეგ რას აპირებთ?

— დიდი სურვილი მაქვს, ინგლისშივე ან ბელგიაში რომელიმე პოსტ სადოქტორო პროგრამაში მივიღო მონაწილეობა. მერე სად განვაგრძობ მუშაობას ზუსტად ვერ გეტყვით. რა თქმა უნდა, იდეალური ვარიანტი იქნებოდა საქართველოში, მშობლიურ უნივერსიტეტში დაბრუნება. თუმცა, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებაში აღბათ დიდ როლს ანაზღაურებაც ითამაშებს, რაც, სამწუხაროდ, საქართველოში ჯერ კიდევ პრობლემატურ საკითხად რჩება. მომავლის მჯერა და იმედია, მალე ქართული სახელმწიფო საზღვარგარეთ ქართველოლოგიური ცენტრების დაფინანსებასაც შეძლებს.

ესაუბრა ქეთი ცინცაძე

ნიჭიერი

უნივერსიტეტელი „შუშის“ გმირები

„ერი უნდა იცნობდეს „შუშის“ გმირებს!“ — ასე შეაფასა პროექტ „ნიჭიერში“ მუსიკალური ჯგუფის გამოსვლა ჟიურის წევრმა მაია ასათიანმა. „არც ისე ხშირი შემთხვევაა, როცა გარკვევით და თამამად შემიძლია ვთქვა, რომ სცენაზე ნამდვილად ნიჭიერი ადამიანები დგანან“, — ეს ნიკა მემანიშვილის შეფასებაა, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ახალგაზრდა მუსიკოსებისთვის, რომლებმაც პირველად შეისუნთქეს დიდი სცენის მტვერი.

ჩვენც იმ იმედით გაგაცნობთ ამ ახალგაზრდა ნიჭიერ მელომანებს, რომ ოდესმე ვიამაყებთ — პირველად გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტში“ დაიწერა ამბავი „ამომავალ ვარსკვლავებზე“, რომელთა უმეტესობა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტია.

შურთხია გეროშვილი

ისინი ხუთნი არიან; ოთხი გოგონა და ერთი ბიჭი. თითოეულ მათგანს სჯერა, რომ „მისი უდიდებულესობა, მუსიკა“, მათი მუდმივი თანამდევი იქნება. მათ ცხოვრებაში უკვე გაჩნდა ლეგენდის ელემენტები, რომელიც გარკვეულ ხიბლს მატებს ხოლმე წარმატებული ადამიანების ბიოგრაფიებს.

მეგი და დეა ბეჭუაშვილები დები არიან. ორივე ივანე ჯავახიშვილს სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პოლიტიკურ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სწავლობს. თაკო ტაბატაძეც თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტია. ქეთი დალაქიშვილი თეატრალურ ინსტიტუტში სწავლობს, არჩილ შიოშვილი კი — აგრარულ უნივერსიტეტში. მეგი და დეა ბავშვობაში ოპერის ბავშვთა გუნდში მღეროდნენ, თაკოს და აჩის თავიანთი ჯგუფები ჰქონდათ და იქ უკრავდნენ. ქეთისაც გარკვეული წარმატებები ჰქონდა ამ სფეროში. ერთმანეთთან მუსიკის სიყვარულმა დააკავშირა.

ჩვენ ვცხოვრობთ საქართველოში

„ჩვენ ვცხოვრობთ საქართველოში“ — ასე ჰქვია ახალ სიმღერას, რომელიც „შუშამ“ ნახევარფინალში შეასრულა. ახალგაზრდებისთვის რთული იყო ახალი სიტყვის თქმა მუსიკის იმ ჟანრში, რომელსაც როკი ჰქვია. განსაკუთრებით ძნელია ეს საქართველოში, სადაც ამისი არც ტრადიცია და არც სკოლა არსებობს. განსაკუთრებით რთულია იმღერო, როცა არ გაქვს ნორმალური ინსტრუმენტი და არ არსებობს დარბაზი, ან სტუდია, რომლის გარეშე წარმოუდგენელია მუსიკოსის პროფესიული წინსვლა. ჩვენი დროის „შერეკილებმა“ გამოსავალი მარტივად იპოვეს: აჩიმ, რომელიც ვარკეთილის VI მიკრო-რაიონში ცხოვრობს, სარდაფიდან მურაბები გამოზიდა და მომავალი „სტუდია“ თავისი ხელით გაარემონტა. მამის და ბიძის ნაჩუქარი გიტარებით, თავიანთი ხელით გაკეთებული, ზღვის ქოლგისტარიანი მიკროფონით, საკუთარ ტექსტზე შექმნილი საკუთარი მუსიკით ჯგუფმა „შუშამ“ „ნიჭიერის“ ჟიურის წევრების სიმპათია და მოწონება დაიმსახურა.

ფინალში გადასაყვან მონაწილეებს ჟიურის წევრები განსაკუთრებული სიფრთხილით არჩევდნენ, თუმცა იყო შემთხვევები, როცა გადაწყვეტილების მიღების დროს ბევრი დრო არ დაუკარგავთ. მუსიკალურმა ჯგუფმა „შუშამ“ მათი ერთსულოვანი შეფასება: — „რა თქმა უნდა, კი!“ — დაიმსახურა. თუმცა სამწუხაროდ, სხვადასხვა გარემოების გამო „შუშა“ ფინალში ვერ გავიდა.

მიუხედავად ამისა, მუსიკალური ჯგუფის წევრებს დღეს უკვე მთელი საქართველო იცნობს და მათგან მრავალ სიახლეს ელის. როგორ შეიქმნა ეს ჯგუფი, ვინ არიან ისინი და როგორ დაიწყო მათი მუსიკალური მოღვაწეობა, ამაზე თვითონ ანსამბლის წევრები მოგვიყვებიან.

დეა ბეჭუაშვილი:

„შუშა“ 2008 წლის 31 ოქტომბერს დაიბადა კლუბ „დეჟავუში“. ჰელოუინის დღესასწაულზე პირველად გაჟღერდა ჩვენი სიმღერები და მსმენელის მოწონებაც დაიმსახურა. გულშემატკივრებიც შევიძინეთ. მაშინ მივხვდით, რომ ამ ყველაფერს უფრო სერიოზულად უნდა მოვკიდებოდით. 2008 წლის 3 აპრილს კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სოლო კონცერტი გავმართეთ. ახალფეხადგმული ჯგუფისთვის ძალიან მნიშვნელოვანი და წარმატებული გამოსვლა იყო. ჩვენდა გასაოცრად, კონცერტზე ბევრმა ხალხმა მოიყარა თავი. ყველა აღნიშნავდა, რომ ეს იყო ერთგვარი სიახლე.

თაკო ტაბატაძე:

უკვე ვიცი, რომ ჩემი უმთავრესი საქმიანობა მომავალში მუსიკა იქნება. თსუ-ის დამთავრების შემდეგ მინდა სწავლა კონსერვატორიაში გავაგრძელო. გიტარისტი ვარ, ვოკალშიც ვმეცადინეობ, ვცდილობ სხვადასხვა ინსტრუმენტზე ვისწავლო დაკვრა და საერთოდ, ყველაფერი მაინტერესებს, რაც მუსიკას ეხება.

მეგი ბეჭუაშვილი:

„ნიჭიერში“ რატომ მივედით? იმიტომ, რომ გვინდა ჩვენ საქმიანობაში წარმატებას მივაღწიოთ, ამისთვის კი დიდ შრომასთან ერთად გარკვეული ხელშეწყობა და ფინანსებია საჭირო. თვითშეფასების უნარი გვაქვს და ვიცით, რომ ეს მხოლოდ დასაწყისია. კარგი სპონსორის მოძებნა იოლი არ არის. იქნებ შეგვამჩნიონ იმ ადამიანებმა, რომლებიც დაინტერესებულები არიან, რომ საქართველოში შოუ-ბიზნესი განვითარდეს.

ქეთი დალაქიშვილი:

ოპერის სცენაზე სიმღერა დიდი პასუხისმგებლობა იყო და ძალიან ვღელავდით. ნიკას შეფასება ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, რადგან ის პროფესიონალი მუსიკოსია. გამარჯვების იმედი გვქონდა, მაგრამ ფინალში თუ ვერ გავედით, გულს არ გავიტეხავთ, მეტი შემართებით გავაგრძელებთ მუშაობას.

აჩი შიოშვილი:

ჯგუფის ყველა წევრს გემოვნება საკმაოდ განსხვავებული გვაქვს, მაგრამ ვახერხებთ, რომ ყველაფერი გავაერთიანოთ და ერთ „შუშაში“ მოვაქციოთ. ძირითადად როკის ჟანრში ვმოღვაწეობთ. თუმცა ძალიან გვიყვარს ბლუზი, ჯაზი, სოული... ნახევარფინალისთვის ახალი სიმღერისთვის მუსიკა დეამ და მეგიმ დაწერეს, ტექსტი თაკოსია. საბოლოო ვარიანტის შედგენაში დანარჩენებმაც მივიღეთ მონაწილეობა. სიმღერას, რომელიც ნახევარფინალში შევასრულეთ ინგლისურენოვანია და „ჩვენ ვცხოვრობთ საქართველოში“ ჰქვია.

ანსამბლის წევრები თვლიან, რომ ამ ეტაპზე მათი მიზანი მიღწეულია, — პროექტ „ნიჭიერში“ მონაწილეობის შემდეგ მათ ცხოვრებაში ახალი ფურცელი გადაიშალა, ხოლო მათი ფანების რაოდენობა კი დღითი დღე იზრდება, რაც, პირველ რიგში, „მისი უდიდებულესობის“ — მუსიკის საოცარი სიყვარულის შედეგია.

ᲘᲣᲠᲘᲓᲘᲣᲚᲘ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲘᲡ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲗᲐᲜ

24 მარტს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს იურიდიული დახმარების სამსახურის უფროსი ირაკლი კობიძე ესტუმრა. მან სამართლის მიმართულების სტუდენტებს იურიდიული სამსახურის მუშაობა გააცნო და სამომავლო გეგმებზე ესაუბრა.

იურიდიული დახმარების სამსახური სახელმწიფოს ხარჯზე არსებული იურიდიული დახმარების სისტემის მაკოორდინირებელი ორგანოა, რომელიც უზრუნველყოფს:

— სისხლის სამართლის საქმეზე უფასო საადვოკატო მომსახურებას გადახდის უუნარო მოსახლეობისთვის;

— უფასო იურიდიულ კონსულტაციებს სამართალწარმოების ნებისმიერ დარგზე — სამოქალაქო და ადმინისტრაციული დავები; საჭიროების შემთხვევაში — კონსულტაციის ფარგლებში იურიდიული დოკუმენტაციის მომზადებას.

სამსახური ფუნქციონირებს მთელი საქართველოს მასშტაბით და მის 11 იურიდიულ ბიუროსა და 2 საკონსულტაციო ცენტრში სტაჟირებას გადიან სტუდენტები, რომელთათვისაც სამსახურში სტაჟირება საადვოკატო და საკონსულტაციო პრაქტიკის გავლის საკმაოდ კარგი შანსია.

ირაკლი კობიძე სტუდენტებს გაეროს განვითარების პროგრამასთან ერთად დაგეგმილი სტუდენტური კონფერენციის შესახებაც ესაუბრა. აპრილის დასაწყისში იურიდიული სამსახური საკონფერენციო ნაშრომების კონკურსს გამოაცხადებს, რომელში მონაწილეობის მიღება სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებს შეეძლებათ.

ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ ᲓᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲒᲔᲒᲛᲐᲠᲔᲑᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ: ᲔᲕᲠᲝᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲖᲘᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲧᲐᲠᲖᲔ

6 აპრილს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2009 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში გამომცემლობა "The Edwin Mellen Press"-ის მიერ გამოცემული წიგნის პრეზენტაცია შედგა. თბილისის შესახებ ინგლისურენოვანი წიგნი „ქალაქის კულტურა და ქალაქგეგმარება თბილისში: ევროპისა და აზიის შესაყარზე" (City Culture and City Planning in Tbilisi: Where Europe and Asia Meet) მოიცავს სამეცნიერო სტატიებსა და კრიტიკული ესსეების კრებულს. წიგნი სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის იოსებ სალუქვაძის, სენ კლოდის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორის კრისტოფ ვან აშესა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორის ნიკა შავიშვილის მიერ არის შედგენილი.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ეს პირველი საერთაშორისო სამეცნიერო გამოცემაა, რომელიც ჩვენს დედაქალაქს მიეძღვნა. წიგნის გამოცემით არსებული კვლევები და სამეცნიერო-ანალიტიკური ინფორმაცია ხელმისაწვდომი გახდა სხვადასხვა პროფილის მეცნიერთა საერთაშორისო ერთობისთვის.

„ქალაქის დაგეგმარება და მასთან არსებული პრობლემები ფუნდამენტური გამოკვლევის საგანი გახდა, ეს წიგნი ხელს შეუწყობს აღნიშნული კვლევების წარმოებას. მნიშვნელოვანია წიგნის სათაური, დღევანდელი რეალობა აერთიანებს განსხვავებული ცივილიზაციის ელემენტებს და ქალაქის კულტურა თბილისში სწორედ ევროპისა და აზიის შესაყარზე ვითარდება", – აღნიშნა სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი ხუბუამ.

კრებული მრავალდისციპლინურია - მასში განხილულია თბილისის მოსახლეობის, სოციალური და ეთნიკური ჯგუფების, კულტურული მრავალფეროვნების, ქალაქგეგმარებისა და ტერიტორიების გამოყენების, ქალაქმშენებლობის პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და სხვა საკითხები. წიგნის ავტორები წარმოადგენენ აშშ-ის (ჩიკაგოს, მიჩიგანის, მინესოტას უნივერსიტეტები), კანადის (ტრენტის უნივერსიტეტი), ავსტრალიის (მონაშის უნივერსიტეტი), გერმანიის (კაიზერსლაუტერნის ტექნიკური უნივერსიტეტი), ნიდერლანდებისა (ვაგენინგენის უნივერსიტეტი) და ბელგიის (ლუვენის უნივერსიტეტი) ცნობილ საერთაშორისო აკადემიურ ცენტრებს, ასევე, საქართველოს წამყვან უმაღლეს სასწავლებლებს - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტს.

წიგნის ერთ-ერთმა შემდგენელმა, სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა იოსებ სალუქვაძემ წიგნი შემდეგნაერად დაახასიათა: *„ეს ინტერნაციონალური წიგნია, რომელშიც სხვადასხვა ქვეყნის 15 ავტორია გაერთიანებული. მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ ვისწავლოთ მსჯელობა და შემდეგ პროცესის წარმართვა და არა პირიქით. წიგნში მოცემულია კრიტიკული ნაწილიც, რომელიც საშუალებას იძლევა საზოგადოების ჩართვა ქალაქმშენებლობის პროცესში უფრო აქტიური გახდეს, რომ მათი აზრი შემდეგში აუცილებლად იყოს გათვალისწინებული".*

წიგნის ქართული ვერსიაზე მუშაობა ავტორებმა უკვე დაასრულეს, გეგმის მიხედვით სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის მიერ მისი გამოცემა კი წლის ბოლომდე განხორციელდება.

წიგნის პრეზენტაციაზე სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის ინიციატივის შესახებაც ისაუბრეს. სახელმწიფო უნივერსიტეტში ღია ლექციების სერია სახელწოდებით „სტუმარი" იწყება. დისკუსიები სხვადასხვა საინტერესო თემაზე ყოველ სამშაბათს, 16:00 საათზე გაიმართება.

ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲪᲜᲝᲑᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲐ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ

„საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობა და მოახლოებული თბილისის მერისა და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები" - აღნიშნულ თემაზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში NDI-ის ოფისში საარჩევნო კოდექსზე მომუშავე ჯგუფის წევრები, მოწვეული სტუმრები და სტუდენტები მსჯელობდნენ.

სტუდენტებთან შეხვედრა გეოპოლიტიკური კვლევების საერთაშორისო ცენტრის პროექტის „სტუდენტების სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება არჩევნებთან დაკავშირებით" ფარგლებში განხორციელდა.

NDI-ს ოფისში საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით გამართულ მოლაპარაკებებსა და მის შედეგებზე მოხსენებით საქართველოში NDI-ს ოფისის დირექტორი ლუის ნავარო წარსდგა.

„საარჩევნო კოდექსზე მსჯელობა ორმხრივად დადებითი პროცესია, პირველ რიგში ეს არის ტესტი ხელისუფლებისთვის, თუ რამდენად სასარგებლო კომპრომისებზე წავა იგი, რათა არჩევნების ჩატარების პროცესი უფრო გამჭვირვალე და სრულყოფილი გახდეს, მეორეს მხრივ ეს არის საზოგადოების მაქსიმალური ჩართულობა და მისი აზრის გათვალისწინება. თუ რა შედეგები გამოიღო შეხვედრებმა, ამას უახლოეს მომავალში ჩატარებული მერისა და ადგილობრივი თვითმართველობის არჩევნებზე შევიტყობთ", - აღნიშნა შეხვედრისას საქართველოში NDI-ს ოფისის დირექტორმა ლუის ნავარომ.

შეხვედრას საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე რუსუდან კერვალიშვილი, სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი გიორგი ხუბუა, საპარლამენტო და არასაპარლამენტო ოპოზიციის, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

„მოხარული ვარ, რომ აღნიშნული პროექტი სახელმწიფო უნივერსიტეტში ხორციელდება, სტუდენტები მიიღებენ სრულ ინფორმაციას საარჩევნო კოდექსზე მუშაობის შესახებ და შესაძლებლობა ექნებათ დისკუსია გამართონ მომხსენებლებთან", – განაცხადა სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი ხუბუამ.

„გეოპოლიტიკური კვლევების საერთაშორისო ცენტრი" აღნიშნულ პროექტს 2010 წლის მარტიდან აპრილის თვის ჩათვლით განახორციელებს.

პროექტის მიზანია მოახლოებულ 2010 წლის ადგილობრივი არჩევნებისათვის საარჩევნო პროცესებთან დაკავშირებით სტუდენტების ინფორმირება და ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა; საარჩევნო პროცესებში ჩართული ქართველი და უცხოელი ექსპერტები, პოლიტოლოგები და პოლიტიკოსები ღია ლექციებისა და შეხვედრების მოწყობით, ასევე არჩევნების მონიტორინგის პროცესში მათი უშუალო ჩართვის გზით, ახალგაზრდებთან საარჩევნო კოდექსზე მუშაობის პროცესს შეაჯამებენ.

მომხსენებლები წარმოადგენენ საარჩევნო კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების მიმართ თავის დამოკიდებულებას, მოლაპარაკებების შედეგებზე საკუთარ ხედვას, რა დადებითი შედეგები მოყვა ამ მოლაპარაკებებს, რა საკითხებზე მოხდა პოზიციათა შეჯერება და რა დარჩა შეუთანხმებელ საკითხებად.

გეოპოლიტიკური კვლევების საერთაშორისო ცენტრის მიერ შემუშავებული პროექტის ფარგლებში აპრილის თვეში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კიდევ სამი შეხვედრა გაიმართება.

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲡ ᲙᲚᲐᲣᲡ ᲰᲘᲞᲡ ᲗᲡᲣ-ᲘᲡ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲬᲝᲓᲔᲑᲐ ᲛᲘᲔᲜᲘᲭᲐ

6 აპრილს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გერმანელ პროფესორს კლაუს ჰიპს საპატიო დოქტორის წოდება მიენიჭა. ცნობილი მეწარმე და მიუნხენში საქართველოს საპატიო კონსული კლაუს ჰიპი თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის ეკონომიკის ეთიკასა და კვების მრეწველობაზე ლექციებს კითხულობს.

პროფესორი კლაუს ჰიპი 1998-2004 წლებში გახლდათ მიუნხენის და ზემო ბავარიის ინდუსტრიული და სავაჭრო პალატის პრეზიდენტი. 2001 წლიდან იგი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ინდუსტრიისა და სავაჭრო პალატის ვიცე-პრეზიდენტია.

საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ინიციატივით კლაუს ჰიპს 2008 წელს გერმანიაში საქართველოს საპატიო კონსულის წოდება მიენიჭა. 2008 წლის ოქტომბრიდან იგი საქართველოში გერმანული ეკონომიკური გაერთიანების ხელმძღვანელია.

„მოხარული ვარ, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დამკვიდრებული ტრადიციაა მოწვეული უცხოელი პროფესორების ლექციების გამართვა. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე არაერთ საჯარო ლექციას ვკითხულობ და დღეს საპატიო დოქტორის წოდების მონიჭება ორმაგ პასუხისმგებლობას მაკისრებს. ბედნიერი ვარ და იმედი მაქვს, ამ ჯილდოს გავამართლებ", – აღნიშნა სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორმა, გერმანელმა პროფესორმა კლაუს ჰიპმა.

თსუ-ის და აღსრულების ეროვნული ბიუროს თანამშრომლობის მემორანდუმი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნულ ბიუროს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმის მიხედვით 2010-2011 და 2011-2012 სასწავლო წლების განმავლობაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის აღსრულების ეროვნულ ბიუროში პრაქტიკული კურსების გავლა გახდება შესაძლებელი. ბიუროში სტაჟირება სტუდენტებს საშუალებას მისცემს დაეუფლონ პროფესიულ უნარ-ჩვევებს და თეორიული ცოდნის პრაქტიკული განხორციელების გზები შეისწავლონ.

თანამშრომლობის მემორანდუმს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა გიორგი ხუბუამ და აღსრულების ეროვნული ბიუროს ხელმძღვანელმა ბაჩანა შენგელიამ მოაწერეს ხელი.

„ჩემთვის ორმაგად სასიამოვნოა დღეს სახელმწიფო უნივერსიტეტში ვიზიტი, რადგანაც თსუ-ის კურსდამთავრებული ვარ. აღსრულების ეროვნულმა ბიურომ გასულ წელს თავისთან სახელმწიფო უნივერსიტეტის ათობით სტუდენტი მიიწვია, აქედან ყველაზე წარმატებული სტუდენტები ბიუროში უკვე დასაქმდნენ. ჩვენ დაინტერესებული ვართ პროფესიული კადრების მოძიებით და მსგავსი მემორანდუმის ფარგლებში ბიუროში სტუდენტების საუკეთესო ნაწილი ხვდება“, - აღნიშნა სტუდენტებთან შეხვედრისას ეროვნული ბიუროს ხელმძღვანელმა.

„თანამშრომლობის მემორანდუმი არა მარტო პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავების საშუალებას, არამედ დასაქმების სერიოზულ პერსპექტივასაც იძლევა. ჩვენ ვიცით თუ რა მოთხოვნები არსებობს დღეს დასაქმების ბაზარზე და ამ მოთხოვნებს ყოველთვის ვითვალისწინებთ“, - განაცხადა სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი ხუბუამ.

შეხვედრაზე მომავალი თანამშრომლობის საკითხებთან ერთად, თსუ-სა და აღსრულების ეროვნულ ბიუროს შორის 2009 წლის 6 აპრილს პირველი გაფორმებული მემორანდუმის შედეგებზეც იმსჯელეს. 2008-2009 სასწავლო წლებში აღსრულების ეროვნულ ბიუროსა და მის ტერიტორიულ ორგანოებში კლინიკის ფარგლებში პრაქტიკა თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის მაგისტრატურის სტუდენტების ორმა ნაკადმა გაიარა. საერთო ჯამში პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს აღსრულების ეროვნულ ბიუროში სახელმწიფო უნივერსიტეტის 30 სტუდენტი დაეუფლა, აქედან 4 წარმატებული სტაჟიორი 2009 წელს აღსრულების ეროვნულ ბიუროში აღმასრულებლის თანამდებობაზე დაინიშნა.

ინტელექტუალური კონკურსი - "ჩვენ ვსწავლობთ ბიბლიას"

26 მარტს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ლენტეხისა და ცაგერის ეპისკოპოსი მეუფე სტეფანე ეწვია. მეუფე სტუდენტებს შეხვდა და ინტელექტუალური კონკურსის „ჩვენ ვსწავლობთ ბიბლიას" შესახებ ინფორმაცია მიაწოდა.

კონკურსი საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის საგანმანათლებლო პროექტის ფარგლებში ხორციელდება. კონკურსი უკვე 2 წელია სხვადასხვა რეგიონში სკოლის მოსწავლეებს შორის იმართება. ამჯერად პროექტში უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები ჩაერთვებიან. კონკურსის მონაწილეები 7-კაციან გუნდს ჩამოაყალიბებენ, გუნდის წევრებს კონკურსში გასვლისთვის ახალი და ძველი აღთქმიდან 25 კითხვა-პასუხის მომზადება დაევალებათ. გარდა ამისა, გუნდებმა შეჯიბრებისას უნდა წარმოადგინონ ერთი ქართული საგალობელი, ხალხური სიმღერა და ცეკვა ქართული ფოლკლორიდან.

კონკურსი რამდენიმე ეტაპს მოიცავს, საფაკულტეტო, საუნივერსიტეტო და უმაღლეს სასწავლებლებს შორის შეჯიბრის შედეგად კონკურსის ნახევარფინალისტები გამოვლინდებიან, ხოლო 7 გამარჯვებული გუნდი ერთმანეთს ფინალში შეეჯიბრება.

კონკურსში გამარჯვებული გუნდის წევრები ხელმძღვანელთან ერთად იერუსალიმში გაემგზავრებიან, მეორე და მესამე ადგილის მფლობელები ტაო-კლარჯეთს მოინახულებენ, ხოლო დანარჩენი ფინალისტები საქართველოს სხვადასხვა კუთხეებს მოილოცავენ.

ღონისძიებას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი გიორგი ხუბუაც დაესწრო. *„რწმენა მოითხოვს მეტ ცოდნას, მეტ რაციონალურ ბაზისს და მოხარული ვარ, რომ ამ კონკურსის მეშვეობით გავარკვევთ თუ რა დონეზეა ახალგაზრდებში ბიბლიის ცოდნა, რომ მომავლისთვის ეს შედეგები გავითვალისწინოთ"*, - აღნიშნა გიორგი ხუბუამ.

კონკურსის განაცხადების მიღება საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრში **26 მარტს დაიწყება და 30 აპრილის** ჩათვლით გაგრძელდება.

შეხვედრა მსახიობებთან

იმაზე, რომ ომი ცუდი და დამღუპველია ნებისმიერი ეროვნების წარმომადგენლისთვის, ქართველი იქნება ის, თუ არა...“

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს 23 მარტს მსახიობები გოგა პიპინაშვილი და ზაზა კოლელიშვილი ეწვივნენ. სტუდენტებთან შეხვედრას ორგანიზება სტუდენტური თვითმმართველობის კულტურის დეპარტამენტმა გაუწია.

ღონისძიებაზე ზაზა კოლელიშვილის ფილმის „ომი და ქორწილი“ ჩვენება გაიმართა. ფილმი რეალურ ამბავს ასახავს და 2008 წლის აგვისტოს მოვლენებს უკავშირდება. *„ეს ფილმი ჩემთვის ძალიან ძვირფასია, მეექვსე შვილივითაა და თუ მკითხავთ რაზეა ის, გიპასუხებთ, რომ არაფერზე და ყველაფერზე,*

ფილმის ჩვენების შემდეგ დისკუსია გაიმართა. მსახიობებმა სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებთან თეატრსა და კინოში თავიანთი მოღვაწეობის შესახებ ისაუბრეს.



შეხვედრა ბესიკ ხარანაულთან

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ცნობილი ქართველი პოეტი ბესიკ ხარანაული სტუმრობდა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულ პოეტთან შეხვედრა ბესიკ ხარანაულის კრებულის „წიგნი ამბა ბესარიონის“ ფრანგული თარგმანის პრეზენტაციას მიეძღვნა.

კრებულის ფრანგული თარგმანი საზოგადოების წინაშე 9 მარტს საფრანგეთში, ქალაქ პარიზში, ქართულ სახლში წარადგინეს. შეხვედრას ორგანიზება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფრანგული ენის კათედრამ გაუწია. კათედრის 16 სტუდენტმა იმპროვიზაციული ეტიუდები წარმოადგინა, რომელიც პოეტის ორენოვანი ნაწარმოებების კრებულზე დაყრდნობით შეიქმნა.

„არასერიოზულობა, როგორც ადამიანის ცნობიერების დრეკადობის ძალა სამყაროს სიმძიმის მიმართ...

არასერიოზულობა, როგორც ადამიანის სერიოზული დამოკიდებულების ძალა არსებობის სიმძიმის მიმართ...

მაგრამ ყველაზე ცუდი ის არის, რომ ადამიანს მაინც ეწვევა ხოლმე სერიოზული ფიქრები, რომელთა რაობასა და წარმომავლობაზეც არავითარი სერიოზული ცოდნა არ გააჩნია“. - აღნიშნავს წიგნის დახასიათებისას პოეტი.

„მსგავსი ღონისძიებები მნიშვნელოვანია ჩვენი სტუდენტებისთვის. ფრანკოფონიის დღეების ფარგლებში გამართული ეს შეხვედრა მიზნად ისახავს სტუდენტების აქტიურ ჩართვას ლიტერატურულ ცხოვრებაში. მათ საშუალება ეძლევათ გაეცნონ თანამედროვე ქართულ ლიტერატურას და ავტორისგან მოისმინონ რამდენად ძლიერია ქართული სიტყვა", – განაცხადა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა გიორგი ხუბუამ.

ბესიკ ხარანაული 1939 წლის 11 ნოემბერს დაიბადა. ლიტერატურული მოღვაწეობა 1954 წელს დაიწყო. პოეტის პირველი ლექსების კრებული 1968 წელს გამოიცა. ბესიკ ხარანაულს მინიჭებული აქვს რუსთაველის, ილია ჭავჭავაძის და სახელმწიფო პრემიები, ხოლო 2003 წელს პოეტი „საბას“ ლაურეატი გახდა.

„რედ ბულის“ ორიგინალური პროექტი თსუ-ში

კომპანიამ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტური კონკურსი „რედ ბული“ — ჯღაბნის ხელოვნება“ გამართა. შეწყვიტეთ უნივერსიტეტის ინვენტარის მოხატვა! – ეს ღონისძიების მთავარი გზავნილი იყო. 10 დღის განმავლობაში კომპანია „რედ ბულმა“ თსუ-ის კორპუსებში სპეციალური ურნები დადგა, სადაც კონკურსში მონაწილეობის მსურველებს ლექციებზე შესრულებული „ნაჯღაბნები“ უნდა ჩაეყარათ. შედეგად ჟიურიმ 800 შემოსული ჩანახატიდან 40 ამოარჩია და მათგან სამი საუკეთესო. პირველი ადგილის მფლობელი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი ეკა გიგაშვილი გახდა „ნაჯღაბნით“ „სასოწარკვეთილი ეკონომისტი“, მეორე ადგილზე შოთა ოდიშარია გავიდა, მესამე ადგილზე კი ნათია კენჭიაშვილი.

„არ ველოდი გამარჯვებას. როდესაც დავხატე, არ ვაპირებდი, რომ ჩამეგდო ყუთში. მერხებზეც ვხატავ, მაგრამ ახლა ისეთი დიდი ბლოკნოტი მაჩუქეს, რომ სახატავი ადგილი ბერვი მაქვს. ვფიქრობ, რომ სწავლაში ხელს არ შემიშლის ლექციებზე ხატვა“, — გვითხრა პირველი ადგილის მფლობელმა ეკა გიგაშვილმა.

გამარჯვებულებს „რედ ბულისგან“ სამახსოვრო პრიზები გადაეცათ. პირველი ადგილის მფლობელს სიმბოლურად დიდი ფერადი ფანქარი, ბლოკნოტი და კომპიუტერული პლანშეტი გადაეცა. მეორე ადგილის მფლობელს ციფრული ჩარჩო და შედარებით პატარა ზომის ფანქარი, მესამე ადგილის მფლობელს უფრო მომცრო ფერადი ფანქარი, ბლოკნოტი და ზაალ სულაკაურის ექსპრომტად შექმნილი მისივე კარიკატურა.

„ეს არ არის სამხატვრო აკადემია, თსუ-ის სტუდენტები არ არიან მხატვრები, მაგრამ არაფრით ჩამოუვარდებიან აკადემიის სტუდენტებს. აქ იმდენად კარგი რაღაცა ვნახე, რომ მათ ავტორებს თავისუფლად შეეძლოთ სამხატვრო აკადემიაში წარმატებით ესწავლათ. კონკურსის მიზანი შესრულებულია, სტუდენტებმა დროებით მაინც თავი დაანებეს მერხებისა და კედლების მოხატვას და ჯღაბნის ხელოვნება სასარგებლო გახადეს“, — გვითხრა ჟიურის წევრმა, კარიკატურისტმა ზაალ სულაკაურმა.

„რედ ბულის“ ორგანიზებულ კონკურსში — „ჯღაბნის ხელოვნება“ გამარჯვებულების დაჯილდოების ცერემონია თსუ-ის კორპუსის წინ გაიმართა. გამოიფინა რჩეული 40 ნახატი, სტუდენტებს ორგანიზატორები „რედ ბულით“ გაუმასპინძლდნენ.

„გადავწყვიტეთ სტუდენტებისთვის რაღაც ახალი და სახალისო შეგვეთავაზებინა. სტუდენტებს დამღლელი ლექციების მერე ბევრი ენერგია სჭირდებათ. კონკურსის მიზანია, რომ აღარ ვჯღაბნოთ მერხებზე, კედლებზე და ინვენტარზე, მოვუფრთხილდეთ მათ და ისე ვჯღაბნოთ, რომ რაღაც რეალური სარგებელი მოგვიტანოს“, — გვითხრა „რედ ბულის“ წარმომადგენელმა ბექა გოლეთიანმა.

„ჯღაბნის ხელოვნებაში“ გამარჯვებულთა დაჯილდოება პირველ აპრილს გაიმართა. ორგანიზატორებმა 40 საუკეთესო კარიკატურა თსუ-ის მეორე კორპუსში სტენდზე განათავსეს. სტუდენტებს რამდენიმე დღის განმავლობაში შეეძლოთ მათი დათვალიერება. კონკურსზე წარმოდგენილი ნაჯღაბნები საკმოდ მრავალფეროვანი გახლდათ, სტუდენტებმა ლექტორების, სტუდენტების, პოლიტიკოსების და ა. შ. კარიკატურები წარმოადგინეს.

რა მიზნით შეიქმნა იურიდიულ ფაკულტეტზე ორი სამეცნიერო ინსტიტუტი

საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ევროპულ საგანმანათლებლო სისტემასთან დაახლოების პროცესი სწავლებისა და სამეცნიერო მუშაობის ახალი მეთოდების დანერგვას მოითხოვს. ამ კუთხით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელდა არაერთი პროექტი, რომელიც უნივერსიტეტის მეცნიერთანამშრომელთა სამეცნიერო პოტენციალის ზრდას უწყობს ხელს.

მაია ტორაძე

თსუ-ის იურიდიულ ფაკულტეტზე სწორედ ამ მიზნით შეიქმნა ორი სამეცნიერო ინსტიტუტი: კრიმინალისტიკისა და კრიმინოლოგიის და სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესის სამეცნიერო ინსტიტუტები. მათ ხელმძღვანელობენ იურიდიული ფაკულტეტის სისხლის სამართლის მიმართულების სრული პროფესორები მზია ლეკვეიშვილი და გურამ ნაჭყებია.

კრიმინალისტიკისა და კრიმონოლოგიის სამეცნიერო ინსტიტუტი შედგება ორი ცენტრისგან — კრიმინალისტიკის ცენტრი და კრიმინოლოგიის ცენტრი. ინსტიტუტს აქვს სამეცნიერო საბჭო, რომლის წევრები ძირითადად იურიდიული ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები არიან, თუმცა სამეცნიერო საბჭოში სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან მოწვეული სრული და ასოცირებული პროფესორებიც აქვთ მუშაობენ.

ინსტიტუტის მიზანია განხორციელდეს პროექტები, რომელსაც თეორიულის გარდა, პრაქტიკული ღირებულებაც ექნება. ძირითადი პროექტი, რომელიც 2010—2011 წლებში უნდა დასრულდეს, არასრულწლოვანთათვის სასჯელის გამოყენებისა და სოციალური დაცვის ღონისძიებებს შეეხება. პროექტის ფარგლებში მუშაობის შედეგად შეისწავლიან არასრულწლოვანთა მიმართ გამოყენებული სასჯელებისა და სხვა სოციალური დაცვის ღონისძიებათა ეფექტურობას.

„პროექტზე მუშაობა წარიმართება სასამართლო პრაქტიკაზე დაყრდნობით. აქედან გამომდინარე, ჩვენ შევისწავლით, რამდენად ამართლებს კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა არასრულწლოვანთა მიმართ გამოყენებულ სასჯელებს, ასევე, სოციალური დაცვის ღონისძიებებში არასრულწლოვანთა რესოციალიზაციის შესახებ მათდამი წაყენებულ მოთხოვნებს. ჩვენ ვიცით, რომ, სამართლიანობის აღდგენასთან ერთად, სასჯელის ერთ-ერთი მიზანი არასრულწლოვანთა რესოციალიზაცია, ანუ გამოსწორება და მათი საზოგადოებაში დაბრუნება. ამიტომ პროექტზე მუშაობის დროს უნდა დადგინდეს, არსებობს, თუ არა რეალური შესაძლებლობა შესრულდეს სასჯელის ის მიზანი, რაც კანონმდებლობაშია მითითებული“, - განაცხადა პროფესორმა მზია ლეკვეიშვილმა.

ინსტიტუტი გაეცნობა ზოგიერთ ევროპულ ქვეყანაში და ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებულ გამოცდილებებს, შეისწავლიან როგორც სასჯელის შეფარდების, ასევე, არასრულწლოვანთა სოციალური დაცვის ღონისძიებათა სფეროში არსებულ მონაცემებს. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა და პროექტში განიხილება ე.წ აღდგენითი სამართალწარმოების კონცეფცია და მკაცრი სასჯელები, რადგან, როგორც სპეციალისტები ამტკიცებენ და პრაქტიკამაც აჩვენა, ასეთი სასჯელები მიზანს ვერ აღწევენ.

ინსტიტუტი გაეცნობა ასევე სასჯელის აღსრულების დადებით და უარყოფით პრაქტიკას. „ერთია სასჯელის შეფარდება, მეორე – მისი აღსრულება. როდესაც საუბარი გვაქვს თავისუფლების აღკვეთაზე და არასაპატიმრო სასჯელებზე, როგორიცაა, მაგალითად, პირობითი მსჯავრი ან ვადამდე გათავისუფლება, არსებული კანონმდებლობის საფუძველზე უნდა შევისწავლოთ რამდენად მიღწევადია მიზანი.

პროექტი გულისხმობს პრობაციის სამსახურის საქმიანობის შესწავლასა და ანალიზს. ჩვენ გავაკეთებთ სათანადო დასკვნებს და მივაწვდით მას იუსტიციის და სასჯელაღსრულების სამინისტროებს“, - განაცხადა ქალბატონმა მზია ლეკვეიშვილმა.

პროექტის განხორციელებაში მონაწილეობას მიიღებენ როგორც ქართველი, ასევე, უცხოელი მეცნიერები და საზღვარგარეთის სამეცნიერო ინსტიტუტები. მისი დასრულების შემდეგ შეიქმნება სამეცნიერო ნაშრომები, რაც შეამცირებს აღნიშნული პრობლემების მეცნიერული შესწავლის კუთხით არსებულ ხარვეზს.

რაც შეეხება სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესის სამეცნიერო ინსტიტუტს, როგორც მისმა ხელმძღვანელმა, პროფესორმა გურამ ნაჭყებიამ განაცხადა, სამეცნიერო თემატიკა ჯერ კიდევ შემუშავების პროცესშია. ინსტიტუტის მიზანია, სამეცნიერო პროექტის დაწერა და კავშირების დამყარება ქართულ და უცხოურ შესაბამის სამეცნიერო წრეებთან.

გარდა სამეცნიერო პროექტებისა და ნაშრომების შექმნისა, მეცნიერ-თანამშრომლებს განზრახული აქვთ ახალი საპროცესო კოდექსის კომენტარების მომზადება და სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის სახელმძღვანელოს შექმნა.

„ჩემი აზრით, ამ ინსტიტუტის შექმნა აუცილებელი იყო, რადგან თუ მეცნიერი თემატიკაზე არ მუშაობს, შეუძლებელია მისგან მაღალი დონის პედაგოგი დადგეს. ამიტომ ჩვენი კვლევის შედეგები სასწავლო პროცესსაც მოემსახურება და მაღალი მოსწრების სტუდენტების სამეცნიერო მუშაობაში ჩართვის შესაძლებლობასაც მოგვცემს“, — განაცხადა პროფესორმა გურამ ნაჭყებიამ.

იურიდიულ ფაკულტეტზე ორი სამეცნიერო ინსტიტუტის არსებობა ხელს შეუწყობს პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო პრაქტიკის გაზრდას და უცხოეთის შესაბამის ინსტიტუტებთან ქართველ მეცნიერთა დაახლოებას, რაც საბოლოო ჯამში, სასიკეთოდ წაადგება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, როგორც კვლევითი უნივერსიტეტის იმიჯის ამაღლებას.

23.03.2010

ბრძანება №23/01-01

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სრული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, 34-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების, 35-ე მუხლის მე-1 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 29 მაისის №490 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ 16-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სრული, ასოცირებული და ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დაკავების წესის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2008 წლის 28 მაისის №91 დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს 2008 წლის 30 მაისის №13 სხდომის გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სრული, ასოცირებული და ასისტენტ პროფესორის აკადემიური თანამდებობის დაკავების წესის შესახებ“ მე-11, მე-14, მე-15 მუხლების, „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის საშტატო განრიგისა და სახელფასო ფონდის დამტკიცების შესახებ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის 2010 წლის 22 მარტის №62/02-01 ბრძანების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს კონკურსი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სრული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად;

2. სრული პროფესორის თანამდებობაზე 3 სამი წლის ვადით შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი. სრული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად საჭიროა არანაკლებ 6 წლის პედაგოგიური და სამეცნიერო მოღვაწეობის გამოცდილება;

3. კონკურსი გამოცხადდეს 2010 წლის 23 მარტს, დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადა განისაზღვროს 2010 წლის 26 აპრილიდან 2010 წლის 10 მაისის ჩათვლით, კონკურსი ტარდება საბუთების მიღების დასრულებიდან არანაკლებ 1 და არაუგვიანეს 2 თვის ვადაში;

4. კონკურსი გამოცხადდეს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სრული პროფესორის ვაკანტური აკადემიურ თანამდებობის დასაკავებლად ქართული ფილოლოგიის მიმართულების უახლესი ქართული ლიტერატურის ქვემიმართულებით;

5. სრული პროფესორის თანამდებობაზე ხელფასი განისაზღვრება თვეში არანაკლებ 900 (ცხრაასი) ლარით;

6. სრული პროფესორის თანამდებობაზე ასარჩევი კანდიდატი ვალდებულია წარმოადგინოს:

ა) განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე;

ბ) პირადობის მოწმობის ასლი;

გ) ავტობიოგრაფია (cv);

დ) შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტები) ასლი;

ე) სალექციო კურსების ჩამონათვალი — სილაბუსებით;

ვ) სამეცნიერო კვლევების კონცეფცია;

ზ) ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული ერთი სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც ყველაზე უკეთ წარმოაჩენს კონკურსანტის კვლევით პოტენციალს;

თ) სრული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად არანაკლებ 6 წლის პედაგოგიური და სამეცნიერო მოღვაწეობის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი;

7. კანდიდატმა სასურველია წარმოადგინოს:

ა) ინფორმაცია ბოლო 5 წლის განმავლობაში საგრანტო პროექტების ხელმძღვანელობისა ან პროექტებში მონაწილეობის შესახებ;

ბ) მისი ხელმძღვანელობით შედგენილი და განხორციელებული საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები;

8. საკონკურსო დოკუმენტების მიღება იწარმოებს 2010 წლის 26 აპრილიდან 2010 წლის 10 მაისის ჩათვლით თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზ. №36 (V კორპუსი) მე-3 სართული, ოთახი №315;

9. ბრძანება გამოქვეყნდეს გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტში“ და განთავსდეს თსუ-ს ოფიციალურ ვებ-გვერდზე;

10. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, პროფესორი გ. ხუბუა

29.03.2010

ბრძანება №27/01-01

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სრული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, 34-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების, 35-ე მუხლის მე-1 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 29 მაისის №490 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ 16-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სრული, ასოცირებული და ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დაკავების წესის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2008 წლის 28 მაისის №91 დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს 2008 წლის 30 მაისის №13 სხდომის გადაწყვეტილების, „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სრული, ასოცირებული და ასისტენტ პროფესორის აკადემიური თანამდებობის დაკავების წესის შესახებ“ აკადემიური საბჭოს დადგენილება №91-ში ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ“ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2010 წლის 18 იანვრის №1 დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 26 მარტის №24 სხდომის გადაწყვეტილების, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის საშტატო განრიგისა და სახელფასო ფონდის დამტკიცების შესახებ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის 2010 წლის 22 მარტის №62/02-01 ბრძანების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს კონკურსი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სრული პროფესორის ვაკანტური აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად;

2. სრულ პროფესორის თანამდებობაზე 3 სამი წლის ვადით შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი. სრული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად საჭიროა არანაკლებ 6 წლის პედაგოგიური და სამეცნიერო მოღვაწეობის გამოცდილება;

3. კონკურსი გამოცხადდეს 2010 წლის 29 მარტს, დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადა განისაზღვროს 2010 წლის 30 აპრილიდან 2010 წლის 14 მაისის ჩათვლით, კონკურსი ტარდება საბუთების მიღების დასრულებიდან არანაკლებ 1 და არაუგვიანეს 2 თვის ვადაში;

4. კონკურსი გამოცხადდეს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სრული პროფესორის ვაკანტური აკადემიურ თანამდებობის დასაკავებლად თეორიული და შედარებითი ენათმეცნიერების მიმართულებით;

5. სრული პროფესორის თანამდებობაზე ხელფასი განისაზღვრება თვეში არანაკლებ 900 (ცხრაასი) ლარით;

6. სრული პროფესორის თანამდებობაზე ასარჩევი კანდიდატი ვალდებულია წარმოადგინოს:

ა) განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე;

ბ) პირადობის მოწმობის ასლი;

გ) ავტობიოგრაფია (cv);

დ) შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტები) ასლი;

ე) სალექციო კურსების ჩამონათვალი — სილაბუსებით;

ვ) სამეცნიერო კვლევების კონცეფცია;

ზ) ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული ერთი სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც ყველაზე უკეთ წარმოაჩენს კონკურსანტის კვლევით პოტენციალს;

თ) სრული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად არანაკლებ 6 წლის პედაგოგიური და სამეცნიერო მოღვაწეობის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი;

7. კანდიდატმა სასურველია წარმოადგინოს:

ა) ინფორმაცია ბოლო 5 წლის განმავლობაში საგრანტო პროექტების ხელმძღვანელობისა ან პროექტებში მონაწილეობის შესახებ;

ბ) მისი ხელმძღვანელობით შედგენილი და განხორციელებული საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები;

8. საკონკურსო დოკუმენტების მიღება იწარმოებს 2010 წლის 30 აპრილიდან 2010 წლის 14 მაისის ჩათვლით თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზ. №36 (V კორპუსი) მე-3 სართული, ოთახი №315;

9. ბრძანება გამოქვეყნდეს გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტში“ და განთავსდეს თსუ-ს ოფიციალურ ვებ-გვერდზე;

10. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, პროფესორი გ. ხუბუა

თეატრალური „სხვენი“

თუ ადრე სხვენში კომგლე კომგლეგს აწყოგდა, ჩვენმა „გმირეგმა“ ის ოცნეგეგის ახდენის ადგილად აქციეს, სადაც შეიძლეგა მეფეც იყო და გმირიც, პატარა უფლისწულიც, კლოუნიც... რაც მთავარია, ეს განსაკუთრეგული თეატრალური დასია, სადაც თამაში ყველას შეუძლია, იურისტსაც და ეკონომისტსაც, ჟურნალისტსაც და ექიმსაც— მთავარი პიროგა — თეატრისადმი ფანატიკური სიყვარულია.
თგილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თეატრი „სხვენი“ 1999 წელს დაარსდა მაშინდელი კულტურისა და ხელოვნეგის ცენტრის დირექტორის თენგიზ ყურაშვილის, თეატრის რეჟისორეგის: გოგი გომურაშვილისა და მამუკა გურჩიანის თაოსნოგით. სარეპეტიციო ადგილი თგილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის სხვენში გამოიყო, რომელიც სტუდენტეგმა თვითონ გაარემონტეს. თეატრის სახელწოდეგაც გუნეგრივად შეირჩა — „სხვენი“.

თეატრის რეჟისორის გოგი გომურაშვილის თაოსნობით სტუდენტურმა დასმა არაერთი დადგმა განახორციელა, როგორც პანტომიმის, ისე დრამის ჟანრში, მათ შორის: „ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძელი“, „ბალაგანი“, დავით კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი“, „მხიარული ნოველები“, „შვიდი იუმორესკა“, ლაშა თაბუკაშვილის „ჭრილობა“ და სხვა.

28 მარტს კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის VIII კორპუსის სააქტო დარბაზში თეატრალურმა დასმა ახალი, ინტერპრეტირებული სპექტაკლი, „ვთამაშობთ სამანიშვილს“ წარმოადგინა, რომელმაც მაყურებელის მოწონება დაიმსახურა. სპექტაკლს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი გიორგი ხუბუაც დაესწრო.

პრემიერის შემდეგ მსახიობებს „საგრიმიოროში“ შევხვდი, სადაც თავიანთი შთაბეჭდილებები გამიზიარეს.

თორნიკე ჯობავა „სხვენში“ მესამე წელია „დასახლდა“. თითოეულ როლზე გატაცებით მუშაობს. სპექტაკლში „ვთამაშობთ სამანიშვილს“ საპასუხისმგებლო როლი — კირილე მიმინოშვილი ითამაშა. „შევეცადე გადმომეცა გმირის ხასიათი, როგორ გავართვი თავი, ამას მაყურებელი შეაფასებს. თეატრი ჩემი ბავშვობისდროინდელი გატაცებაა. მართალია, ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტზე ვსწავლობ, თუმცა მალე მივხვდი, რომ თეატრის გარეშე ვერ ვიცხოვრებდი. ჩემი ძირითადი საქმე ძალიან მიყვარს, სწავლასთან ერთად თიბისი ბანკშიც ვმუშაობ განვადების მენეჯერად, მაგრამ თეატრისთვის დრო ყოველთვის მრჩება. ჩემი დღე ასეა განაწილებული — დღისით ვსწავლობ და ვმუშაობ, საღამოს კი შემოქმედებითად ვცხოვრობ. ასე რომ არ იყოს, სულიერად ძალიან გამიჭირდებოდა“, — ამბობს თორნიკე.

ბესო ბახტაძე თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტია, მომავალი ჟურნალისტია, მაგრამ თეატრს მის ცხოვრებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. უნივერსიტეტის

თეატრალურ დასში მესამე წელია მოღვაწეობს. „თამამად შემიძლია ვთქვა, რომ „სხვენი“ ჩემი მეორე ოჯახია, ბატონი გოგი კი — მორე მშობელი. მთელი სული და გული ჩავდე ივანე გვერდწითელიძეს პერსონაჟის განსახიერების დროს. პატარა როლია, მაგრამ მნიშვნელოვანი. იმდენად მიყვარს თეატრი, რომ აქ მოსასვლელად დროს ყოველთვის ვპოულობ“.

სოფო სოლოღაშვილი დასის წევრი სექტემბრიდან გახდა. „ვთამაშობთ სამანიშვილს“ მისი პირველი სპექტაკლია, დარიკო — პირველი როლი. ამიტომ განსაკუთრებულად ღელავდა. მომავალი იურისტია, მაგრამ თეატრი მისი სერიოზული გატაცებაა, ამბობს, რომ ეს სიყვარული ცხოვრების ბოლომდე გაჰყვება.

გვანცა სოსელია თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ჩაბარების შემდეგ მოხვდა დასში. სპექტაკლში ჭორიკანას როლს ასრულებს. „პატარა, მაგრამ ძალიან სახალისო როლია, რაც მთავარია, იმ დასის წევრი ვარ, რომელიც ასე ძალიან მიყვარს. რაც არ უნდა ვაკეთო, მომავალშიც, თეატრი და მსახიობობა ჩემ ყველაზე დიდ გატაცებად დარჩება“, — ამბობს გვანცა.

თეატრის რეჟისორის გოგი გომურაშვილი პრემიერით და მსახიობების თამაშით კმაყოფილი დარჩა. მისი თქმით, დავით კლდიაშვილის ნაწარმოებები დღესაც აქტუალურია, „სამანიშვილის დედინაცვალის“ სცენაზე გადმოტანა იოლი არ იყო, ამიტომ რეჟისორმა პიესის ინტერპრეტირებული ვარიანტი წარმოადგინა. „თავიდან ვაპირებდით მთელი სპექტაკლი პანტომიმის ჟანრში განგვეხორციელებინა, მაგრამ საბოლოოდ დრამისა და პლასტიკის სინთეზი შევთავაზეთ მაყურებელს. ფინალიც შევცვალეთ. მიხარია, რომ თითოეულმა „მსახიობმა“ კარგად მოირგო როლი და მაყურებლის გულწრფელი ტაში დაიმსახურა“.

გოგი გომელაურის ინფორმაციით, ამჟამად თეატრის დასში ოცი მოყვარული მსახიობია, რომლებიც ლექციების შემდეგ მოდიან თეატრში და გატაცებით მუშაობენ. რეჟისორის თქმით, მათ შორის განსაკუთრებული სამსახიობო ნიჭით დაჯილდოებულნიც არიან, რომლებსაც შანსი აქვთ, მომავალში პროფესიონალი მსახიობები გახდნენ. „სხვენის“ მსახიობებს ძალიან უყვართ თეატრი და ეს უკვე ბევრს ნიშნავს. კასტინგის დროს უარს თითქმის არავის ვეუბნები, მთავარია, მათ უყვარდეთ ის საქმე, რასაც აკეთებენ. თუ ვინმემ თავი ვერ გაართვა, ამას თვითონვე ხვდება და მიდის, ზოგი რჩება და ხან სცენის, ხანაც სპექტაკლის მუსიკალურ გაფორმებაში იღებს მონაწილეობას. არაპროფესიონალ მსახიობებთან მუშაობა, რა თქმა უნდა, გაცილებით რთულია, მაგრამ როდესაც ასეთი სიყვარულს ვხედავ, ყველაფერი გამოდის“, — მიაჩნია რეჟისორს.

პრემიერის შემდეგ გოგი გომურაშვილმა თანადგომისათვის მადლობა გადაუხადა: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს გიორგი ხუბუას, კულტურისა და სპორტის ცენტრის დეპარტამენტის ხელმძღვანელს ირაკლი ხარჯევანიძეს, თსუ-ის თვითმმართველობის თავმჯდომარეს გიორგი შამათავას, თსუ-ის თვითმმართველობის კულტურის დეპარტამენტის ხელმძღვანელს ბაჩო კერესელიძეს და დასის მომავალ გეგმებზეც ესაუბრა. რეჟისორთან და დასის წევრებთან შეხვედრისას გიორგი ხუბუამ აღნიშნა, რომ თეატრი უნივერსიტეტისთვის დიდი სიმდიდრეა და მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტები თავისუფალ დროს შინაარსიანად ატარებენ. მისი ინფორმაციით, პირველი კორპუსის რემონტის დასრულების შემდეგ თეატრს ექნება თავისი სცენა და საგრიმიორო. „მიხარია, რომ თეატრი ახალგაზრდების სერიოზულ გატაცებად იქცა. ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ მათ თავიანთი შესაძლებლობების რეალიზება მოახდინონ“, — აღნიშნა გიორგი ხუბუამ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საკუთარი თეატრის არსებობა კი ყველაზე მეტად სტუდენტებს ახარებთ, რადგან მათ კიდევ ერთხელ ეძლევათ ძველი ოცნებების ახდენის საშუალება. დიახ, ეს „სხვენია“, სადაც შეიძლება მეფეც იყო, გმირიც და კლოუნიც. ეს ნამდვილი და განსაკუთრებული თეატრია, სადაც ყველას შეუძლია ითამაშოს....

„ვარდისფერი ავტობუსის“ გაჩერება თსუ-ში

გიმგზავრიათ ვარდისფერი ავტობუსით, რომელიც ვარდისფერ თავისუფლებაში მიდის?
— კი, კი, როგორ არა! — ამის საშუალება ახალგაზრდებს 25 მარტსაც ჰქონდათ, რადგან ამჯერად მათი მომდევნო „გაჩერება“ თგილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იყო. შეხვედრა თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის კულტურის დეპარტამენტის ინიციატივით გაიმართა. როგორც დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ბაჩო კერესელიძემ აღნიშნა, „ვარდისფერი ავტობუსის“ პოეტები სტუდენტებში დიდი სიყვარულით სარგებლობენ და მათი მოწვევის მთავარი მიზეზიც ეს იყო.

ხუთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ალექსი ჩიღვინაძე, შოთა გაგარინი (დიღმელაშვილი), ხვიარა (ალექსანდრე ლორთქიფანიძე), იორკი (დავით ყანჩაველი) და კოშკა (ლევან ცერცვაძე) ვარდისფერი ავტობუსით „ვარდისფერი პლანეტის“ სანახავად გაემგზავრნენ. მიზანი? — ამის პასუხი მათ მანიფესტშია: „ჩვენ მოგვბეზრდა ერთფეროვნება! ჩვენ ვგრძნობთ, რომ შევქმნით რაღაც ახალს, მშვენიერს, გიჟურს! ჩვენ ვქსოვთ ალტერნატიული პოეზიის ვარდისფერ ქსელს, რომელშიც გავაბამთ სამყაროს და თქვენ გულებს“...

აუდიტორია ვარდისფერი ფურცლებით იყო მოფენილი, რომელზეც სტუდენტები კითხვებს წერდნენ. მათთან საუბრისას პოეტებმა ორდენის შექმნის ისტორია კიდევ ერთხელ გაიხსენეს: „მაშინ პატარები ვიყავით, ყველა ვწერდით და ბევრს ვსაუბრობდით პოეზიაზე. გაერთიანებაც ბუნებრივად მოხდა. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა და ეს ორდენიც თავისი პირვანდელი სახით აღარ არსებობს, ჩვენ ყველანი დამოუკიდებლად ვმუშაობთ, მაგრამ საზოგადოებისთვის კვლავ „ვარდისფერი ავტობუსის“ პოეტებად დავრჩით“, — აღნიშნა სტუდენტებთან საუბრისას შოთა გაგარინმა.

„რაც დავწერეთ, აღარ მოგვწონს, ვინაიდან მაშინ გამოცდილება გვაკლდა და დილეტანტები ვიყავით. მიგვაჩნია, რომ დღეს მწერალს რაიმე განსაკუთრებული მისია აღარ აქვს, თანამედროვე მკითხველს კი სხვა მოთხოვნები გააჩნია. ვთქვით თუ არა სათქმელი ჩვენი ლექსებით — ამას დრო გვიჩვენებს“, — გაუზიარა თავისი მოსაზრება კოშკამ დამსწრე საზოგადოებას. ამ კითხვებზე სწორი პასუხი ისევ მანიფესტში ამოვიკითხეთ: „ჩვენ ვოცნებობთ რაღაც უცნაურსა და გამანადგურებელზე. არა, არა! — სინათლეზე და სიკეთეზე, წითელზე, წითელზე, წითელზე, ვარდისფერზე, შავზე, მწვანეზე, ვარდისფერზე, იმაზე, რაც გაგვხდის ბედნიერს... ჩვენ ვცხოვრობთ, იმის მაგივრად, რომ ვისხდეთ და ვუყურეთ, ან ვუსმინოთ.... ჩვენ ვიცით, რომ შეიძლება!... ჩვენ ვიცით...“

შეხვედრაზე „ვარდისფერი ავტობუსის“ პოეტებმა თავიანთი ახალი ლექსები წაიკითხეს.

მასალები მოამზადა ***შურთხია ბერეშვილმა***

მთავარი რედაქტორი ნინო კაკულია
მთავარი სპეციალისტი მაია ტორაძე
ტექნიკური რედაქტორი მანანა ჯურხაძე
ფოტოკორესპონდენტი სალომე მახარაძე
კომპიუტ. უზრუნველყოფა თამარ ქავჟარაძე

რედკოლეგიის წევრები:
რისმაგ გორდეზიანი, ნოდარ ბელქანია, იაგო კაჭკაჭიშვილი, ლადო მინაშვილი, დიანა ძიძიგური, ნოდარ ხადური, მარინე ჩიტაშვილი, ბესარიონ ზოიძე, ნინო ჩიხლაძე, თემურ ნადარეიშვილი, ნანა ჭიღლაძე, თეა ჯუღელი

მისამართი:
ილია ჭავჭავაძის გამზ. 11ª
(თსუ-ის მე-3 კორპუსი)
22 36 62